საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№27 (403)
19 - 25 ივლისი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**«საქართველოს მთავრობას, თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, პოროშენკოსთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა უნდა გამოერიცხა»** 3

## ვინ იცრუა სააკაშვილის ექსტრადიციაზე — საქართველოს ხელისუფლებამ თუ პოროშენკომ? 2



საქართველოს მთავარი პროკურატურა:
**სააკაშვილის ექსტრადირებაზე უკრაინას 2015 წელს მივმართეთ**

პეტრე პოროშენკო:
**ჩვენ გვაქვს ეფექტიანი კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან, მაგრამ არ მიგვილია მოთხოვნა ექსტრადირების შესახებ. შესაბამისად, არ განვიხილავს ეს საკითხი.**

## «ქართული მარში» და «ცივი სამოქალაქო ომი» 4



**ხალხი რადიკალურ მოქმედებას ითხოვს...** 5

მამა გურამი (გამცემლიძე): 8

## ვის სჭირდება სოდომიით შეპყრობილის სისხლი ან იმ ადამიანს ვინ დაიცავს, რომელსაც ავადმყოფის სისხლი შეიძლება გადაუსხან?



6

## მოლაპარაკება ან ომი — მესამე არ არსებობს

11



ავიგდორ ესკინი:

## აუტსაიდერების ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოაქვს

## «ქართველთყლააპია» სტალინი და «ისტორიული მეგობარი» თურქეთი 7



**ქრონიკა**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო თუ საშინაო არენაზე უკვე მერამდენედ შეურაცხყოფენ საქართველოს ხელისუფლებას, მერამდენედ დასცინა სააკაშვილმა საქართველოს მთავრობის წევრებს ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე, მერამდენედ ვაძლევთ უფლებას იმ ქვეყნის ლიდერს, რომელსაც მეგობარს ვეძახით, უზრალოდ, გაგვაბითუროს და თავზე ლაფი დაგვასხას...**

# ვინ იცრუა სააკაშვილის ექსტრადიციაზე — საქართველოს ხელისუფლებამ თუ პოროშენკომ?

**საქართველოში უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო ჩამოვიდა. მეგობარი ქვეყნის პირველი პირი საქართველოში სამ დღეს დარჩება და ბევრ ჩინიანსა თუ უჩინოს შეხვდება. სიმართლე გითხრათ, როცა გავრცელდა ინფორმაცია საქართველოში პოროშენკოს ვიზიტზე, ჯერ გაგვიკვირდა, მერე ევროპელებივით შევშფოთდით და ბოლოს ქართველებივით გავბრაზდით.**

საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილზე ძებნა რომ გამოაცხადა, პრეზიდენტყოფილი უკრაინაში ჩავიდა და თავი იქ შეაფარა. უფრო ზუსტად, თავი კი არ შეაფარა, ოდესის გუბერნატორის თანამდებობა მიიღო და უკრაინის განვითარებაზე ხმამაღალი განცხადებებიც გააკეთა. მეტიც — ვისზეც კი ძებნა გამოაცხადა ხელისუფლებამ, ყველა უკრაინაში წავიდა და სააკაშვილის ფრთის ქვეშ მოკალათდა. პრეზიდენტმა პოროშენკომ კი, სააკაშვილის მითითებით, პრაქტიკულად მთელი ძალოვანი უწყება ქართველთა იმედად გადააწყო და, თუ პოლიციაში **ხატია დეკანოიძე, გია ლორთქიფანიძე** და **ეკატერინე ზღულაძე** დანიშნა, პროკურატურა **დავით საყვარელიძეს** ანდო. იქვე იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ ძებნილი **ზურაბ ადეიშვილიც**, სააკაშვილის ხელისუფლების მთავარი იდეოლოგი და შემსრულებელი. ჰოდა, მაშინ, როცა ქართველი მინისტრები საჯაროდ ამბობდნენ, პოროშენკო არასწორად იქცევაო, მათ სააკაშვილი უკრაინიდან დასცინოდა, — თქვენ თუ არ მაღიარებთ, აგერ, უკრაინა მაღიარებსო, მეტიც — უკრაინის სახელით საერთაშორისო ფორუმებშიც მონაწილეობდა. ბევრი იმასაც ფიქრობდა, ქართველი მაღალჩინოსნები პოროშენკოს სადმე რომ გადაეყარონ, ალბათ, გვარიან საყვედურს ეტყვიანო, მაგრამ რაღა გადაეყარონ, აგერ არის კაცი, თავის ფეხით ჩამოვიდა, სამი დღის განმავლობაში ყველას შეხვდება და, თუ ვინმეს რამის თქმა სურს... მაგრამ ნურას უკაცრავად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა **გიორგი აბაშიშვილმა** უკვე განაცხადა, პოროშენკოსთან ყოფილ მაღალჩინოსნებზე არ ვისაუბრებთო, ანუ სააკაშვილის თემას არ შევეხებითო. **ეგებ ხელისუფლებამ თავი იმართლოს პრინციპით „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“, მაგრამ სააკაშვილს სისხლის ზღვა რომ მართებს ქართველი ერის?! ის, მხოლოდ სახელმწიფოს კი არა, ერის წინაშეც რომ არის დამნაშავე, რომელსაც გენოციდი მოუწყო, რომელიც გააუპატიურა, რომელიც დაჩაგრა, რომელიც მსოფლიოს თვალში კრიმინალად გამოაცხადა?!** და თურმე მოკავშირე უკრაინასთან ურთიერთობა არ უნდა გავიფუჭოთ და არ უნდა შევახსენოთ, რომ მათ ქვეყანაში სახელმწიფო დამნაშავე იმალება. თუმცა რა იმალება, პარტია შექმნა, არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და აქეთ დაგვცინის. სააკაშვილმა, რომელიც ახლა პინიონის ფორმაში გამოწყობილი წარდგა ხალხის წინაშე, პოროშენკოს ურჩია, საქართველოში პირსახოცი და საპონი წაიღე, თორემ დაგითვლიანო.

სხვათა შორის, პოროშენკოს საქციელი გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ორიოდე თვის წინათ საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად გადასცა 6 ჰექტარი მიწა თურქეთს, — აქაოდა, თქვენი ყოფილა და არ ვიცოდითო; სექტემბერში სომხეთს ხუჯაბის მონასტერს ვაძლევთ — ასევე ოფიციალურად; აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მათ, სავარაუდოდ, დავითგარეჯის მონასტრის კომპლექსის ნაწილს გადავაბარებთ და პოროშენკო შტერი ხომ არ არის, ხელისუფლებას, რომელსაც ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდან უუნაროს ეძახიან ოპონენტები, ანგარიში გაუწიოს?! ეგ კი არა, უკრაინის პირველი პირი თურმე მწარედ ნანობს, მის ქვეყანას საქართველოსთან სახმელეთო საზღვარი რომ არ აქვს, თორემ ყირიმში დაკარგულ მიწას ჩვენს ხარჯზე აინაზღაურებდა. ისიც ვთქვათ, რომ უკრაინის მიწისთვის საბრძოლველად წასულ და საზარბაზნე ხორცად ქცეულ ქართველ ვაჟკაცებს გმირებს ეძახიან და საქართველოში, „ქართულ მარშში“ მონაწილე კაცებს — მოღალატეებს. გასაგებია, რომ პოროშენკოსაც და სააკაშვილსაც ერთი პატრონი ჰყავთ, ორივე სოროსის ჯიბესა და ამერიკის პირს უყურებს, მაგრამ ხომ შეიძლება, პოროშენკომ სახელმწიფოდ თუ არა, ერად მაინც გვაღიაროს? არადა, სწორედ უკრაინულ საიტებზე გავრცელდა ადამიანების გაუპატიურების ვიდეო და, ამის მიუხედავად, პოროშენკოს ყურიც არ შეუბერტყავს. ეს ვინ დავნიშნეო, — ერთხელაც არ უთქვამს და სააკაშვილი ოდესის გუბერნატორის თანამდებობიდან მხოლოდ მაშინ დაითხოვა, როცა მიშამ რეალური სახე უკრაინაშიც გამოაჩინა, მაგრამ ქვეყანაში დაიტოვა, საქართველოს ხელისუფლება კი ისევ ისე დაიკიდა, როგორც მანამდე ეკიდა. უფრო ზუსტად, იქ, სადაც სააკაშვილმა დააკიდებინა.



**პეტრე პოროშენკო:**

## ჩვენ გვაქვს ეფექტიანი კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან, მაგრამ არ მიგვიღია მოთხოვნა ექსტრადირების შესახებ. შესაბამისად, არ განგვიხილავს ეს საკითხი

**საქართველოს მთავარი პროკურატურა:**

## სააკაშვილის ექსტრადირებაზე უკრაინას 2015 წელს მივმართეთ

**არის ასეთი გამონათქვამი: ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო. ამ ლოგიკით, ჩემი მტრის მეგობარი ჩემი მტერია და რატომ ვმასპინძლობთ ასე ზარ-ზეიმით ქვეყნის მტრის (ხელისუფლებას სააკაშვილი ოფიციალურად ხომ ჰყავს გამოცხადებული მტრად?) მეგობარს, საკვირველია.** ახლა ვიღაც იტყვის, აღარ არიან სააკაშვილი და პოროშენკო მეგობრებიო, მაგრამ ნურას უკაცრავად! ჯერ ერთი, მიშას მიერ ჩაყვანილი პოლიტდესანტის უმეტესობა ისევ თანამდებობაზეა და მეორეც, მეგობრები რომ არ იყვნენ, უკრაინის მოქალაქეობას თავზე გადაახევდა პოროშენკო, პარტიის ჩამოყალიბების შესაძლებლობასაც არ მისცემდა და საკალანდე ღორივით გასუქებულ სააკაშვილს ქონსაც ააჭრიდა „სალოს“ გასაკეთებლად, მაგრამ ამის ნაცვლად, სასათბურე პირობებში ჰყავს და საკმეველსაც უკმევს.

**ვერ გეტყვით, საერთაშორისო თუ საშინაო არენაზე უკვე მერამდენედ შეურაცხყოფენ საქართველოს ხელისუფლებას, მერამდენედ დასცინა სააკაშვილმა საქართველოს მთავრობის წევრებს ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე და მერამდენედ ვაძლევთ უფლებას იმ ქვეყნის ლიდერს, რომელსაც მეგობარს ვეძახით, უზრალოდ, გაგვაბითუროს და თავზე ლაფი დაგვასხას.**

18 ივლისს, საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს, პოროშენკოს აკადრეს და სააკაშვილის ექსტრადიციაზეც ჰკითხეს, მან კი გამაოგნებელი რამ თქვა:

**„ჩვენ გვაქვს ეფექტიანი კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან, მაგრამ არ მიგვიღია მოთხოვნა ექსტრადირების შესახებ. შესაბამისად, არ განგვიხილავს ეს საკითხი. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სოციალური პრობლემა საქართველოს სახელმწიფოსთან ურთიერთობებში. ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები. უკრაინელი და ქართველი ხალხი ერთიანია ამ მომენტში. დარწმუნებული ვარ, ვერავინ და ვერაფერი გაყოფს ჩვენს ხალხს“,** — განაცხადა პოროშენკომ.

იმავე დილას გავრცელდა საქართველოს პროკურატურის განცხადება, რომ მოთხოვნა სააკაშვილის ექსტრადიციაზე უკრაინას 2015 წელს გაუგზავნა.

რა გამოდის? ან ჩვენი ხელისუფლება გვატყუებდა, — სააკაშვილს პოროშენკო არ გვითმობსო, ან პოროშენკომ იცრუა, სააკაშვილის ექსტრადირება არავის მოუთხოვია და რატომ უნდა გადმომეცაო. ისე, რბილად რომ ვთქვათ, ეშმაკობს პოროშენკო — სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა აქვს და რამდენიც უნდა ვეხვეწოთ ახლა უკრაინელებს, თავიანთ მოქალაქეს სხვა ქვეყანას (ანუ საქართველოს) არ გადასცემენ. და თუ ხელისუფლებამ ხალხის დასანახავად მაინც მოითხოვა ექსპრეზიდენტის ექსტრადაცია, პოროშენკო თავის მოქალაქეს დაიცავს და მატროსოვივით გადაეფარება... ამბრაზურას.

მოკლედ, აშკარაა, რომ გვატყუებენ, მაგრამ რომელი მხარე, უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მთავარი არის ის, რომ გვატყუებენ და ამას ვეგუებით. რაო? არ ვეგუებით? რა ვიცი, პროტესტი არ მინახავს და. ვინც ნახა, მოვიდეს, მოგვიყვეს...

ისე, საინტერესოა, რა განწყობა დაეუფლებოდა პოროშენკოს, უკრაინის მიერ ძებნილი **ვიქტორ იანუკოვიჩი** საქართველოში რომ მიგვეღო, გურიის გუბერნატორად დაგვენიშნა და მის მიერ ჩამოყვანილი ადამიანებისთვის თანამდებობები დაგვერიგებინა. რას იტყოდა და... ჯერ ერთი, ამას ვერ გავბედავდით და მეორეც — პირველივე მოთხოვნის შემდეგ, იანუკოვიჩს საახალწლო საჩუქარივით შევფუთავდით და კიევში მივართმევდით. ეს იმიტომ, რომ ქვეყნის ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბით თავმოყვარეობაც დაკარგული აქვს.

**ქვეყანა „პრახადნოი დვორად“ იქცა; უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ოპერაციებს ისე ატარებენ, არც გვეკითხებიან, ძებნილები დაგვცინიან და... უკრაინიდან ჩამოტანილ „სალოზე“ ჭაჭა დააყოლებინეთ პოროშენკოს, ნაყვარება ნამეტნავად, ბათუმის ჭაჭის კოშკიდან ჩამოსხმული სითხის გატანებაც არ დაგავიწყდეთ მიშასთან, მონატრებული ექნება...**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.** თფუი!

# საქართველოს მთავარმა პროკურატურამ პოროშენკო ტყუილში ამხილა

**საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ექსტრადირების მოთხოვნა უკრაინაში 2015 წელს გაგზავნეს.** უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ოფიციალური განცხადება, რომლის მიხედვით, საქართველომ უკრაინას, სააკაშვილის გარდა, ზურაბ ადეიშვილის ექსტრადირების თხოვნითაც მიმართა.

„ვინაიდან მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს საქართველოში წაყენებული აქვთ ბრალდებები და მათ მიმართ გამოცხადებულია ძებნა, ამასთანავე, ადეიშვილი იძებნება წითელი ცირკულარით, და ასევე, ვინაიდან მოპოვებული ინფორმაციით, ხსენებული პირები იმყოფებიან უკრაინაში, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინის გენერალურ პროკურატურას მიმართა ხსენებულ პირთა დადგენა-დაკავებისა და ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობით. მიუხედავად ქვეყნებს შორის ექსტრადიციის სფეროში არსებული ზემოთ დასახელებული ვალდებულებებისა, უკრაინის მხარეს მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საქართველოში ექსტრადიციის საკითხზე საქართველოს მთავარ პროკურატურასთან არ უთანამშრომლია და უარს აცხადებს ძებნილი პირების ექსტრადირებაზე“, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ 2015 წლის განცხადებაში. საქართველოში ვიზიტით მყოფი უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების საკითხს გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ საქართველოდან სააკაშვილის ექსტრადირების მოთხოვნა არ მიუღიათ.

**„ჰარმსს ჰგონია, აფრიკის რომელიღაც მიყრუებულ ქვეყანაშია და, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს. თუმცა, ამ მხრივ არც საქართველოა აფრიკაზე უკეთესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზერბაიჯანელი ქალი, მუსტაფაევა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომის მოთხოვნას ვერ გაბედავდა, ჰარმსი კი თურქი მოქალაქის მფარველობის ბრძანებას ვერ გასცემდა“.**

ფარადა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველოს მთავრობას, თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, პოროშენკოსთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა უნდა გამოერიცხა»

**თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების ამაო მცდელობის შემდეგ 75 წლის ფეთჰულა გიულენის ფიგურამ და მისმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ოფიციალურ ანკარასა და თბილისს შორის ურთიერთობებში გარკვეული პრობლემა წარმოქმნა. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ელოდნენ, რომ გიულენის სახელთან დაკავშირებული თურქული სკოლები საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით დაიხურებოდა. სხვათა შორის, თურქული სკოლების საქართველოში გახსნას თავის დროზე ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა, დღეს კი იქ უამრავი ადამიანია დასაქმებული.**



სხვადასხვა ვერსიით, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ელიტური კოლეჯი და ერთი უნივერსიტეტი ფუნქციობდა, რომლებიც ისლამისტ მქადაგებელ და მოძრაობა „ჰიზმეტის“ ლიდერ ფეთჰულა გიულენის სახელს უკავშირდება. ეს სასწავლებლებია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც თბილისში 1995 წელს დაარსდა; კოლეჯები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, მარნეულში.

**მუსტაფა ემრე ჩაბუქი** საქართველოში 2002 წლიდან ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას. 2002-2007 წლებში ბათუმის შაჰინის სკოლა-ლიცეუმის მასწავლებელი იყო; 2012-2016 წლებში — „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ჩაბუქი სწორედ იმ სკოლებში მოღვაწეობდა, რომლებიც გიულენის სახელთან არის დაკავშირებული.

თურქეთის მხარის მოთხოვნით, დემირელის კერძო კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი მუსტაფა ემრე ჩაბუქი ა.წ. 24 მაისს დააკავეს. სასამართლომ მას წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატებმა ემრე ჩაბუქისთვისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით ლტოლვილთა სამინისტროს მიმართეს, სამინისტრომ უარი განაცხადა.

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტმა **რებეკა ჰარმსმა** მუსტაფა ემრე ჩაბუქი ციხეში მოინახულა, შემდეგ კი ჩაბუქის პატიმრობასა და მისი თურქეთში შესაძლო ექსტრადირების საკითხზე სკოლა-ლიცეუმ „სხივში“ პრესკონფერენცია გამართა. ჰარმსის თქმით, საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირის ქვეყნებმა სასტიკი უარი უნდა განაცხადონ ექსტრადიციის მოთხოვნაზე.

„ვფიქრობ, არავინ უნდა იდევნებოდეს და გასამართლდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მასწავლებელია გიულენთან დაკავშირებულ სკოლაში... ვცდილობ, დავარწმუნო საქართველოს მთავრობა, ისევე, როგორც ევროკავშირი, რომ იყვნენ კანონის უზენაესობის მხარეს. საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირის ქვეყნებმა სასტიკი უარი უნდა განაცხადონ იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ჩაბუქის თურქეთში ექსტრადირებას უკავშირდება“, — განაცხადა რებეკა ჰარმსმა.

რებეკა ჰარმსის აზრით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, **აფგან მუხთარლის**, საქმეზე საქართველომ დამოუკიდებელი გამოძიება უნდა აწარმოოს და ჟურნალისტს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭოს. ჟურნალისტი აფგან მუხთარლი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ოჯახის ბიზნესების შესახებ სტატიებს აქვეყნებდა და მას შემდეგ, რაც შეატყობინეს, რომ საფრთხე ემუქრებოდა, ოჯახთან ერთად 2015 წელს საქართველოში გადმოვიდა.

აფგან მუხთარლიმ საქმიანობა საქართველოშიც განაგრძო. 2016 წლის ოქტომბერში მისი ბინადრობის მოწმობას ვადა გაუვიდა. აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ამჟამად სამშობლოშია, ოღონდ საპყრობილეში. მისი მეუღლე, **ლეილა**, კი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ **გიორგი მღებრიშვილის** გადადგომას ითხოვს. საქართველოს მთავრობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ექსტრადირების დილემის წინაშეა. არადა, ჩვენი ქვეყანაც იყო მსგავს მდგომარეობაში, როდესაც საქართველოდან გაქცეული ყოფილი მაღალჩინოსნების ექსტრადიციის ნებართვა არ მოგვცეს და დამნაშავეები შეიფარეს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოდან სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი უამრავი ყოფილი მაღალჩინოსანი გაიქცა: გენერალური პროკურორი **ზურაბ ადეიშვილი**, კუდ-ის უფროსის მოადგილე **იოსებ თოფურიძე**, კუდ-ის უფროსი **დათა ახალაია**, მე-8 საპყრობილის უფროსი **ალექსანდრე მუხაძე**, პროკურორი **დავით საყვარელიძე**, თავდაცვის მინისტრი **დავით კეზერაშვილი** და ა.შ. ბოლოს კი — პრეზიდენტი **სააკაშვილი**... საქართველოდან გაქცეული ძებნილი ქართველების უმრავლესობა უკრაინის ხელისუფლებამ, კერძოდ კი, პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ**, შეიფარა და მათ ექსტრადიციაზე, როგორც საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, უარი თქვა. ასე მოიქცა ბევრი ქვეყანა: საბერძნეთი, თურქეთი, საფრანგეთი... მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც უკრაინა აღმოჩნდა, სადაც გაქცეული ქართველები არათუ შეიფარეს, არამედ მაღალ სახელისუფლო თანამდებობებზე დანიშნეს.

17 ივლისს საქართველოს ეწვია უკრაინის პრეზიდენტი, დამნაშავე ქართველთა მფარველი **პეტრე პოროშენკო**. როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა **გიორგი აბაშიშვილმა** განაცხადა, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნების საკითხს არ განიხილავენ.

**უნდა გადასცეს თუ არა საქართველომ უცხო ქვეყნების დამნაშავე მოქალაქეები იმ ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს? ვინ არის საქართველოსთვის პოროშენკო, რომელმაც საქართველოდან გაქცეული ძებნილი მაღალჩინოსნები შეიფარა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ცნობილი ადამიანები გვესაუბრებიან.**

## «პოროშენკომ დაანგრია და დააქცია უკრაინა. მეტიც, უფლება მისცა ქართველ ბანდიტებს, უკრაინის დანგრევაში მიეღოთ მონაწილეობა. სწორედ მაგ ნაძირალას ბრალია, რომ სააკაშვილი დღეს კიდევ ბოგინობს და აქვს ამბიცია, უკრაინის პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს»



## „უკრაინის ხელისუფლება წლების განმავლობაში შეურაცხგვყოფდა, ძაღლადაც არ აგდებდა საქართველოს ხელისუფლებას“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, დიპლომატი, პოლიტოლოგი:**

— ევროპარლამენტარები ხშირად მოქმედებენ პირადი სურვილებით. შესაძლოა, **რებეკა ჰარმსიც** ასე მოიქცა.

უნდა იქონიოს თუ არა გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე ევროპარლამენტარის მოთხოვნამ, ვიღაც თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე და მისი ქვეყნისთვის გადაცემა-არ გადაცემის საკითხზე, გეტყვით, რომ არა. სრულიად მიუღებელია, ვიღაცის თითის ქნევით საქართველოს მოქალაქეობა ვინმეს მიენიჭოს. ჰარმსს ჰგონია, აფრიკის რომელიღაც მიყრუებულ ქვეყანაშია და, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს. თუმცა, არც საქართველოა, ამ მხრივ აფრიკაზე უკეთესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზერბაიჯანელი ქალი, მუსტაფაევა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომის მოთხოვნას ვერ გაბედავდა, ჰარმსი კი თურქი მოქალაქის მფარველობის ბრძანებას ვერ გასცემდა.

თურქეთის ხელისუფლება არ აღმაფრთოვანებს, ის მცოცავ ანექსიას აწარმოებს აჭარაში და ეს საშინელებაა, მაგრამ, რაც შეეხება დამნაშავის გადაცემას, ამაში მართალია. ნატო, ევროკავშირი, ევროსაბჭო თითს არავის უნდა უქნევდეს. ევროკავშირს თურქეთთან ცუდი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ ჩვენ მათ დაკრულზე არ უნდა ავცეკვდეთ. ანკარამ და ევროკავშირმა თავიანთ თავს მიხედონ.

**— საქართველოში უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო იმყოფება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს, მას რამე ჰკითხოს ძებნილად გამოცხადებულებზე, რომლებმაც უკრაინას შეაფარეს თავი.**

— საქართველოს ხელისუფლებას ანალიზის უნარი არ აქვს. პოროშენკოს ხელისუფლება ფაშისტურია — საბჭოთა კავშირის გმირებს უარყოფს და ფაშისტ **ბანდერას** გმირად აცხადებს. უკრაინა ფაშისტური ქვეყანაა და ამაზე არ საუბრობს ევროკავშირი, დასავლეთი.

როგორ შეიძლება ურთიერთობა ჰქონდეს საქართველოს უკრაინასთან, ქვეყანასთან, რომელმაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ბანდიტი წარმომადგენლები გულში ჩაიხუტა და ისე ჩაიხუტა, რომ ხელისუფლების საკვანძო თანამდებობები უბოძა?! უკრაინის ხელისუფლება წლების განმავლობაში შეურაცხგვყოფდა, ძაღლადაც არ აგდებდა საქართველოს ხელისუფლებას... ჩვენი ქვეყნის მთავრობას თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, პოროშენკოსთან ნებიმიერი სახის ურთიერთობა უნდა გამოერიცხა.



## „ჩვენმა პრეზიდენტმა, როგორი ლოთი და უგუნურიც თვითონ არის, ზუსტად ისეთი სტუმარი მიიღო“

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— საქართველო არანაირ დათმობაზე არ უნდა წავიდეს. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გასცემს ბრძანებას — ევროკავშირი, ევროპარლამენტი, ამერიკა თუ ვინც გინდა. საქართველომ უნდა იმიქმედოს ისე, როგორც სახელმწიფოს სჭირდება და წაადგება. საკმარისია ამდენი კუდის ქიცინი. სირცხვილია, მონები ვართ თუ ხალხი?! არავითარი ანგარიში არ უნდა გავუწიოთ რიგითი პარლამენტარების მითითებებს. ყველამ ვიცით, რომ ჩაბუქი დამნაშავეა, მისი სახელი გიულენს უკავშირდება, დამნაშავეა მუხთარლიც...

გაიხსენეთ, უცხო ქვეყნის რამდენი უდანაშაულო მოქალაქე გადასცეს საკუთარ ქვეყნებს და ამაზე ევროპარლამენტს ხმა არ ამოუღია, რეაქციაც არ ჰქონია.

**— აფგან მუხთარლის ცოლი ჩვენი ქვეყნის შს მინისტრის გადადგომას ითხოვს...**

— ის ქალი თავხედობს, ზღვარს გადადის, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრი მეც არ მომწონს, რადგან ბევრ ისეთ საქმეს აკეთებს, ქართველ კაცს რომ არ შეეფერება.

**— უკრაინის პრეზიდენტი გვეწვია და მას დიდი ზარ-ზეიმით დახვდა საქართველოს პრეზიდენტი...**

— ჩვენმა პრეზიდენტმა, როგორი ლოთი და უგუნურიც თვითონ არის, ზუსტად ისეთი სტუმარი მიიღო. პოროშენკომ დაანგრია და დააქცია უკრაინა, მეტიც, მან უფლება მისცა ქართველ ბანდიტებს, უკრაინის დანგრევაში მიეღოთ მონაწილეობა. სწორედ მაგ ნაძირალას ბრალია, რომ სააკაშვილი დღეს კიდევ ბოგინობს და აქვს ამბიცია, უკრაინის პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს.

პოროშენკოს მიღებით რუსეთს ვაღიზიანებთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხელისუფლებას შეიძლება გაუჩნდეს ყოვლისშემძლეობის ილუზია და ჩათვალოს, რომ იოლად მოახერხებს იმ კონფლიქტის მართვას, რომელიც „ქართველთა მარშის“ გამო წინა პლანზე გამოვიდა და მომავალშიც გაგრძელდება. ისინი, ძალაუფლებით გაბრუებულნი, დიდი ალბათობით, ვერ აცნობიერებენ, რომ არა მხოლოდ ცალკე აღებული სუს-ი, არამედ მთავრობაც და რეჟიმიც შეიძლება ხუხულასავით ჩამოეშალოთ, თუ მათ მიერ ინსპირირებულ პროცესზე, როგორც გოლემზე ცნობილი ლეგენდიდან, კონტროლს დაკარგავენ.**

# «ქართული მარში» და «ცივი სამოქალაქო ომი»

**14 ივლისს თბილისში აქცია „ქართული მარში“ გაიმართა. მისი ორგანიზატორების ოპონენტები წინასწარმეტყველებდნენ, რომ აქციის დროს შეიძლება ექსცესები მოხდეს და ამან გარკვეული დაძაბულობა წარმოშვასო. საბოლოოდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, რაც, ცხადია, არ ნიშნავს, რომ „მარშთან“ დაკავშირებული ყველა პრობლემა მოგვარდა.**

მიხეილ სააკაშვილს საქართველოს წინაშე ბევრი დანაშაული მიუძღვის. ზოგი იმდენად თვალსაჩინო არ არის, როგორც მიტინგების დარბევა ან პატიმართა წამება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ნაკლებად მძიმეა. ერთ-ერთ ასეთ, ნაკლებად თვალშისაცემ დანაშაულად (ამ შემთხვევაში ეს არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური შეფასებაა), ალბათ, უნდა ჩავთვალოთ პოლიტიკური დიალოგისა და შესაბამისი კულტურის განადგურება. რეჟიმი არ აპირებდა, ოპონენტისთვის რამე აეხსნა ან დაემტკიცებინა, არამედ საკუთარ პოზიციას ერთადერთ ჭეშმარიტებად აცხადებდა და ცდილობდა მათ მარგინალიზებას, ვისაც განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა. ხოლო, როდესაც მათი პროტესტის იგორირება შეუძლებელი ხდებოდა, ძალადობრივი მეთოდებით უსწორდებოდა. ეს ავტორიტარული რეჟიმების ჩვეულებრივი პრაქტიკაა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ქართველმა ლიბერალებმა, ისევე, როგორც კონსერვატორებმა, ოპონენტებთან ურთიერთობის სტილი სწორედ სააკაშვილის რეჟიმისგან გადმოიღეს. ისინი არ უსმენენ მეორე მხარეს და, როგორც კი შესაძლებლობა ეძლევათ, მოუწოდებენ ხელისუფლებას, გაუსწორდეს მათ და გააჩუმოს — მთავარ მიზნად მოწინააღმდეგის პოლიტიკური და საინფორმაციო სივრციდან გაქრობა განიხილება.

როდესაც „ქართული მარშის“ თავკაცებმა დღის წესრიგში საიმიგრაციო კანონის გადახედვის საკითხი დააყენეს და უცხოელების მიერ ჩადენილ დანაშაულზე მიუთითეს, არც ერთმა მათმა ოპონენტმა არ თქვა, — მოდით, დავსხდეთ, განვიხილოთ პრობლემა, ტელედებატები გავმართოთ და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილება შევიმუშავოთ. ამის ნაცვლად ისმოდა მხოლოდ ლანძღვა, რომელსაც მეორე მხარემ მყისიერად ლანძღვითვე უპასუხა. **„მარშის“ გამართვის, მიტინგზე პროტესტის გამოხატვისა და, ზოგადად, პოლიტიკის ქუჩაში გადატანის სურვილი იმის შედეგია, რომ პოლიტიკური დებატებისა და კონსენსუსის კულტურა დღეს საქართველოში ნულოვან ნიშნულზეა — ეს, ფაქტობრივად, „ცივი სამოქალაქო ომის“ მდგომარეობაა**; მადლობა ღმერთს, დაპირისპირებულ მხარეებს იარაღი (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით) არ აქვთ.

საინფორმაციო ომს თან იარლიყების მიწებება სდევდა — „ბნელები“, „ფაშისტები“, „ნაცისტები“, „კრემლის აგენტები“, რასაც ოპონენტები „ლიბერასტებით“, „სოროსის ნაბიჭვრებით“ და სხვა მსგავსი ტერმინებით პასუხობდნენ. რაღაც მომენტში ამ კონფლიქტმა უკანა პლანზე გადაწია მიგრანტებთან დაკავშირებული პრობლემები, რაც, სავარაუდოდ, ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა.

„ქართულ მარშზე“ სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში შეუთავსებელი შეხედულებების მქონე მოქალაქეები გამოვიდნენ. აქ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართული ნაციონალიზმი (და კონსერვატიზმიც, თუმცა ამაზე სხვა დროს) ძალიან ცუდად შესწავლილი ფენომენია — ის მთელი რიგი კონცეფციების უცნაურ სიმბიოზს წარმოადგენს.

ნაციონალიზმის აღზევების ხანაში საქართველოში ვრცელდებოდა როგორც დასავლური, ისე გერმანო-სლავურ სამყაროში დაბადებული იდეები — პირველში, როგორც ცნობილია, სამოქალაქო ნაციონალიზმი დომინირებს, მეორეში კი (ყოველ შემთხვევაში, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე) — კულტურულ-ეთნიკური ნაციონალიზმი. ქართული ნაციონალიზმი დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციას განიცდიდა, ადრეულ ეტაპზე ის ძალიან ჰგავდა კლასიკურ ეთნონაციონალიზმს. მოგვიანებით, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერების პარალელურად, ცენტრალური ადგილი ეტატისტურმა ნაციონალიზმმა დაიკავა, რომლის ფარგლებში ძლიერი სახელმწიფო ერთგვარ კერპად იქცა. საქართველოში, სადაც იდეოლოგიურ ნიუანსებს ყოველთვის ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ხშირია შემთხვევები, როდესაც, ამა თუ იმ ნაშრომის ფარგლებში ან ცალკე აღებული მოქალაქის ცნობიერებაში, სამოქალაქო და ეთნიკური ნაციონალიზმი ერთმანეთს ერწმყის და უცნაურ იდეურ კოქტეილს წარმოშობს, რომელიც პრინციპულად შეუთავსებელი ელემენტებისგან შედგება. თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი მკაცრი ორიენტაციაა კონსერვატიულ ღირებულებებზე — ლიბერალი ავტორები ასეთ ნაციონალიზმს ხშირად რეაქციულს უწოდებენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, **„ქართულ მარშზე“ გამოსულ ცალკეულ ჯგუფებსა და ადამიანებს ჰქონდათ ერის, სახელმწიფოსა და მათი როლის განსხვავებული აღქმა და, წესით, ერთად არ უნდა მდგარიყვნენ — აქ, უპირველესად, რადიკალი ნაციონალისტების მონაწილეობა იგულისხმება. მაგრამ ისინი გააერთიანა არა მხოლოდ საკუთარი პოზიციის გამოხატვის ან მიგრანტებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლის სურვილმა, არამედ მძაფრმა პროტესტმა იმის წინააღმდეგ, რასაც ლიბერალურ დიქტატად, მათი აზრის იგნორირებად აღიქვამენ. 14 ივლისს კარგად გამოჩნდა, რომ ისინი არც ისე ცოტანი არიან და ნებისმიერ შემთხვევაში აიძულებენ ყველას, რომ მოუსმინონ.**



**«მარშის» გამართვის, მიტინგზე პროტესტის გამოხატვისა და, ზოგადად, პოლიტიკის ქუჩაში გადატანის სურვილი იმის შედეგია, რომ პოლიტიკური დებატებისა და კონსენსუსის კულტურა დღეს საქართველოში ნულოვან ნიშნულზეა — ეს, ფაქტობრივად, «ცივი სამოქალაქო ომის» მდგომარეობაა**

2012-ში „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენა კონსერვატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ადამიანების (მათ შორის თანმიმდევრული ნაციონალისტების) პროტესტი იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი დაემარცხებინა. ამის სანაცვლოდ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა მოუწია — იქნებოდა ეს საარჩევნო სიაში შესაბამისი ფიგურების შეყვანა, რომელთაც ლიბერალი კოლეგები ვერ იტანდნენ; მიწის გაყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადება, უცხოელების გარკვეული კატეგორიებისთვის სავიზო რეჟიმის პერიოდული (უფრო სწორად კი დემონსტრაციული) გამკაცრება და ა.შ. თუმცა მთლიანობაში, დასავლელი პარტნიორების მიერ ინსპირირებული და ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების სულისკვეთება თითქმის იგივე რჩებოდა, რაც სააკაშვილის მმართველობის წლებში და ეს ძლიერ აღიზიანებდა კონსერვატორებს — ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ მათი პროტესტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის, სასკოლო პროგრამებისა თუ სახელმძღვანელოების მიმართ და ა.შ.

„ქართული ოცნების“ მმართველი რგოლის იდეოლოგია, უხეშად რომ ვთქვათ, ფული და თანამდებობაა, მაგრამ ის იძულებულია, დროდადრო გადადგას ნაბიჯები, რომლებიც დაამშვიდებს გაღიზიანებულ კონსერვატორებს, შემდეგ კი პირიქით — ლიბერალებს მოეფეროს. ეს კარგად გამოჩნდა კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესშიც. პირველნი უფრო მრავალრიცხოვანი არიან, მეორენი კი — გაცილებით აქტიური და, ამასთანავე, საზღვარგარეთ ძლიერი მოკავშირეები ჰყავთ. ეს ვითარება გაერთიანებისაკენ ბუნებრივად უბიძგებდა კონსერვატიულ ბანაკს და, როგორც „მარშის“ დროს ვიხილეთ, მისი ნაწილი რადიკალურ ნაციონალისტურ ჯგუფებთან კავშირამდეც კი მიიყვანა. ეს კი, როგორც გასული საუკუნის გამოცდილება გვიჩვენებს, არც ისე უსაფრთხოა.

ყველაზე საინტერესო ამ სიტუაციაში, ალბათ, ისაა, რომ ხელისუფლებას შეიძლება ხელს აძლევდეს საზოგადოების „გადართვა“ კონფლიქტზე, რომელშიც ჩართული იქნებიან, ერთი მხრივ, რადიკალი ნაციონალისტებისა და კონსერვატორების ალიანსი და; მეორე მხრივ, — მიგრანტების ნაწილი თავის ლიბერალ მოკავშირეებთან ერთად. საქმე ისაა, რომ ამ დაპირისპირებას სხვა რამეზე გადააქვს საზოგადოების ყურადღება იმ პრეტენზიებისგან, რომლებიც ხელისუფლების მიმართ დაუგროვდა. ამასთანავე, მიგრანტების თემა ქმნის ნოყიერ ნიადაგს იმისთვის, რომ თბილისის მერობის ერთმა ან რამდენიმე ახალმა, ასე ვთქვათ, „მეორე რანგის“ კანდიდატმა ნაციონალისტური რიტორიკა გამოიყენოს. ისინი, ცხადია, ვერ მოიგებენ არჩევნებს, მაგრამ ხელს შეუწყობენ ოპოზიციური ელექტორატის შემდგომ ფრაგმენტაციას და კახა კალაძეს გამარჯვებას გაუადვილებს.

**თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით, როგორ აშუქებდა „ქართული მარშის“ თემას ხელისუფლებასთან აფილირებული მედია და აქტივისტები სოციალურ ქსელებში, შეიძლება მივიდეთ პარადოქსულ დასკვნამდე, რომ ისინი კონფლიქტის გაღვივებაზე მუშაობდნენ.** საქმე ისაა, რომ, როდესაც დაპირისპირებული რადიკალები ცდილობენ, ერთმანეთს მაქსიმალური ზიანი მიაყენონ, ნებისმიერი, თუნდაც ძალზე არაპოპულარული მთავრობა, მოქალაქეთა დიდი ნაწილისა და უცხოელი პარტნიორების მიერ აღიქმება, როგორც სტაბილურობის გარანტი და კეთილგონიერების განსახიერება. ამასთანავე, ხელისუფლებას სჭირდება, რომ მოსახლეობის მზარდი გაღიზიანება სხვა მიმართულებით გადაამისამართოს, ისე, რომ მისი მთავარი სამიზნე მიგრანტები, ლიბერალები, ნაციონალისტები (და ა.შ. საბოლოო ჯამში მნიშვნელობა არ აქვს — ვინ) გახდნენ.

**იმისათვის, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა, თუნდაც საიმიგრაციო კანონის გარშემო დისკუსია გამართონ და სცადონ, კონსენსუსს მიაღწიონ, სასურველია ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს დიალოგის გამართვას, რადგან განუვითარებელი დემოკრატიის ქვეყნებში მსგავს სიტუაციებში მან მედიატორის როლი უნდა იტვირთოს. მაგრამ, თუ ის, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ესკალაციის გაღრმავებაზე მუშაობს, საზოგადოებამ თვითონ უნდა იფიქროს მოსალოდნელი ზარალის მინიმიზაციაზე.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ქართული ოცნება“ შეიცვალა — საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებამ მას სიფრთხილე დააკარგვინა. ის გაცილებით ხშირად მიმართავს ზეწოლას, ვიდრე ადრე და ამის ნათელი მაგალითია კონსტიტუციის რედაქტირების პროცესი. სხვათა შორის, მისი მთავარი კურატორი, ირაკლი კობახიძე, სახელისუფლო პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა და, დიდი ალბათობით, წინასაარჩევნო პერიოდში იმავე მეთოდებს გამოიყენებს (სხვა რა შეუძლია). ასეთ ვითარებაში **ხელისუფლებას შეიძლება გაუჩნდეს ყოვლისშემძლეობის ილუზია და ჩათვალოს, რომ იოლად მოახერხებს იმ კონფლიქტის მართვას, რომელიც „ქართული მარშის“ გამო წინა პლანზე გამოვიდა და მომავალშიც გაგრძელდება. ისინი, ძალაუფლებით გაბრუებულნი, დიდი ალბათობით, ვერ აცნობიერებენ, რომ არა მხოლოდ ცალკე აღებული სუს-ი, არამედ მთავრობაც და რეჟიმიც შეიძლება ხუხულასავით ჩამოეშალოთ, თუ მათ მიერ ინსპირირებულ პროცესზე, როგორც გოლემზე ცნობილი ლეგენდიდან, კონტროლს დაკარგავენ.**

**«ქართულ მარშზე» გამოსულ ცალკეულ ჯგუფებსა და ადამიანებს ჰქონდათ ერის, სახელმწიფოსა და მათი როლის განსხვავებული აღქმა და, წესით, ერთად არ უნდა მდგარიყვნენ — აქ, უპირველესად, რადიკალი ნაციონალისტების მონაწილეობა იგულისხმება. მაგრამ ისინი გააერთიანა არა მხოლოდ საკუთარი პოზიციის გამოხატვის ან მიგრანტებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლის სურვილმა, არამედ მძაფრმა პროტესტმა იმის წინააღმდეგ, რასაც ლიბერალურ დიქტატად, მათი აზრის იგნორირებად აღიქვამენ**

**„იმედი გვქონდა, 2012 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლებოდა; გვეგონა, კანონი იკანონებდა, სამართალი იზეიმებდა, დასასჯელი დაისჯებოდა, მაგრამ სულში ჩაგვაფურთხეს. დღეს უცხოტომელი საქართველოში მევახშეობს, ქართველს ქუჩაში უსახლკაროდ ტოვებს, გვიწამლავს ახალგაზრდებს, გვიბილწავს გოგონებს“.**

რეპორტაჟი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხი რადიკალურ მოქმედებას ითხოვს...

**ამა წლის 14 ივლისს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, მსვლელობა „ქართული მარში“ გაიმართა. აქციის მონაწილენი საიმიგრაციო კანონის გამკაცრების მოთხოვნით გამოვიდნენ. საღამოს რვის ნახევრიდან 24-ე სკოლასთან ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. დედაქალაქის სხვადასხვა უბნის მცხოვრებთ ახლომახლო რაიონებიდან ჩამოსულები უერთდებოდნენ და ყველა ერთმანეთს ახლობელივით ესალმებოდა. ნელ-ნელა დაიკეტა გამზირზე მდებარე მაღაზიები, კაფე-ბარები, იქ მომუშავე ქართველები აქციას სიხარულით შეუერთდნენ, ხოლო ე.წ. უცხოელმა ინვესტორებმა ტერიტორია უსიტყვოდ დატოვეს. აივნებზე გადმომდგარი აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრებნი „მარშის“ მონაწილეებს ქართული დროშებით ხელში ესალმებოდნენ და ყველა მათგანს ცრემლით სავსე ჰქონდა თვალები... მათი შემხედვარე, მიხვდებოდით, რომ „ქართული მარშის“ ჩატარება აუცილებელი იყო.**





აქციის მონაწილენი სკანდირებდნენ: „საქართველო, საქართველო!“, „არც ერთი გოჯი მიწა არ დავუთმოთ უცხოელებს!“. „ქართული მარში“ პატრიოტული სიმღერების ფონზე მიმდინარეობდა და ხალხიც ხმის ჩახლეჩვამდე მღეროდა „ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო“. აქციის მიმდინარეობისას მოქალაქეების აგრესიული ფრაზებიც ისმოდა: „აღარ არის იმის დრო, რომ ფოთოლი არ ჩამოვარდეს? მშვიდად ყოფნა არ შეიძლება!“, „მივანგრ-მოვანგრიოთ ყველაფერი!“... ცოტა ხანში დავით აღმაშენებლის გამზირი ხალხით ისე გაივსო, რომ გავლა შეუძლებელი შეიქნა.

მსვლელობა აღმაშენებლის მოედანზე შეწყდა, ორგანიზატორებმა ხალხს მიმართეს და პეტიცია, რომელიც შეიმუშავეს მთავრობასა და პარლამენტში წარსადგენად, ხალხს გააცნეს:

**„ჩვენ, 2017 წლის 14 ივლისს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, გამართული „ქართული მარშის“ მონაწილენი, ვაპროტესტებთ უცხოელი მოქალაქეებისგან ქართველ მოსახლეობაზე, მათ შორის, არასრულწლოვანებზე ძალადობისა და ქართული კულტურის ძეგლების შეურაცხყოფის მომრავლებულ ფაქტებს. ვაპროტესტებთ უცხო ეროვნების წარმომადგენლების მასობრივად და კომპაქტურად დაფუძნების ფაქტებს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, რასაც შეუძლია, რამდენიმე წელიწადში სრულიად შეცვალოს ეთნიკური სურათი და ქართველი საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოჩნდეს. მიგვაჩნია, რომ ამ ყველაფრის მიზეზი საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და არალეგალების უკონტროლობაა.**

**მოვითხოვთ, ხელისუფლებისგან, მაქსიმალურად გამკაცრდეს უცხოელი მოქალაქის მიერ საქართველოში ბინადრობის უფლების მიღების წესი, გამკაცრდეს საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციები და შესაბამის საკანონმდებლო მუშაობაში ჩაერთოს საზოგადოების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სპეციალისტების ჯგუფი. მოვითხოვთ, შს სამინისტრომ გაამკაცროს კონტროლი არალეგალებზე და დაუყოვნებლივ დაიწყოს უცხოელ მოქალაქეთა პერიოდული შემოწმება ქუჩებსა და იმ დაწესებულებებში, რომლებშიც კრიმინალური საქმიანობა ხორციელდება. ასევე, დაუყოვნებლივ დაიწყოს „ნაციონალური მოძრაობის“, მისი სატელიტებისა და უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული ანტიეროვნული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვის სამართლებრივი პროცესი. მოვითხოვთ, ხელისუფლებამ პეტიციის ჩაბარების მომენტიდან ერთი კვირის განმავლობაში გააკეთოს განცხადება, რომ დაიწყებს მუშაობას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით და გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელებისთვის ერთი თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქართული მარშის“ მონაწილენი უფლებას ვიტოვებთ, გავიმეოროთ „ქართველთა მარში“ უფრო რადიკალური ფორმით“.**

**„ქართველთა მარშის“ დასრულების შემდეგ „საქართველო და მსოფლიო“ აქციის რამდენიმე მონაწილესა და ორგანიზატორს ესაუბრა.**

## „ჭკუას ნურავინ დაგვარიგებს!“

**ალეკო თეთრაშვილი, იუმორისტი:**

— ხალხი აპროტესტებს არსებულ სიბინძურესა და უკანონობას, რაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში ხდება მთავრობის უნიათობით. ხელისუფლების გაზულუქებულ წარმომადგენლებს დაავიწყდათ, რომ ხალხის მსახურნი არიან და პასუხს აგებენ ამ ქვეყნის მოქალაქეების წინაშე. არავის შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი რამ ქართველი ხალხის სასარგებლოდ გადაწყვეტილი.

ის, რასაც ჩვენ ახლა აქ ვაპროტესტებთ, სააკაშვილის დაწყებულია, **იმედი გვქონდა, 2012 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლებოდა. გვეგონა, კანონი იკანონებდა, სამართალი იზეიმებდა, დასასჯელი დაისჯებოდა, მაგრამ სულში ჩაგვაფურთხეს. დღეს უცხოტომელი საქართველოში მევახშეობს, ქართველს ქუჩაში უსახლკაროდ ტოვებს, გვიწამლავს ახალგაზრდებს, გვიბილწავს გოგონებს...**

მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები არ დაგვითმეს, ხალხი მაინც მოვიდა დღეს, ყველამ ერთმანეთს გადასცა, სად და როდის ვიკრიბებოდით... მარში შედგა, დღეს აქ ყველა ქართველმა საკუთარი აზრის გამოხატვა შეძლო, მთავრობამ ეს უნდა დაინახოს და რეალობას თვალი გაუსწოროს. ამ „მარშის“ საპირწონედ სააკაშვილის „ნაფლეთებმა“ მავთულხლართებთან ჩაატარეს აქცია; სულ რაღაც, 120 კაცი იყო, ალბათ, ფული გადაუხადეს... ამ აქციაზე კი ხალხი თავისი ინიციატივით მოვიდა, რადგან ადამიანები თვლიან, რომ დღისით, მზისით, უბრძოლველად, საქართველოს ისტორიული მტრები დედაქალაქის ოკუპაციას ცდილობენ...

ვხედავ, ხალხი რადიკალურ მოქმედებას ითხოვს, ძალიან გაღიზიანებულია, მაგრამ ეს არ შეიძლება. ქართველები კულტურული ერი რომ ვართ, არ უნდა დაგვავიწყდეს. 1990-იანი წლებიდან ვმართავთ აქციებს, სულ რაღაცას ვაპროტესტებთ, მაგრამ არასოდეს არაფერი გაგვიფუჭებია, არ დაგვილეწია, მაშინ, როდესაც მსგავსი მსვლელობებისას ევროპის ქუჩებში ინგრევა და ილეწება ყველაფერი. ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ დავანახვეთ ყველას, როგორი ტოლერანტები ვართ ქართველები და ეს არავისგან სასწავლი არ გვაქვს. ჭკუას ნურავინ დაგვარიგებს!

## „ეს „მარში“ ხელისუფლების გამოსაფხიზლებლად გაიმართა“

**გიგა ამაშუკელი, აქციის მონაწილე:**

— დააქციეს ქვეყანა, ქართველი მევახშეები არ გვყოფნიდა, ახლა უცხოელები დაგვემატნენ და ისინი გვილევენ ბოლოს. მთავრობის წევრები ქართველ ხალხს არ უსმენენ, მათ ყველაფერი იციან, მაგრამ დუმან, ეს „მარში“ სწორედ ხელისუფლების გამოსაფხიზლებლად გაიმართა.

ქართველმა მუსლიმანურ ქვეყანაში მეჩეთს რომ მიაშარდოს, წარმოგიდგენიათ, რას უზამენ?

## „აღმაშენებელზე, ხმალი თუ არ გაქვს, არ უნდა გახვიდე. დროა, ამ საზიზღრობას ბოლო მოეღოს!“

**ვანო აბრამიშვილი, არქიტექტორი, აქციის მონაწილე:**

— აქვე ვმუშაობ და, რა თქმა უნდა, გავაპროტესტებ იმ ყველაფერს, რასაც ყოველ საღამოს ვხედავ. 10 ადამიანიდან მხოლოდ სამი ქართველი შეიძლება ნახოთ ამ ტერიტორიაზე, რადგან გარეთ გამოსვლის ეშინიათ. თვალში საცემია გახრწნილება. მოკლედ, აღმაშენებელზე, ხმალი თუ არ გაქვს, არ უნდა გახვიდე. დროა, ამ საზიზღრობას ბოლო მოეღოს! მსურდა, უფრო მეტი ხალხი მოსულიყო, აქ მთელი საქართველო უნდა იდგეს. მინდოდა, დამენახა ტრანსპარანტები, რომლებზეც სხვადასხვა ქალაქის სახელი ეწერებოდა. ქართველთა ქუჩაში გამოსვლა შიშის ზარს უნდა სცემდეს მტერს!

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბათუმი საშინელ მდგომარეობაშია, იქ ხალხს შველა უნდა, მუსლიმანები ყოველგვარ ზღვარს გადადიან და ქართველებს საკუთარ სამშობლოში ავიწროვებენ. აჭარა მისახედია, ჩვენს ულამაზეს კუთხეს სრულიად საქართველომ უნდა უდარაჯოს. პრობლემა გვაქვს და ამაზე თვალს ვერ დავხუჭავთ.

## „ქართველების პროტესტი არ უნდა დასრულდეს, სანამ ჩვენი ქვეყანა არ გაიწმინდება მტრად მოსული გადამთიელებისგან“

**ქეთევან ანდღულაძე, აქციის მონაწილე:**

— ვდგავარ აქციაზე და ცრემლს ვერ ვიკავებ, თურმე ცოცხლები ვყოფილვართ, თურმე ჯერ კიდევ შეგვრჩენია ღირსება. მიხარია, რომ აქციის მონაწილეთა უმრავლესობა ახალგაზრდაა. აქ ისეთ ადამიანებს ვხედავ, რომლებიც ქუჩაში ადვილად არ გამოდიან, ყველას დაძახილზე ქუჩაში არ დგანან, მაგრამ ჩათვალეს, რომ დღეს აღმაშენებელზე უნდა იყვნენ, რადგან დედაქალაქის ოკუპაცია ხდება, რადგან მომავალს გვიბილწავენ, ჩვენს პატარა გოგო-ბიჭებს ფულით აფუჭებენ. სხვა რა გითხრათ, დღევანდელი აქცია შედგა და მინდა, ქართველების პროტესტი არ დასრულდეს, სანამ ჩვენი ქვეყანა არ გაიწმინდება მტრად მოსული გადამთიელებისგან.

## „საქართველო ქართველებისაა და არა გაზულუქებული მაღალჩინოსნების“

**ელენე ცინცაძე, აქციის მონაწილე:**

— აქ რომ მოვდიოდი, ყველაზე მეტად პოლიციის რეაქციის მეშინოდა, რადგან, ბოლო რამდენიმე წელიწადია, პოლიტიზებულები არიან, ხალხს მოსწყდნენ და, დამცველებად კი არა, აგრესორებად გვევლინებიან. მეშინოდა, რომ გზის გადაკეტვის უფლებას არ მოგვცემდნენ და შეხლა-შემოხლა იქნებოდა, მაგრამ ახლა ვუყურებ მათ და ვხვდები, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის, რომ პოლიციელიც ქართველია და მათაც აწუხებთ ის, რაც ქვეყანაში ხდება.

ბედნიერი ვარ, ამდენი ადამიანი დგას და ყველა ერთი სურვილით არის განმსჭვალული — გადარჩეს საქართველო! გაიგოს ჩვენმა მთავრობამ, რომ საქართველო არ იყიდება, საქართველო ქართველებისაა და არა გაზულუქებული მაღალჩინოსნების, რომელთათვისაც მთავარი საკუთარი სკამი და კეთილდღეობაა. უზნეობა უნდა დასრულდეს და, რაც შეიძლება, მალე, რადგან დრო აღარ გვაქვს, უფსკრულისკენ მივექანებით, უფრო ზუსტად, მიგვაქანებენ!

## „დადექით ხალხთან, მოუსმინეთ მის გულისცემას“

**გია კორკოტაშვილი, „სამოქალაქო სოლიდარობის“ დამფუძნებელი, აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

— ვენაცვალე ჩემს ქართველებს. მოვიდნენ, ბევრნი მოვიდნენ... მიყვარს თითოეული მათგანი. მივმართავ ხელისუფლებას: **კვირიკაშვილო,** შენც მიყვარხარ, **მარგველაშვილო** — შენც... მოდით, დადექით ხალხთან, მოუსმინეთ მის გულისცემას. მჯერა, რა მოთხოვნებიც გამოგიგზავნეთ, გაითვალისწინებთ და შეასრულებთ. და თუ არა... ინტერვიუ მერე ჩამომართვან ჟურნალისტებმა.

## „მთავარი ბრძოლა წინ გვაქვს“

**სანდრო ბრეგაძე, მოძრაობა „ეროვნულების“ დამფუძნებელი, აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

— ხალხი უკმაყოფილოა. ამბობენ, — აქცია მალე დასრულდაო... ჩვენ ერთი საათი გვქონდა დრო, აქციის ჩატარებისთვის ერთი საათი მოგვცეს. რომ გადაგვეჭარბებინა, დაგვარბევდნენ, ამის შემეშინდა. რაც შეეხება, კმაყოფილი ვარ თუ არა აქციაზე მოსული ხალხის რაოდენობით, გეტყვით, რომ არა. ბევრი ხალხი მოვიდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ერმა გამოიღვიძა. ასიათასობით ადამიანი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რათა წელში გადავტეხოთ სოროსისა და უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული არასამთავრობოების იდეოლოგია. მჯერა, მთავარი ბრძოლა წინ გვაქვს. დღეს ეროვნული მოძრაობა დაიწყო და გაგრძელდება მანამ, სანამ საწადელს არ მივაღწევთ.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ომის შემთხვევაში ძალიან საინტერესო სანახავი იქნება ყუმბარებით ხელში და შეძახილით „ზა სააკაშვილი, ზა სოროსა!“, ტანკის ქვეშ შევარდნილი გიგა ნასარიძე, რომელმაც 2008 წლის ომში მხოლოდ იმ „გმირობით“ დაგვამახსოვრა თავი, რომ რუსთაველზე, ომში დამარცხებულთა „გამარჯვების“ ტაშ-ფანდურში მიიღო მონაწილეობა.**

# მოლაპარაკება ან ომი — მესამე არ არსებობს

**უმარტივესი ტესტია: იმას, რასაც აპროტესტებენ კაპიტან ეკა გიგაურისა თუ ეფრეიტორ ნინო ლომჯარიას ასოები და დიდი თუ ერთაციანი ნეოლიბერალური პარტიები, მართლმადიდებელ-ტრადიციული საქართველოსთვის აპრიორი სასიკეთოა და პირიქით — რასაც ხსენებული ლიბერასტები აქებენ და ადიდებენ, ეროვნული ცნობიერების მქონე ქართველისთვის აპრიორი მიუღებელია.**

ამ ტესტის მართებულობა კიდევ ერთხელ დადასტურდა ამა წლის 14 ივლისს, როდესაც დავით აღმაშენებლის (პლეხანოვის) გამზირზე ჩატარდა მრავალათასიანი აქცია „ქართული მარში“. ამ ერთობ მშვიდობიანმა აქციამ დიდი აურზაური და შეშფოთება გამოიწვია ქვეყნის აშკარა თუ ფარულ მოღალატეთა ნეოლიბერალურ სექტორში — ერთხმად აღნავლდნენ ლიბერალური ბეჭდვითი გამოცემები, ტელევიზიები, სოროსის არასამთავრობო გველის წიწილები და ა.შ. რომელთა საერთო სახელი მეხუთე კოლონაა. ქვეყნის გამყიდველებმა ამ მშვიდობიან (გარეგნულად) „მარშში“ თავიანთი დასასრულის დასაწყისი დაინახეს, რადგან ქართველთა სიმწრით მოკუმულ ყბებსა და რისხვით შემართულ მუშტებში შეამჩნიეს ის ფარული ბოღმა, რომელიც აუცილებლად ამოიფრქვევა და ღვთის რისხვად მოევლინება საქართველოს შინაურ თუ გარეულ მტრებს. დაინახეს ეს ყველაფერი და ავტომატურად ამუშავდა ამ ნაძირლების (რომლებსაც ფული არ აკლიათ) პროპაგანდისტულ-დემაგოგიური მანქანა.

**დემაგოგია პირველი:**

პლეხანოვზე რომ აწყობთ მარშს, თუ ვაჟკაცები ხართ, კონფლიქტის ზონაში წადით და იქ გააპროტესტეთ მცოცავი ოკუპაციაო და ისე, რომ პასუხს არ დალოდებიან, 14 ივლისს „ქართული მარშის“ პარალელურად, შიდა ქართლის სოფელ ბეშუეთში „დასცეს კარვები“ კურდღელი სააკაშვილის გამოზრდილმა „ლომებმა“. ბულანჟეცანცარა **გიგა ნასარიძე** მოსულა თავის უძლეველი არმიითო და... ეს რომ **რუსეთის არმიის გენშტაბში** გაიგეს, „ქოში უკულმა ჰყარესო“ და თბილისს დეპეშა აფრინეს — ელვა. პრემიერმინისტრ კვირიკაშვილს! ოღონდაც გიგა ნასარიძეს ნუ დამანახვებთ და სოხუმ-ცხინვალს ხომ თავისთავად დაგიბრუნებთ, „ხურდად“ სოჭსაც მოგართმევთ თავისი ოლიმპიური ინფრასტრუქტურითა და „ფორმულა 1“-ის ტრასითურთო“.

ეს ხუმრობით, სერიოზულად კი: რას ვერჩით მოსკოვს? ყველასათვის ცნობილია, რომ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სამუდამოდ ჩააბარა ის დრო წარსულს, როდესაც ნაბახუსევ **ელცინს** ვაშინგტონიდან კარნახობდნენ, როგორ ემართა ქვეყნის საზიანოდ და გასაძარცვავად რუსეთი.

რუსეთის სამხედრო თუ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ხელში საბჭოთა რუკა (პოსტსაბჭოთა რუკის შესაქმნელად საქართველოს არაფერი გაუკეთებია) უჭირავს და იმის მიხედვით ანუ სააკაშვილის მიერ ნაფეშქაშარი ახალგორის ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით მოცოცავს. დიახ სწორედ იმ ახალგორის ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით, რომელიც სააკაშვილის ვოლუნტარიზმისა და „კოკოითი ფანდარასტის“ გამო დავკარგეთ 2008 წლის აგვისტოში.

მართლაც გამეცინებოდა, რომ არ მეტირებოდეს: „რუსეთს ყოველ ცისმარე დღეს რატომ არ ეძახი ოკუპანტს?“

ამ კითხვას ისინი გვისვამენ და გვამუნათებენ, რომლებმაც, სააკაშვილის თამადობით, რომ იტყვიან, ლანგარზე მიართვეს რუსეთს მანამდე დე ფაქტო დაკარგული ცხინვალიცა და სოხუმიც, ამჯერად — დე იურედაც.

თუმცა, თავი დავანებოთ ნაცებისთვის ცოდვების შეხსენებას და მათ მიერ დაშანტაჟებული „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მივმართავ:

**ნაცებთან ერთად რომ გაიძახით, რუსეთი ოკუპანტია, ნელ-ნელა მოცოცავს ცხინვალში, მტერი სახლში შემოგვივარდაო და დასავლეთის გასაგონად ღნავილის მეტს არაფერს აკეთებთ, რა ჰქვია ამას?**

რა და რუსეთი იმასთან ერთად რომ ოკუპანტია, ე.ი. ომში გამარჯვებულიც არის და, როგორც გამარჯვებული, უნდა იხოხებს, უნდა იხტუნებს და უნდა ისკუპებს!

ამ შემთხვევაში, ან უნდა გამოაცხადო საომარი მდგომარეობა, ვიანიადან შენი ტერიტორიები ოკუპირებულია და გამოუცხადო ომი ოკუპანტს, **ან უნდა აღიარო მტრის გამარჯვება და შესაბამისი საზავო მოლაპარაკებები გამართო რუსეთთან. საკითხი ძალიან მარტივია — თუ ომში დამარცხების აღიარება არ გვინდა და უფრო მეტიც, ისეთი ცხელი თავებიც არსებობენ, რომ გაიძახიან, — ომი არ დამთავრებულა და დღესაც საომარ მდგომარეობაში ვართო, მაშინ თბილისმა ოფიციალურად გამოუცხადოს ომი მოსკოვს და ქუდზე კაცს დავუძახოთ. ხოლო თუ ქუდზე კაცისა და ომის თავი არა გვაქვს (და რუსეთთან ომის თავი მარტო ჩვენ კი არა როგორც ირკვევა თვით სამხრეთატლანტიკურ ალიანსსაც არ აქვს) მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ.**



**ბეშუეთში მიშარასტების მიერ წამოწყებული ავანტიურა პროვოკაციაა, რომელმაც შეიძლება ახალი ომი გამოიწვიოს რუსებთან, და შემდეგ მცოცავი ოკუპაცია სანატრელი გაგვიხდება, რადგან საქართველო მარტივ მამრავლებად დაიშლება, როგორც იყო რუსეთთან შეერთებამდე**

მოკლედ: ან დამარცხების აღიარება და მოლაპარაკება, ან ომი!

როგორც იტყვიან, მესამე არ არსებობს...

მაგრამ არა ამ ჩვენს ვაი პატრიოტებს თუ ვუი მოსყიდულ რენეგატებს არც ომის თავი აქვთ, არც მოლაპარაკებას ანებებს პატრონი. ჰოდა ისინიც უთავბოლოდ გაიძახიან — სანამ ჯარს არ გაიყვანს არ დავსხდებით ოკუპანტთან მოსალაპარაკებლადო. თურმე რუსეთნმა, რომელთანაც მთელი ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორებიანად“ ომით, შეშფოთებითა და რეზოლუციებით რომ ვერაფერს გავხდით, სასწრაფოდ უნდა გაიყვანოს ბაზები, სოხუმიც და ცხინვალიც ლანგრით მოგვართვას, თორემ მასთან არათუ მოსალაპარაკებლად არ დავსხდებით, ორჭოსანთან კარვებს დავცემთ და საერთაშორისო თანამეგობრობაში ისეთ პროტესტს გამოვაცხადებთ — ქვა ქვაზე აღარ დარჩება — ეს ხომ სიბრიყვეა...

**თუ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ელჩები გაიწვია, ბაზები გაიყვანა, სოხუმ-ცხინვალის აღიარება უკან წაიღო, რაღა ექნება რუსეთთან სალაპარაკო ბედოვლათ ხელისუფლებას, რომელიც ნაცების უხილავი დიქტატიდან ვერ გამოსულა და, მიუხედავად საკონსტიტუციო უმრავლესობისა, კვლავ მიშნაცების მიერ (წაიკითხე, აშშ) შედგენილი დღის წესრიგით იღვწის?**

მართლა სოჭის დაბრუნების თაობაზე ვაპირებთ რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებას?

**ომის შემთხვევაში ძალიან საინტერესო სანახავი იქნება ყუმბარებით ხელში და შეძახილით „ზა სააკაშვილი, ზა სოროსა!“, ტანკის ქვეშ შევარდნილი გიგა ნასარიძე, რომელმაც 2008 წლის ომში მხოლოდ იმ „გმირობით“ დაგვამახსოვრა თავი, რომ რუსთაველზე, ომში დამარცხებულთა „გამარჯვების“ ტაშ-ფანდურში მიიღო მონაწილეობა.**

ისე, რას გადავეკიდე ამ საწყალ გიგა ნასარიძეს, თავისი გაჭირვება არ ეყოფა ვითომ?

კი, ბატონო, მაგრამ გიგა ნასარიძე მიშარასტების კრებითი სახეა, სიტყვამ მოიტანა, ერთხელ ვახსენე და შემდეგ თავი ველარ დავანებე, თორემ ანალოგიურად შემეძლო სხვა მიშარასტების ხსენებაც, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში, როგორც პიპინია ერისთავი თავის ცხენს, ისე ასწრებდნენ საკუთარ ჯიპებს წითელ ხიდსა თუ სარფში.

ხუმრობა იქით იყოს და, **ბეშუეთში მიშარასტების მიერ წამოწყებული ავანტიურა პროვოკაციაა, რომელმაც შეიძლება ახალი ომი გამოიწვიოს რუსებთან, და შემდეგ მცოცავი ოკუპაცია სანატრელი გაგვიხდება, რადგან საქართველო მარტივ მამრავლებად დაიშლება, როგორც იყო რუსეთთან შეერთებამდე.**

**დემაგოგია მეორე:**

მთელი არასამთავრობო სექტორი აიფოფრა უცხოეთში „განათლებამიღებული“ ერთი ლაწირაკი ქალის დასაცავად, რომელმაც „ქართული მარშის“ ორგანიზატორები რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულა, ხოლო ჩვენ, აქციის რიგითი მონაწილენი, შეცდომაში შეყვანილ გულუბრყვილო მასად მოგვიხსენია. მას ამისთვის, ჩემი აზრით, დამსახურებული პასუხი გასცეს.

ჰოდა, ვიმეორებ, ამ ფაქტის გამო ისე აიფოფრა და აღშფოთდა ე.წ. არასამთავრობო სექტორი, რომ ლიბერასტული მსოფლიოს მთავარი „ფასეულობა თუ ღირებულება“, ე.წ. გამოხატვის თავისუფლება ლამის უარყონ. რაც უნდა უსიამოვნო საკითხავი იყოს სოციალური ქსელების პოსტები, თვით უკიდურესი ბილწსიტყვაობაც, ლიბერასტული მოძღვრების თანახმად, უწყინარი თვითგამოხატვის უფლების რეალიზაციაა, რომელიც დასჯას არ ექვემდებარება.

ეგეც იქით იყოს და, მინდა, სოროსის ლეკვებისა და მიშას „შნირების“ გასაგონად რამდენიმე რიტორიკული შეკითხვა დავსვა:

**სად იყავით მაშინ, როდესაც ერთმა საკუთარ დედაზე ახურებულმა „მწერალმა“ ჩვენი საყვარელი, უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის ზოოპარკის ვოლიერში გამომწყვდევა მოითხოვა? ახლა ვიღაც ცილისმწამებლის დასაცავად, რომ იტყვიან, დანაზე ეხევით და ნიფხვებიდან ხტებით, რატომ მაშინ არ მოითხოვეთ პატრიარქის შეურაცხმყოფელის დასჯა? პატრიარქის ლანძღვა-გინება გამოხატვის თავისუფლებაა და იმ „გოგოშკას“ შეურაცხყოფა სისხლის სამართლის დანაშაული?**

**დავით მხეიძე**



**P.S. არსებობს გასაბერი ქალი, გასაბერი ნავი და გასაბერი ტანკიც, რომელსაც მტრის დაზვერვის შეცდომაში შესაყვანად იყენებენ ხოლმე. და ისე, მიშისტების ვაჟკაცობის გამოსაცდელად, ორი გასაბერი ტანკით რომ გადაკეტოს რუსეთმა ბეშუეთიდან, სულ რაღაც, 400-500 მეტრში მდებარე ცენტრალური საავტომობილო ტრასა, „ლომგული“ ნასარიძე და მოქმედი ნაცები მიასწრებენ წითელ ხიდზე თუ „უდრეკი“ კვირიკაშვილი და სხვა „ოცნებელი“ ყოფილი ნაცები?**

**ნუთუ არავინ გამოჩნდება, ვინც „ბრძენ“ და ესოდენ „პატრიოტ“ ქართველ პოლიტიკოსებს (როგორც ე.წ. ხელისუფლებას, ასევე ე.წ. ოპოზიციას) შეახსენებს, რომ სოხუმისა და ცხინვალის რეგიონები საქართველოს 1956 წელს კი არ გადმოეცა, როგორც ეს ყირიმის უკრაინისთვის გადაცემის შემთხვევაში მოხდა, არამედ აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც ისტორიული, ძირძველი ქართული მიწებია.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართველთყლაპია» სტალინი და «ისტორიული მეგობარი» თურქეთი

**„საინტერესოა, რაში სჭირდება რუსეთს დამატებითი კონტაქტები, მოლაპარაკებები და საუბრები რუსეთთან“ — ამ ფრაზით დაიწყო ტელეწამყვანმა ვახო სანაიამ თავისი თოქშოუ 17ივლისის საღამოს ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.**

ამავე სიტყვებით ვიწყებ ჩემს დღევანდელ საგაზეთო წერილს, რადგან ეს ფრაზა ყველაზე ნათლად ასახავს, როგორ გამორეცხეს თანამედროვე საქართველოში მოქმედმა გარკვეულმა ძალებმა საზოგადოების არა მხოლოდ რიგითი წევრების, არამედ ცნობილი ჟურნალისტებისა და „ანალიტიკოსების“ ტვინებიც კი.

რით შეიძლება უპასუხო ცნობილი ჟურნალისტის ასეთ სრულიად სულელურ შეკითხვას? — ისევ და ისევ ირონიით: **იმათ სჭირდებათ, ხო, იმათ! აბა, ჩვენ რაში უნდა გვჭირდებოდეს რუსეთთან დიალოგი და მოლაპარაკება?! იმასაც გეტყვით, რაში სჭირდებათ: ჩვენ რომ მაგათ კრასნოდარის მხარე და რიაზანის ოლქი წავართვით, აი, მაგის დაბრუნებას გვეჩალიჩებიან! მაგრამ მედგრად დავდგეთ, ქართველებო! არ დაველაპარაკოთ რუსეთს, საერთოდ ხმა არ გავცეთ, თავი არ მოვატყუებინოთ მაგ გაიძვერებს, თორემ იმდენს იზამენ, ამ ლაპარაკ-ლაპარაკში უკან დაგვტყუებენ კრასნოდარსაც და რიაზანსაც. ეგ კი არა, მეტსაც გეტყვით: სტავროპოლის მხარის მიერთებას რომ აპირებს საქართველო, მაგასაც ველარ მოვახერხებთ, თუ ამ გაიძვერა რუსებს მოლაპარაკებებზე დავუჯდებით. აბა, რა!**

აი, რაც შეეხება თურქეთს, აქ ყველაფერი ნათელია თანამედროვე ქართველი ლიბერასტ-პროამერიკელ-პროევროპელებისთვის. **თურქეთის მიერ მიტაცებული ძირძველი ქართული მიწები 50 წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ თურქეთის საკუთრებად ოფიციალურად ცნო გაერომ, ანუ ბობოლა ევროპულმა სახელმწიფოებმა და ამერიკამ. ჰოდა, რაღა გვინდა? იმაზე, რაც ევროპამ ცნო, ხმის ამოღება როგორ შეიძლება?! ეგეც არ იყოს, უკვე 100 წელზე მეტი გავიდა, რაც თურქებმა ეგ მიწები წაგვართვეს, და ახლა მაგაზე ლაპარაკის დროა?**

ჩვენს საყვარელ სამხრეთელ მეზობელს 100 წლის წინანდელს ხომ არ გავუხსენებთ და მაგის გულისთვის ხომ არ მოვიმდურებთ? თანაც, ხომ გითხრაით, ჩვენი მეგობრები, ჩვენი ძმები, ჩვენი სტრატეგიული და გულში ჩასახუტებელი პარტნიორები, ამერიკელები და ევროპელებიც, ამ ტერიტორიებს თურქეთის საკუთრებად მიიჩნევენ და რა ვქნათ, გადავიკიდოთ სამტროდ ასეთი ოქროს მეგობრები?

თუმცა, თუკი ლიბერასტული გულის თუნდაც სულ პატარა კუნჭულში მაინც გაკრავთ თურქებისაგან წართმეული სამხრეთ საქართველოს ბოლმა, განტევების ვაციც იქვეა — ღორმა რუსებმა აჩუქეს თურქებს ქართული მიწები!

აბა!

ჩვენს „ისტორიულ მეგობრებსა და ძმებს“ — თურქებს არაფრის დიდებით არ უნდოდათ ეს მიწები. არც კი მოუთხოვიათ, პირიქით, უხერხულობდნენ, — ჩვენს ძმა ქართველებს ეგ მიწები როგორ წავართვათ, ტეხავსო და ამ ღორმა რუსებმა დააძალეს და დაემუქრნენ კიდეც, თუ არ წაიღებთ სულ თავზე დაგაფშვნით მაგ ქართულ მიწებსო! აი, ამის შემდეგ რაღა ექნათ საწყალ თურქებს და იძულებული გამხდარან, წაეღოთ...

ისე, **ზოგიერთი ბოროტი გულის პატრონი და თურქეთ-საქართველოს შორის მეგობრობის წყლის ამღვრევის მსურველი იმასაც კი გაიძახის, — თუკი მასე იყო, ახლა ვიღა უშლით ხელს, ადგნენ ეს ჩვენი მეგობარი თურქები და დაგვიბრუნონ ქართული მიწები, ამით ხომ ყველაზე უკეთ დაადასტურებენ კეთილგანწყობასა და მეგობრობის სურვილსო...**

ამ არგუმენტზე ლიბერასტებს პასუხი არ აქვთ, სამაგიეროდ, ასეთი არგუმეტების წამომყენებლებს უწოდებენ „რუსების მონას“ „საბჭოთა გადმონაშთს“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „სტალინის ფანატსაც“ კი.

ჰო, აი, **სტალინზე** მინდოდა მეთქვა: როგორ გაბედა ამ არაპატრიოტმა და ქართველების მოძულე იოსებ ბესარიონოვიჩმა, რომ 1945 წელს თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნება დააპირა? დიახ, **არსებობს მეორე მსოფლიო ომის მიწურულს დაბეჭდილი რუკები, რომლებზეც პირდაპირ არის მონიშნული თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ოლქები, რომელთა დაბრუნებასაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვს თურქეთისგან და, როგორც იმჟამინდელი წყაროები და არქივები გვაუწყებენ, თურქეთის მიერ მიტაცებულ ყველა ქართულ ადმინისტრაციულ ოლქში რაიკომის მდივნებიც კი იყო დანიშნული უკვე.**

ეს პროცესი ჩვენი მოძმე და განუყრელი მეგობარი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იაპონიაში ატომური ბომბის ჩამოგდებამ და ბრიტანეთის მიერ თურქეთის ურყევმა მხარდაჭერამ შეაჩერა.

**უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, „ჩვენი მტერი“, არაპატრიოტი, „ქართველთმოძულე“ იოსებ ბესრაიონის ძე სტალინი და საბჭოთა არმია საქართველოს უბრუნებდა თურქების მიერ მიტაცებულ ძირძველ ქართულ მიწებს, ხოლო ჩვენმა „მეგობარმა“, „მოკეთემ“ და „მოსიყვარულე“ ამერიკამ და ევროპამ ეს მიწები ისევ თურქებს დაუნარჩუნა.**

თანაც, ხომ გახსოვთ, იმ მიწებზეა საუბარი, თურქებს წაღება რომ არ უნდოდათ და რუსებმა ძალით რომ აჩუქეს...

ლოგიკა ვერ გაიგეთ?

რა გაეწყობა, ე.წ. პროევროპელებისა და „ლიბერასტების“ ლოგიკის ახსნას მეც, აგერ უკვე ბარე 20 წელიწადია, ვცდილობ და ვერაფრით ჩავწვდი....

ხოლო თუ ირონიას შევეშვებით და სერიოზულად ვიტყვით სათქმელს, ფაქტია: სტალინის მიერ მართლაც იყო მომზადებული საქართველოს ძირძველი სამხრეთ მიწების დაბრუნების თემა და შესაბამისი რუკები ერთვის კიდეც ამ საგაზეთო წერილს.

მთავარი მაინც ის არის, რომ **სტალინს არ მოუთხოვია ეს მიწები თურქეთისთვის, როგორც ომში დამარცხებული ფაშისტური გერმანიის მოკავშირისთვის. ამ მიწების თურქეთისთვის ჩამორთმევის მიზეზად პირდაპირ იყო დასახელებული, რომ ეს ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკის, კერძოდ, საქართველოს, ძირძველი ტერიტორიაა და თურქეთმა იგი საქართველოს უნდა დაუბრუნოს.**

ლიბერასტებისა და თურქეთის ფულით დაფინანსებული „ენჯეოების“ წარმომადგენლების რეცეპტული „არგუმენტი“ წინასწარ ვიცი — ანუ, „შენ ამბობ რომ რუსეთი და სტალინი საქართველოზე ზრუნავდა და ცდილობდა, მისთვის ისტორიული მიწა-წყალი დაებრუნებინა? ბოლშევიკებს არ ეძინათ საქართველოზე ფიქრით?“

მსგავსი ძალად ირონიული ტონი ხშირად მომისმენია, მაგრამ ვინც სერიოზულად ფიქრობს და ცდილობს, რომ ჩვენმა სამშობლომ რაც შეიძლება ნაკლები ზარალი ნახოს სამხრეთითა და ჩრდილოეთით წამომართული ორი უზარმაზარი იმპერიის დაპირისპირების შედეგად, ასეთი ადამიანებისთვის ნათელია, რომ ჩვენ, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით, უბრალოდ, ჩვენთვის მაქსიმალური სარგებლის მიღებაზე უნდა ვიზრუნოთ, თორემ საქართველოზე ფიქრით თავს არც რუსეთი იკლავს, არც თურქეთი და არც არავინ დედამიწაზე.

ნებისმიერ ქვეყანას, განსაკუთრებით კი რუსეთისა და თურქეთის ზომისა და ამბიციის მქონე ქვეყნებს, პირველ რიგში, საკუთარი ინტერესების გატარება და დაკმაყოფილება რომ სურთ, ეს, წესით, ნებისმიერმა საშუალოდ მოაზროვნე ბავშვმაც კი უნდა იცოდეს.

**ისტორიული მეგობარი უწოდო ქვეყანას, რომელსაც შენი ძირძველი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აქვს მიტაცებული, იქ არსებული ქართული ძეგლები განადგურებული და შებღალული, იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობისთვის რჯული და რელიგია ძალდატანებით შეცვლილი და ქართული ენა აკრძალული, ეს სიბეცე აღარ არის, ეს შეგნებული მტრობაა ქვეყნისა და სამშობლოსი.**

კარგი, ჯანდაბას, თურქეთთან რაც არის და როგორც არის, გასაგებია, მაგრამ დღეს რუსეთს რომ აქვს მიტაცებული ჩვენი მიწები, მაგაზე რას იტყვით? — „ლიბერასტი“ თურქეთუმეების ამ არგუმენტს ვუპასუხებ:

— რას ვიტყვი და იმას, რომ რუსეთის ასეთი ქმედებაც, ჩვენი, ქართველების, თურქეთის მიმართ ტუტუცურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. **რუსებმა დაინახეს, რომ ქვეყნას, რომელმაც 100 წლის წინათ ჩვენი მიწების დიდი ნაწილი მიიტაცა, ვეფერებით, ველოლიავებით, „ისტორიულ ძმას“ ვუწოდებთ... ესე იგი, არაფრად მიგვაჩნია ჩვენგან 100 წლის წინათ მიატაცებული მიწა. ჰოდა, ადგნენ ეს რუსებიც და წაგვართვეს სოხუმი და ცხინვალი — ქართველები ეგეთები ხართ, გაივლის 100 წელიწადი და სოხუმსა და ცხინვალზეც ისევე არაფერს გვეტყვით, როგორც დღეს თურქებს არაფერს ეუბნებით ბანაზე, ტაოზე, შატბერდზე და ასე შემდეგო. გაივლის 100 წელიწადი და კი, ბატონო, ჩვენც თქვენი „ისტორიული მეგობრები“ გავხდებითო!** ფაქტობრივად, თავად ვუკარნახეთ რუსეთს, როგორ უნდა მოქცეოდნენ საქართველოს, ქართული მიწები საბოლოოდ რომ მიეტაცებინათ; ანუ, როგორც მოგვექცა 100 წლის წინათ თურქეთი, ზუსტად ისე გვექცევა დღეს რუსეთი და სულაც არ არის გამორიცხული, რომ 100 წლის შემდეგ გაერომ სოხუმიცა და ცხინვალიც რუსეთის ტერიტორიად ცნოს. ამის შემდეგ რუსეთი მყისვე გახდება ჩვენი „ისტორიული მეგობარი“, ხო?

სხვათა შორის, ამ წერილის გამოქვეყნებას საქართველოში უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს ვიზიტი დაემთხვა და ისევ დაიწყეს ასეთი ფრაზების გაუაზრებლად (ან სწორედაც მიზანმიმართულად და გააზრებულად) წამოსროლა ქართველმა პოლიტიკოსებმა: „ჩვენ და უკრაინას ერთი და იგივე პრობლემა გვაქვს, სოხუმ-ცხინვალის რეგიონები საქართველოში და ყირიმი უკრაინაში რუსეთის მიერ არის ოკუპირებული“.

არადა, **ყველაზე დიდი შეცდომა და ისტორიის დამახინჯება სწორედ სოხუმ-ცხინვალის რეგიონებისა და ყირიმის ერთმანეთის გვერდით, ერთ სიბრტყეში დაყენებაა.**

სინამდვილეში **უკრაინისთვის ყირიმის პრობლემა და საქართველოსთვის სოხუმ-ცხინვალის რეგიონების პრობლემები კატეგორიულად განსხვავებულია. ჩვენ, ქართველები, მათ ერთ სიბრტყეში დაყენებას კი არა, პირიქით, ამ პრობლემების კატეგორიული განსხვავების ხაზგასმას უნდა ვცდილობდეთ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.**

**ნუთუ არავინ გამოჩნდება, ვინც „ბრძენ“ და ესოდენ „პატრიოტ“ ქართველ პოლიტიკოსებს (როგორც ე.წ. ხელისუფლებას, ასევე ე.წ. ოპოზიციას) შეახსენებს, რომ სოხუმისა და ცხინვალის რეგიონები საქართველოს 1956 წელს კი არ გადმოსცემია, როგორც ეს ყირიმის უკრაინისთვის გადაცემის შემთხვევაში მოხდა, არამედ აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც ისტორიული, ძირძველი ქართული მიწებია.**

სტალინი აუცილებლად შეახსენებდა...



ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოლიტიკოსი ხალხის გამოღვიძებას კი არ უნდა ელოდოს, პარლამენტში რომ ზის და დამღუპველ კანონებს იღებს, ამაზე იფიქროს. თუ სოდომიას დააკანონებს და სკოლებში გარყვნილების სწავლებას დაუჭერს მხარს, რომელი ახალგაზრდა გამოფხიზლდება?! თვითონ არის ძალაუფლებას დახარბებული, იყიდება და ვინ გაჰყვება, ვინ დაუჭერს მხარს?!“**



# მამა გურამი (გამცემლიძე): ვის სჭირდება სოდომიით შეპყრობილის სისხლი ან იმ ადამიანს ვინ დაიცავს, რომელსაც ავადმყოფის სისხლი შეიძლება გადაუსხან?

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გურამი (გამცემლიძე).**

**— მამაო, რამდენიმე დღის წინათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო ჯანდაცვის მინისტრის 2000 წლის №241/6 ბრძანება, რომელიც მამაკაცთან სქესობრივი კავშირის მქონე მამაკაცის მიერ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობას კრძალავდა. ეს ცვლილება ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებაა. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს საქართველოსთვის მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებები, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— ეკლესიას აქვს თავისი მყარი პოზიცია ჰომოსექსუალიზმისა და მსგავსი გადახრების მიმართ: ეს არის ავადმყოფობა. ჰომოსექსუალები არიან ავადმყოფები, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად და არსებობს არაერთი მეცნიერული კვლევა, რომლებიც ამტკიცებს, რომ უამრავი დაავადება, მათ შორის, შიდსიც, აღმოცენდა სწორედ ამ გადახრების მქონე ადამიანებში. კიდევ ვიმეორებ: ეს არის დაავადება და როგორ შეიძლება მათი სისხლის გამოყენება და გადასხმა ჯანმრთელი ადამიანისთვის?! ან რა დისკრიმინაციასა და უფლებებზეა ლაპარაკი?! იმ ადამიანს ვინ დაიცავს, რომელსაც ავადმყოფის სისხლი შეიძლება გადაუსხან?! უკვე ყველასთვის ნათელია, რა მიზანს ემსახურება ეს საკანონმდებლო ცვლილებები — ხდება კაცობრიობის გარყვნა და გაპირუტყვება იმისთვის, რომ ადამიანს წაართვან ზნეობა, ყველაფერი ადამიანურის განცდა. ის ხალხი კი, რომელიც მამათმავლობას აკანონებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ გარყვნილების მხარდამჭერია, მაგრამ, სინამდვილეში, მათ არავის უფლებები არ აინტერესებთ. ან **ვის რისთვის სჭირდება სოდომიით შეპყრობილის სისხლი?! რის გაცემაც შეუძლიათ და რის მიმცემები არიან, ყველამ ვიცით... ნორმალური ადამიანი, სულაც რომ კვდებოდეს, ჰომოსექსუალის სისხლს გადაისხამს?!**

**— თქვენი აზრით, ეს ე.წ. ნეოლიბერალური პოლიტიკა გარედანაა თავსმოხვეული თუ აქ იქმნება, ჩვენი პოლიტელიტის წიაღში?**

— რა თქმა უნდა, გარედანაა თავსმოხვეული, მაგრამ ეს არ ამართლებს პარლამენტს, რომ გარყვნილება დააკანონოს. უცხო ძალებმა შეიძლება ბევრი რამ დაგავალონ, მათ შორის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაც, მაგრამ პარლამენტში რომ ზიხარ, ორი გრამი ტვინი და ღირსება უნდა გქონდეს, ფულზე, კეთილდღეობაზე რომ არ გაიყიდო. მახსოვს, როცა „ანტიდისკრიმინაციულ კანონს“ იღებდნენ, ზოგიერთი დეპუტატი გაჩუმდა, ზოგი საერთოდ არ მივიდა კენჭისყრაზე.

**«არაერთი მეცნიერული კვლევა ამტკიცებს, რომ უამრავი დაავადება, მათ შორის, შიდსიც, აღმოცენდა სწორედ ამ გადახრების მქონე ადამიანებში. კიდევ ვიმეორებ: ეს არის დაავადება და როგორ შეიძლება მათი სისხლის გამოყენება და გადასხმა ჯანმრთელი ადამიანისთვის?! ან რა დისკრიმინაციასა და უფლებებზეა ლაპარაკი?! იმ ადამიანს ვინ დაიცავს, რომელსაც ავადმყოფის სისხლი შეიძლება გადაუსხან?!»**

ალბათ, ეგონათ, რომ ამით აიცილეს უმძიმესი პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ იყო, როცა უნდა გაჩუმდე, ეს ის შემთხვევაა, როცა დუმილით უმძიმეს ცოდვას ჩადიხარ და ამ პასუხისმგებლობას ისინი ვერ გაექცევიან.

**— თუმცა იმჟამინდელ პარლამენტში იყვნენ დეპუტატები, რომლებიც თავის დროზე ეროვნული ტანსაცმლით დადიოდნენ კენჭისყრაზე. ალბათ, გახსოვთ განცხადებები წინა მოწვევის პარლამენტში იმის თაობაზე, რომ კაცებს — ჩოხა-ახალუხით, ხოლო ქალებს ჩიხთიკოპით ევლოთ პლენარულ სხდომებზე.**

— დღევანდელ პარლამენტში არც ერთ დეპუტატს არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ რომელიმე საკითხზე საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას — ეშინიათ. თუმცა მხოლოდ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა საკმარისი არ არის. უნდა გქონდეს ქრისტიანული სული და საქმით, მოქმედებით უნდა ამტკიცებდე, რომ ქვეყანაზე, ხალხსა და ეროვნულ ფასეულობებზე გული შეგტკივა. მათში მსგავს რამეს ვერ ვხედავ...

**— რის ეშინიათ მათ, როგორ ფიქრობთ?**

— უწინარესად, ძალაუფლების დაკარგვის. ესენი არიან ფულს დახარბებული ადამიანები, რომლებმაც ღირსება, სინდისი და ნამუსი კეთილდღეობაზე გაცვალეს. მეორეც — დარწმუნებული ვარ, თითოეულ მათგანზე აქვთ კომპრომატები. როცა დასჭირდებათ, დაუდებენ ამ კომპრომატებს და დასრულდება მათი პოლიტიკური კარიერა. რაც შეეხება ჩოხა-ახალუხიან და ჩიხტიკოპიან დეპუტატებს, მახსოვს, ერთ-ერთ მათგანს (ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ) ვკითხე ეკლესიის ეზოში, გვეშველება რამე-მეთქი? — როცა ხალხი გამოფხიზლდება, მხოლოდ მაშინო...

არადა, პოლიტიკოსი ხალხის გამოღვიძებას კი არ უნდა ელოდოს, პარლამენტში რომ ზის და დამღუპველ კანონებს იღებს, ამაზე იფიქროს. თუ სოდომიას დააკანონებს და სკოლებში გარყვნილების სწავლებას დაუჭერს მხარს, რომელი ახალგაზრდა გამოფხიზლდება?! თვითონ არის ძალაუფლებას დახარბებული, იყიდება და ვინ გაჰყვება, ვინ დაუჭერს მხარს?! საერთოდ, **ლიბერალიზმი ყველაფრის შემწყნარებლობაა და, როცა იწყნარებ მამათმავლობას, ქურდობას, ნარკომანიას — ეს ადამიანის გაპირუტყვების დასაწყისია.** ქაოსი და ყველაფრის შემწყნარებლობა დემოკრატია არ არის, მას სიკეთე არ მოაქვს არც პიროვნებისთვის და არც ქვეყნისთვის, ის ანგრევს ადამიანს და ანგრევს სახელმწიფოსაც...

**— ნარკოტიკები ახსენეთ და დღე-დღეზე სასამართლო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება ლეგალური გახდება. პარალელურად საუბრობენ ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის სამოქალაქო პარტნიორობის უფლების მინიჭებაზეც. თქვენი აზრით, დაირაზმება საზოგადოება ამ პროცესების წინააღმდეგ?**

— სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ მაქვს, რომ ამ ეტაპზე საზოგადოება დაირაზმება. ყველას სათითაოდ რომ შეეხება ეს პრობლემა, ალბათ, მაშინ გამოფხიზლდებიან, მაგრამ ძალიან გვიან იქნება და მას თაობები შეეწირება. ამიტომ ვამბობ ყოველთვის, სადაც საშუალება მომეცემა: სანამ გვიან არ არის, ხმა უნდა ამოვიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავკარგავთ თაობებს და ეს ყველას ოჯახს, ყველას შვილს შეეხება. ნურავის ეგონება, რომ შვილს ისე გაზრდის, როგორც უნდა. ვერ გაზრდის, ამის უფლებას ფიზიკურად არ მოგვცემენ. **გექნება საღი აზრი და შეეცდები, ბავშვი სწორად აღზარდო, მოგივარდებიან და წაგართმევენ. მერე ამას დემოკრატიას დაარქმევენ, შენ კი მოძალადედ გამოგიყვანენ...**

პროპაგანდას აქვს ძალიან დიდი ძალა და, რაც დღევანდელ მსოფლიოში ხდება, ამის ნათელი მაგალითია. წარმოიდგინეთ, რა უქნეს კაცობრიობას: ადამიანები დაარწმუნეს, რომ ცოლ-ქმარი შეიძლება ერქვას კაცსა და კაცს ან ორ ქალს; ადამიანები დაარწმუნეს, რომ ჰომოსექსუალიზმი, რომელიც მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ავადმყოფობაა, ნორმალური მოვლენაა. ახლა დაფიქრდით, რა შეიძლება მოხდეს ათი წლის შემდეგ, თუ, საერთოდ, იარსებებს კაცობრიობა. **კაცი იქცევა ცხოველად — არ ექნება ზნეობა და ღირსება. ინცესტი, სოდომია, ნარკომანია ჩვეულებრივ ნორმად იქნება მიღებული. აი, ეს არის მათი ლიბერალიზმი და თავისუფლება, ეს არის მათი დემოკრატია, რომელსაც ადამიანის უფლებების სახელით გვიფუთავენ.**

**— პროპაგანდაში, რომელიც თქვენ ახსენეთ, მსოფლიოში კოლოსალური თანხები იხარჯება. ტარდება ე.წ. ტრენინგები, ამოქმედებულია მთელი რიგი პროგრამებისა და მათი საშუალებით ახდენენ ადამიანების ცნობიერებაზე ზემოქმედებას. საქართველოში ამ პროპაგანდას ალტერნატივა არ აქვს, ფაქტობრივად, არ არსებობს მეორე მხარე, რომელიც მისი რეალური საპირწონე იქნება. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეკლესია უფრო აქტიური უნდა იყოს, უფრო აქტიურად ამხელდეს და ებრძოდეს ე.წ. ნეოლიბერალურ იდეოლოგიას?**

— არა, ეკლესია იმაზე მეტსაც აკეთებს დღეს, ვიდრე უნდა აკეთებდეს. არც ერთი მოვლენა არ ყოფილა, არც ერთი კანონი არ მიუღია ხელისუფლებას ისე, რომ საპატრიარქოსა და ეკლესიას თავისი მყარი პოზიცია არ გამოეხატა. სხვა აქტიურობაში რას გულისხმობთ?

**— მაგალითად, ხომ შეიძლება, საპატრიარქოს ტელევიზიამ გააკეთოს გადაცემები მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე, „ნეოლიბერალური“ პროპაგანდის ტერორზე და ამხილოს ეს პროცესები?**

— საპატრიარქოს ტელევიზიაზე ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, საერთოდ, რას შვრება ეს ტელევიზია, ვინ განაგებს, რა კუთხით მუშაობს ან რა უნდა. ისინი არც იქით არიან და არც აქეთ. საზოგადოდ, მე ეს ტელევიზია არ მომწონს და არც არასდროს მომწონდა. შესაბამისად, საერთოდ, არ ვუყურებ.

**— თქვით, რომ ამ ეტაპზე საზოგადოების დარაზმვის დიდი იმედი არ გაქვთ. სასულიერო პირი ბრძანდებით და მუდმივად გიწევთ ადამიანებთან ურთიერთობა, როგორ ფიქრობთ, იმ იდეოლოგიურმა ტერორმა, რომელსაც, უკვე წლებია, „პროდასავლური ნეოლიბერალური“ პოლიტელიტა განუხრელად ახორციელებს, საზოგადოებას დაატყო კვალი? და თუ დაატყო, რაში ჩანს?**

— როგორ გითხრათ, ორისამი წლის წინათ სხვანაირი ახალგაზრდობა იყო, უფრო აქტიურები იყვნენ ეკლესიურობის, მორწმუნეობის მხრივ და ვფიქრობდი, რომ ვერავინ ვერაფერს უზამდა ამ ახალგაზრდობას. ახლა კარდინალურად განსხვავებული მდგომარეობაა. **ახალგაზრდები თითქმის აღარ დადიან ეკლესიაში, უფრო უხეში გახდნენ, აიშვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება გახრწნისკენ მიდის; და რა არის ამის მიზეზი? მიზეზი არის ის, რომ ხალხმა დაკარგა რწმენა, ხელისუფლება კი ძალღონეს არ იშურებს, რომ ადამიანები დაშორდნენ დედაეკლესიას. ამას აკეთებდა „ნაციონალური მოძრაობა“ და იგივე გრძელდება დღესაც.**

**— დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ხედავთ ძალას, რომელმაც შეიძლება ძირფესვიანად შეცვალოს ვითარება?**

— სამწუხაროდ, დღეს ასეთი სერიოზული, ჩამოყალიბებული ძალა არ არსებობს, ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს. ეს — რაც შეეხება პოლიტიკურ სპექტრს, მაგრამ ვიცი, რომ, თუ ქართველი ერი შემობრუნდება უფლისკენ, ღმერთი არ დაუშვებს ჩვენს დაღუპვას. კიდევ ვიმეორებ: ჩვენი პატრონი, ჩვენი მშველელი არავინაა დედამიწის ზურგზე, გარდა ღვთისმშობლისა და უფლისა, ამიტომ, როცა სწორად ვცხოვრობთ და სწორად ვადიდებთ უფალს, ერიც და ბერიც კარგადაა; ხოლო, როცა ვშორდებით ეკლესიას, ყველაფერი უკან მიდის. ეს ასე ხდება ისტორიულად და ამას ყველა უნდა ხედავდეს. თუ ხარ ეკლესიური და მართლმადიდებელი, ყოველთვის უნდა იყო, ყველგან უნდა იყო და არა ისე, როგორც ესენი არიან, — შემოხვალ ეკლესიაში, პირჯვარს გადაიწერ, გახვალ და ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებ... მათ უნდა იცოდნენ, რომ, როცა ღმერთი დაუშვებს, მაგ კანონის დამწერსაც და მიმღებსაც ერთდროულად მოგვაშორებს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**არ არის გამორიცხული, სისხლის ბანკში ნაყიდი სისხლი არატრადიციული ორიენტაციის ადამიანისა იყოს და ჩვენს შვილებს გადავუსხათ, მერე კი ... მერე ის, რომ მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები ჩვენც შეგვაშინებს და ბავშვსაც; საბოლოოდ კი ვერც მივხვდებით, რა მოხდა და რატომ აერია ცხოვრება თუ გონება შვილს, რომელსაც მანამდე ანალოგიური ნიშნები არ ჰქონდა.**

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთმანეთს რომ გადაუსხან სისხლი და ერთმანეთის დონორები იყვნენ, არ შეიძლება?

**13 და 14 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ორი გადაწყვეტილება მიიღო და ორივე ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა. შესაბამისად, ორივე გადაწყვეტილებაზე სპიკერ-მოსამართლემ განმარტება გააკეთა და ყველას გასაგონად აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზევით სხვა ინსტანცია აღარ არის, ანუ გადაწყვეტილებებს ვერავინ გაასაჩივრებსო. ჯერ ორივე გადაწყვეტილებას გაგაცნობთ:**

**საკონსტიტუციო სასამართლოს 13 ივლისის გადაწყვეტილება:** „2017 წლის 13 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების — გოჩა გაბოძისა და ლევან ბერიანიძის — (კონსტიტუციური სარჩელი №878) მოთხოვნა და ძალადაკარგულად ცნო „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერის №241/6 ბრძანების №1 დანართის 24-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც კრძალავდა მამაკაცთან სქესობრივი კავშირის მქონე მამაკაცის მიერ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობას. №878 კონსტიტუციური სარჩელის ავტორები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსი და მოითხოვდნენ მის ძალადაკარგულად ცნობას გამარტივებული წესით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე. №2/1/536 გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ჰომოსექსუალი პირებისთვის სისხლის დონაციის უფლების განუსაზღვრელი ვადით აკრძალვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ მსმ (მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან) ჯგუფისთვის დაწესებული აკრძალვა იყო აბსოლუტური და არ განსაზღვრავდა კონკრეტულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც აღნიშნული ქცევა ქმნიდა რისკებს დონაციის პროცესის უსაფრთხოებისთვის...“

**საკონსტიტუციო სასამართლოს 14 ივლისის გადაწყვეტილება:** „დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელები №701 („საქართველოს მოქალაქე ჯამბულ გვიანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), №722 („საქართველოს მოქალაქე დავით ხომერიკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და №725 („საქართველოს მოქალაქე ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი: ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 73-ე ჰორიზონტალური გრაფით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება — კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართ; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 73-ე ჰორიზონტალური გრაფით განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (64 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება — კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისათვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართ; გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 73-ე ჰორიზონტალური გრაფით განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (151 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება — კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის, მოყვანის ან კულტივირებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართ; დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით „ექვსიდან თორმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 73-ე ჰორიზონტალური გრაფით განსაზღვრული მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (266 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება — კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით „ექვსიდან თორმეტ წლამდე“, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტისნ მიმართ...“



**მოსამართლეები, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მზად არიან, თავიანთ შვილებს არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების სისხლი გადაუსხან? მზად არიან, რისკის ქვეშ დააყენონ ბავშვები და მათ ცხოვრება და მომავალი დაუნგრიონ?**

პირველი გადაწყვეტილებით დავიწყოთ. ადრეც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ საქართველოში არნახული მასშტაბით ხდება ე.წ. არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირთა პოპულარიზაცია. კარგად მახსოვს, კანონი, რომელიც 2000 წელს მიიღეს, საინტერესოდ დაასაბუთეს: **„ადამიანმა, რომელსაც სჭირდებოდა სისხლის ხშირი გადასხმა და იშვიათი სისხლის ჯგუფის გამო უსხამდნენ მწეველი ადამიანის სისხლს, გარკვეული პერიოდის შემდეგ მოწევა დაიწყო. ეს ექიმებმა იმით ახსნეს, რომ გადასხმულმა სისხლმა ახალ ორგანიზმს ნიკოტინი მოსთხოვა...“**

შედეგად მივიღეთ ნორმა, რომ არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების სისხლი დონაციისთვის არ გამოეყენებინათ, რადგან არავინ იყო დაზღვეული, რომ განკურნებულ კაცს ერთ მშვენიერ დღეს გული სხვა კაცისკენ გაუწევდა, და ეს მაშინ, როცა მანამდე ჩვეულებრივი, ჯანსალი ცხოვრების წესით ცხოვრობდა (არ თქვათ ახლა, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებიც ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენო). აკრძალვამ 17 წელს გაძლო და, სიმართლე გითხრათ, ისიც არ ვიცი, როგორ ამოწმებდა სისხლის ბანკი სისხლის ჩასაბარებლად მისულ ადამიანებს ორიენტაციაზე, მაგრამ შეზღუდვა არსებობდა. ახლა კი, **არ არის გამორიცხული, სისხლის ბანკში ნაყიდი სისხლი არატრადიციული ორიენტაციის ადამიანისა იყოს და ჩვენს შვილებს გადავუსხათ, მერე კი ... მერე ის, რომ მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები ჩვენც შეგვაშინებს და ბავშვსაც; საბოლოოდ კი ვერც მივხვდებით, რა მოხდა და რატომ აერია ცხოვრება თუ გონება შვილს, რომელსაც მანამდე ანალოგიური ნიშნები არ ჰქონდა.**

ახლა გამოვლენ უფლებადამცველები და იტყვიან, რომ არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანებსაც აქვთ სიცოცხლის უფლებაო. ამაზე არ ვდავობთ (სოდომ-გომორის ისტორიის მიუხედავად), მაგრამ **ერთმანეთს გადაუსხან სისხლი და ერთმანეთის დონორები იყვნენ, არ შეიძლება?** მით უმეტეს, ეს არატრადიციული სოლიდარობა მოჭარბებული აქვთ და, ამ ყველაფერს სოროსის ფონდიდან ჩარიცხულ თანხებსაც თუ დავუმატებთ, შეიძლება ითქვას, ისინი სისხლისმიერი ძმებიც კი არიან.

მე... ჩვენ... როგორც რიგითი მოქალაქეები, როგორც რიგითი ქართველები (ჰო, ქართველები!), კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით აღნიშნულ ნორმას და ძალიან მაინტერესებს, **ის მოსამართლეები, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მზად არიან, თავიანთ შვილებს არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების სისხლი გადაუსხან? მზად არიან, რისკის ქვეშ დააყენონ ბავშვები და შემდეგ ამ ბავშვებს ცხოვრება და მომავალი დაუნგრიონ?** საეჭვოა, ასე იყოს და, თუ თვითონ არ სურთ ეს, რატომ გვაყენებენ რისკის ქვეშ რიგით ქართველებს (ქართველებს-მეთქი!)... ქართველებს იმიტომ, რომ საქართველო კავკასიის რეგიონისთვის გახრწნილების სინონიმი შეიქნა, იმიტომ, რომ დანარჩენი კავკასია „საგულაოდ“ აქ ჩამოდის და ჩვენ კი ტურისტების რაოდენობის მატება გვიხარია, აქაოდა, ბიუჯეტში ფული შედისო. ფული კი არა, რუსეთში რომ დაფრინავდა ხოლმე „საგულაოდ“ უფროსი თაობა, ისე დაფრინავს ახლა საქართველოში „საგულაოდ“ ლამის მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე, იმიტომ, რომ აქ ყველაფერი იაფი და ხელმისაწვდომია....

რაც შეეხება 14 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებას, საინტერესო ტერმინები გაჩნდა ჩანაწერში. თურმე, მარიხუანის შეძენა-მოხმარების გარდა, მისი კულტივაცია და მოყვანაც დასაშვებია. ჰო, სწორედ ასე წერია, კულტიცივაცია და მოყვანა. სქემა მარტივია — **მოზარდებს შეუძლიათ, ეზოში მარიხუანა დათესონ და მოიყვანონ. და, თუ შემთხვევით მშობელმა გააპროტესტა, ბავშვი არასამთავრობოებს დაურეკავს, ისინი კი მოვლენ ტელევიზიებთან ერთად და ხმაურს ატეხენ, — მშობელი შვილს კაიფს უშლისო. დარცხვენილ მშობელს მერე ნახევარი საქართველო დაამუნათებს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ ნორმას როგორ უგულებელყოფს ეს არამზადაო, და შეიქნება განხილვის საგანი სოციალურ ქსელში. იმ ქსელში, რომელშიც მარიხუანის მოყვანაკულტივაციაზე უკვე ვიდეოებს აქვეყნებენ ახალგაზრდები და ერთმანეთს ასწავლიან, როგორ უნდა მოუარონ მარიხუანის ნერგს, ძლიერმოქმედი რომ გამოვიდეს და იმაზე მეტად გააბრუოს ახალგაზრდა თაობა, ვიდრე ჩვეულებრივმა მარიხუანამ.** ჰოდა, ასე მოვიქცეთ — **გადავუსხათ გეებისა და ლესბოსელების სისხლი მომავალ თაობას, შემდეგ მარიხუანა დავაყოლებინოთ და „საგულაოდ“ ჩამოსულ ტურისტს ფიანდაზად გავუფინოთ ფეხქვეშ...** რაღა ფეხქვეშ, ქვეშ და მერე, თრიაქის ნაბახუსევზე ბერშუეთთან ჩავიდეთ და ვიძახოთ, რუსი ოკუპანტი-თქო. ჩვენი დასავლელი ე.წ. პარტნიორების მთავარი დავალება ხომ ეს არის — ამის ყვირილი და თაობის გამოთაყვანება!

**ბესო ბარბაქაძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოკითხვების თანახმად, პლახოტნიუკს ამომრჩეველთა 1-2% პროცენტი ენდობა, მაშინ, როდესაც 90%-ზე მეტი არ ენდობა. სერიოზულად დაეცა მისი „დემოკრატიული პარტიის“ რეიტინგიც. ეს პარადოქსულ ვითარებას ქმნის, ქვეყანას ფაქტობრივად ნულოვანი რეიტინგის მქონე ფიგურა მართავს, რომელსაც არანაირი თანამდებობა არ უკავია — ის მხოლოდ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა.**

# ვინ არის «მოლდოველი ივანიშვილი»?

**ოლიგარქები პოლიტიკაში თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ერევიან, თუმცა მხოლოდ ორში, საქართველოსა და მოლდოვაში, ყალიბდება სისტემა, რომელსაც პირობითად შეიძლება „ოლიგარქული ერთმმართველობა“ ეწოდოს. ვინ არის ვლადიმერ (ვლად) პლახოტნიუკი და რით ჰგავს ის ბიძინა ივანიშვილს?**



ვლადიმერ პლახოტნიუკი

პლახოტნიუკი 1966-ში დაიბადა, ბიზნესსაქმიანობა კი 90-იანებში დაიწყო. მისი თქმით, პირველი სერიოზული შემოსავალი რუსეთში მოლდოვური ღვინის ექსპორტმა მოუტანა, აგრეთვე, მის მიერ დაარსებული მოლდოვურ-ამერიკული საინვესტიციო ფონდის საქმიანობამ. თუმცა მისი მოწინააღმდეგეები ირწმუნებიან, რომ 90-იანებში ვლად პლახოტნიუკი დაკავებული იყო ტრეფიკინგითა და პროსტიტუციის კონტროლით, ამ უკანასკნელმა კი გავლენიანი კლიენტების შანტაჟის შესაძლებლობა მისცა. ასე იყო თუ ისე, 2001-ში პლახოტნიუკი რუმინული სანავთობო გიგანტის — „პეტრომის“ შვილობილი სტრუქტურის — „პეტრომ მოლდოვას“ ჯერ კომერციული, შემდეგ კი გენერალური დირექტორი გახდა. ამ პოსტზე მუშაობისას მან საქმიანი კავშირები დაამყარა არა მხოლოდ მოლდოვური, არამედ რუმინული და უკრაინული პოლიტიკისა და ბიზნესის წამყვან ფიგურებთან და შესაბამისი ამბიციებიც გაუჩნდა. ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული როლი მის აღზევებაში შეასრულა დაახლოებამ პრეზიდენტ (2001-2009წწ.) ვლადიმერ ვორონინთან და მის შვილთან — ოლეგთან, რომელიც მოლდოვის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბიზნესმენია და ამავე დროს, მამის მსგავსად, კომუნისტური პარტიის წევრი.

პლახოტნიუკი დაახლოებით 2-2,5 მილიარდ დოლარს ფლობს და მოლდოვაში ამის თაობაზე ხშირად წერენ, რომ „ეს ქვეყნის მშპ-ს მესამედია“. უფრო ზუსტი ციფრების დასახელება შეუძლებელია, რადგან მისი ბიზნესსქემები ფრიად ჩახლართულია. ამდენი ფული არც ერთ სხვა მოლდოველ ბიზნესმენს არ აქვს.

თანამედროვე მოლდოვური პოლიტიკისთვის უცხოა მონსტრუოზული „სახელისუფლო პარტიების“ ფენომენი; იქ მთავრობის ფორმირებისთვის, როგორც წესი, აუცილებელი ხდება კოალიციის შექმნა. სწორედ ასეთი კოალიციის ჩამოყალიბებიდან დაიწყო ვლად პლახოტნიუკის აღმასვლა პოლიტიკურ ოლიმპოზე. 2009 წლის არჩევნების შემდეგ დემოკრატიული პარტია, რომელსაც ის აკონტროლებდა, შევიდა კოალიციაში მომავალი პრემიერმინისტრის ვლადიმერ ფილატის **ლიბერალურ-დემოკრატიულ** პარტიასთან და **მიხაი გიმპუს** ლიბერალურ პარტიასთან (აგრეთვე, კოალიციაში შედიოდა ალიანსი „ჩვენი მოლდოვა“, რომელიც შემდგომ ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ შთანთქა). ახალ მმართველ კოალიციას ეწოდა „ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის“; რეალურად ის ორი ოლიგარქის, ფილატისა და პლახოტნიუკის, ალიანსს ეფუძნებოდა. ოთხი წლის განმავლობაში ისინი, ასე თუ ისე, ახერხებდნენ თანაარსებობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბიზნეს და პოლიტიკური ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდიოდა.

პლახოტნიუკი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მედიის კონტროლს — ხუთი ეროვნული ტელეარხიდან მას ოთხი ეკუთვნის, აგრეთვე, არაერთი გაზეთი, რადიოსადგური და საინფორმაციო პორტალი. ის მუდამ ცდილობდა, სასამართლო სისტემა გაეკონტროლებინა. მოსამართლეები, პროკურორები (გენერალურის ჩათვლით), ანტიკორუფციული არასამთავრობოების ხელმძღვანელები — ვლად პლახოტნიუკი არასდროს იშურებდა ფულს იმისთვის, რომ ეს ადამიანები მოესყიდა და საკვანძო თანამდებობებზე გაეყვანა. ამ ორმა ფაქტორმა შესაძლებლობა მისცა, მთავარი კონკურენტი, ვლადიმერ ფილატი, ციხეში ჩაესვა. მას ბრალი დასდეს, რომ საბანკო სისტემიდან მილიარდი დოლარის მოპარვაში მონაწილეობდა და პლუს ამას 250-მილიონი ქრთამი აიღო. შარშან ივნისში ფილატს ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. კიდევ ერთ ბიზნესმენს, ყოფილ დეპუტატსა და პლახოტნიუკის მოწინააღმდეგეს, ვლადიმერ პლატონს, 18-წლიანი პატიმრობა შეეფარდა.

**ფილატის ჩამოშორების შემდეგ, დაიწყო პლახოტნიუკის გავლენის სწრაფი ზრდა — ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია დაიშალა, მოლდოვაში ტრადიციულად ძლიერი კომუნისტები ორ ნაწილად გაიყვნენ, რომელთაგან ერთ-ერთმა პლახოტნიუკის „დემოკრატიულ პარტიასთან“ მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, ლიბერალურმა პარტიამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ა.შ. რამდენიმე თვეში თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი პლახოტნიუკის კონტროლქვეშ მოექცა.**

ცხადია, იყო პრობლემებიც. ოლიგარქი იმთავითვე ნაკლებად პოპულარული იყო, ხოლო მძიმე პოლიტიკურმა და საინფორმაციო ომმა ფილატთან მის იმიჯს სერიოზული ზიანი მიაყენა. **გამოკითხვების თანახმად, პლახოტნიუკს ამომრჩეველთა 1-2% პროცენტი ენდობა, მაშინ, როდესაც 90%-ზე მეტი არ ენდობა. სერიოზულად დაეცა მისი „დემოკრატიული პარტიის“ რეიტინგიც. ეს პარადოქსულ ვითარებას ქმნის, ქვეყანას ფაქტობრივად ნულოვანი რეიტინგის მქონე ფიგურა მართავს, რომელსაც არანაირი თანამდებობა არ უკავია — ის მხოლოდ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა.**

სწორედ ამ არაპოპულარობამ 2015-ში შესაძლებლობა მისცა იმჟამინდელ პრეზიდენტ ნიკოლაე ტიმოფტის, პლახოტნიუკისთვის წინააღმდეგობა გაეწია და ის პრემიერმინისტრად არ წარედგინა. გაიმართა ნამდვილი პროცედურული ომი, რომელიც „კომპრომისით“ დასრულდა — პრემიერად პლახოტიუკის გარემოცვის წარმომადგენელი **პავლე ფილიპი** დაინიშნა. ოლიგარქის გავლენის სფერო მკვეთრად გაფართოვდა; დღეს, ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო საწარმო მის სრულ განკარგულებაშია, ხოლო ძალოვნები მისთვის არასასურველ პერსონებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. ოლიგარქს შეუძლია მთავრობის სრული შემადგენლობა ისევე უპრობლემოდ დააკომპლექტოს, როგორც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა საქართველოში, მითუმეტეს რომ ოპოზიცია ამ ეტაპზე დაშლილი და დემორალიზებულია.

**დღეს, ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო საწარმო მის სრულ განკარგულებაშია, ხოლო ძალოვნები მისთვის არასასურველ პერსონებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. ოლიგარქს შეუძლია მთავრობის სრული შემადგენლობა ისევე უპრობლემოდ დააკომპლექტოს, როგორც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა საქართველოში, მითუმეტეს, რომ ოპოზიცია ამ ეტაპზე დაშლილი და დემორალიზებულია**

მიუხედავად ამისა, პლახოტნიუკს გადასაწყვეტი აქვს თავისი პარტიის დაბალი რეიტინგის პრობლემა. **ის, სავარაუდოდ, შეეცდება, ჩაასწოროს საარჩევნო კანონმდებლობა და პროპორციული სისტემა შერეულით ან მაჟორიტარულით შეცვალოს.** ერთ ძირითად ვარიანტად განიხილება არჩევნების გამართვა შერეული სისტემით 2018-ში, ხოლო 2022-დან — მაჟორიტარულზე გადასვლა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ვენეციის კომისიამ შესაბამისი კანონპროექტი მკვეთრად უარყოფითად შეაფასა, მაშინ, როდესაც ვლად პლახოტნიუკმა, ირაკლი კობახიძის არ იყოს, მისი შენიშვნების გათვალისწინების პირობა წინასწარ დადო. კიდევ ერთი კანონი, რომელიც მან პარლამენტს უკვე მიაღებინა, გულისხმობს ეთერში მოლდოვაში დამზადებული სატელევიზიო პროდუქციის ხვედრითი წილის მკვეთრ გაზრდას. დეკლარირებული მიზანი რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლაა, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამდენი გადაცემის მომზადებას მხოლოდ ის მსხვილი არხები მოახერხებენ, რომლებსაც პლახოტნიუკი აკონტროლებს, ხოლო მცირე დამოუკიდებელი კომპანიების მეპატრონეები იძულებული გახდებიან, ტელევიზიები დახურონ ან პლახოტნიუკს მიჰყიდონ, ან მის მოთხოვნებს დაემორჩილონ. მის მიერ დაფუძნებულმა ჰოლდინგმა სარეკლამო ბაზარზე თითქმის სრული მონოპოლია დაამყარა, ხოლო **არაერთმა ეპიზოდმა ვლად პლახოტნიუკის ომიდან მოლდოვურ „ჟურნალ ტვ“-სთან შეიძლება გაგვახსენოს ეპოპეა ბიძინა ივანიშვილისა და „რუსთავი 2“-ის მონაწილეობით.**

„კორუფციის აღქმის რეიტინგში“ შარშან მოლდოვის პოზიცია ერთბაშად 20 პუნქტით გაუარესდა. პლახოტნიუკის „ფარული ავტორიტარიზმის“ გაძლიერება ევროპელ პარტნიორებს ნამდვილად არ მოსწონთ, მითუმეტეს, რომ, ყველა მინუსის მიუხედავად, პოსტსაბჭოთა ფონზე მოლდოვა ყოველთვის მეტ-ნაკლებად დემოკრატიულად გამოიყურებოდა. ვლად პლახოტნიუკი ცდილობს, დაარწმუნოს დასავლეთი, რომ მასთან თანამშრომლობის გარეშე ვერ მოხერხდება პრორუსული ძალების შეჩერება. შესაბამისი განწყობები მოლდოვაში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაზეც მიუთითებს არა მხოლოდ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები, არამედ გასული წლის ბოლოს პრეზიდენტად იგორ დოდონის არჩევა. მართალია, მოლდოვის პრეზიდენტს, შეზღუდული უფლებებიდან გამომდინარე, არ შეუძლია ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლა, მომხდარი თავისთავად სიმპტომატურია. **რაც შეეხება პლახოტნიუკის შეხედულებებს, საუბარი მის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, ალბათ, ზედმეტია — ის არც პროდასავლურია და არც პრორუსული, მას მხოლოდ საკუთარი ინტერესები ანაღვლებს; ამ ეტაპზე მოლდოვაში დასავლეთის უკანასკნელ რაინდად თავის წარმოჩენას და, პრეზიდენტ იგორ დოდონის დახმარებით, მოსკოვთან დიალოგის გაღრმავებას ცდილობს.**

ვლადიმერ პლახოტნიუკი სარგებლობს იმით, რომ მოლდოვური ოპოზიცია დაყოფილია პროდასავლურ და პრორუსულ ბანაკებად, რომელთა წარმომადგენლები ერთმანეთს ნაკლებად ენდობიან. მართალია, 2015-2016 წლებში მათ მოახერხეს ერთობლივი, შედარებით მცირერიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაციის გამართვა, მაგრამ მოსახლეობას დროთა განმავლობაში მობეზრდა დროში გაწელილი აქციები, „კარვის ქალაქები“, საინფორმაციო მიტინგები და ა.შ. მითუმეტეს, რომ მალევე გამოჩნდა, რომ ოპოზიცია ესკალაციაზე წამსვლელი არ არის. იმის ალბათობა, რომ კიშინიოვში განმეორდება 2009 წლის მოვლენები, სისხლიანი შეტაკებებით და მსხვერპლით, ამ ეტაპზე შედარებით მცირეა. **საბოლოო ჯამში, ხდება თითქმის იგივე, რაც საქართველოში — მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო განწყობა საკმაოდ ძლიერია, ძველი ოპოზიცია დისკრედიტებულია და გაღიზიანებული მოსახლეობის კონსოლიდირებას ვერ ახდენს. ხალხი ეძებს ახალ ოპოზიციას, მაგრამ ვერ პოულობს მას.**

მოლდოვაში, ისევე, როგორც საქართველოში, ხელისუფლება თავს „ნაკლებ ბოროტებად“ წარმოაჩენს, რომელსაც, ყველა მინუსის მიუხედავად, სტაბილურობის უზრუნველყოფა შეუძლია. გადაღლილ მოქალაქეებს არ სურთ, რომ ძველი დროის პოლიტიკური დაპირისპირება და ქაოსი დაბრუნდეს და კონფლიქტის ზონაში ახალი ომის დაწყების ეშინიათ. აქედან გამომდინარე, ისინი ამჯობინებენ თვალი დახუჭონ რეჟიმის მაქინაციებსა და საკუთარი უფლებების თანდათანობით შეზღუდვაზე. შესაძლოა, ჰიბრიდული ოლიგარქული რეჟიმების მთავარი რესურსი მოლდოვასა თუ საქართველოში არის შიში წარსულის წინაშე, რომლის დამარცხება ვერა და ვერ მოახერხეთ.

**მოლდოვაში, ისევე, როგორც საქართველოში, ხელისუფლება თავს «ნაკლებ ბოროტებად» წარმოაჩენს, რომელსაც, ყველა მინუსის მიუხედავად, სტაბილურობის უზრუნველყოფა შეუძლია. გადაღლილ მოქალაქეებს არ სურთ, რომ ძველი დროის პოლიტიკური დაპირისპირება და ქაოსი დაბრუნდეს და კონფლიქტის ზონაში ახალი ომის დაწყების ეშინიათ. აქედან გამომდინარე, ისინი ამჯობინებენ, თვალი დახუჭონ რეჟიმის მაქინაციებსა და საკუთარი უფლებების თანდათანობით შეზღუდვაზე**

**ლუკა ნემსაძე**

„რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების გარეშე შეუძლებელია წინსვლა ქართველი ლტოლვილების უფლებების აღდგენის და, საერთოდ, ქართული ტერიტორიების საკითხებში, მაგრამ ასეთი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება მხოლოდ მათში ორივე ქვეყნის მთავრობების პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობის შემთხვევაში. წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუტსაიდერების ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოაქვს. საპარლამენტთაშორისო კომიტეტი, რომელშიც საქართველო წარმოდგენილია მხოლოდ ყველაზე პატარა ფრაქციის დეპუტატებით, შეუძლებელია ეფექტიანი იყოს“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ავიგდორ ესკინი:

# აუტსაიდერების ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოაქვს

**ამა წლის 9 ივლისს საპარლამენტო პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები: ადა მარშანია, ნატო ჩხეიძე და გიორგი ლომია რუსეთის დედაქალაქს ეწვივნენ და ამ ქვეყნის პარლამენტის დეპუტატს, კომუნისტური პარტიის წევრ ლეონიდ კალაშნიკოვს შეხვდნენ.**



„გაიზიარეს ჩვენი წუხილი, დაგვპირდნენ დახმარებას იმისთვის, რომ გაიმართოს პირდაპირი დიალოგი აფხაზებსა და ოსებთან. მოდით, ვუთხრათ ერთმანეთს ღიად და გულწრფელად — ნატოსკენ სწრაფვა და ნატოს წევრობის სურვილი, ჩვენი ჩრდილოატლანტიკური პოლიტიკა უამრავ პრობლემას უქმნის ქვეყანას. ხომ უნდა დავინახოთ ობიექტური რეალობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სუფევს და მძიმდება ყოველდღე ოკუპირებულ ტერიტორიებზე?!

ჩვენ შევთავაზეთ — მოდი, დავამთავროთ ეს გაუგებარი თამაში, შევქმნათ ფორმატი — საქართველო-ნატო-რუსეთი და ვისაუბროთ ყველაფერზე“, — განაცხადა მოსკოვიდან დაბრუნებულმა **ადა მარშანიამ.**

„პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტს მოსკოვში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგმა განაცხადა, ეს წინგადადგმული ნაბიჯია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაშიო, ზოგის აზრით კი, ეს საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა გაემიჯნა „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივას...

რამდენიმე კვირის წინათ ერთ-ერთ საინფორმაციო საშუალებაში პოლიტტექნოლოგმა, პუბლიცისტმა ავიგდორ ესკინმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის დედაქალაქში ხშირად ფულისთვის ჩამოდიან, საქმეზე თითქმის არ საუბრობენო...

**„პატრიოტთა ალიანსის“ წევრების მოსკოვში ვიზიტის შედეგების შეფასება „საქართველო და მსოფლიომ“ სწორედ ავიგდორ ესკინს სთხოვა.**

**— იცით, ალბათ, რომ საპარლამენტო პარტია „პატრიოთა ალიანსის“ სამი დეპუტატი მოსკოვს ეწვია და რუსეთის პარლამენტის დეპუტატ ლეონიდ კალაშნიკოვს შეხვდა. რა გავლენა აქვს კალაშნიკოვს რუსეთში და შეძლებს თუ არა ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას?**

— დღეს ნებისმიერ ქართულ-რუსულ კონტაქტს შეიძლება ჰქონდეს დადებითი მნიშვნელობა. რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების გარეშე შეუძლებელია წინსვლა ქართველი ლტოლვილების უფლებების აღდგენის და, საერთოდ, ქართული ტერიტორიების საკითხებში. მაგრამ ასეთი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება მხოლოდ მათში ორივე ქვეყნის მთავრობების პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობის შემთხვევაში.

წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუტსაიდერების ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოაქვს. საპარლამენტთაშორისო კომიტეტი, რომელშიც საქართველო წარმოდგენილია მხოლოდ ყველაზე პატარა ფრაქციის დეპუტატებით, შეუძლებელია, ეფექტიანი იყოს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდა კომუნისტური ოპოზიციის წარმომადგენელი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი **ლეონიდ კალაშნიკოვი.**

**— რუსეთი-ნატო-საქართველო — რეალურია ასეთი ფორმატის შექმნა?**

— ნატოსა და რუსეთის ამჟამინდელი ორმხრივი შეუთავსებლობის პირობებში ასეთი რამ რეალური არ არის.

**— საქართველოში ბევრი ლაპარაკობს, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ მოსკოვში ჩასვლით რაღაც გაითამაშა, მაგრამ რა — არავინ იცის...**

**— აუტსაიდერი ქართველი პოლიტიკოსები, ჩვეულებისამებრ, ფულის გამო მიდიან მოსკოვში.**

ქართული ფრაქცია „პატრიოტებისა“ და რუსი კომუნისტების მხრიდან სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯები მოსალოდნელი არ არის. კარგი იქნება, თუ ისინი თავიანთი შეხვედრებით ხელს შეუწყობენ კონტაქტებს გაცილებით სერიოზულ დონეზე. მოსკოვიდან და თბილისიდან კი ჯერჯერობით მესმის, რომ საუბარი უფრო ხელის შეშლაზეა.

**— შეაფასებთ თუ არა აღნიშნულ შეხვედრას წინგადადგმულ ნაბიჯად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში?**

> **«სერიოზული მოლაპარაკებების გამართვითა და კონფლიქტის მოგვარებით საქართველოც დაინტერესებულია და რუსეთიც. არის რამდენიმე სქემა ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წასაწევად და მრავალწლიანი მეგობრობის აღსადგენად, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებაში ჩაერთვებიან მთავრობები ან მათი ნდობით აღჭურვილი პირები»**

— ჩვენ არ გვინახავს არც ერთი განცხადება, რომელიც საფუძველს მოგვცემდა, გვეფიქრა, რომ „პატრიოტების“ ფრაქცია ქართული ინტერესების წინ წასაწევად რაღაც წინადადებებით ჩამოვიდა. მე მხოლოდ წავიკითხე, რომ წამოყენებული იყო საკითხი ქართველი ლტოლვილებისთვის აფხაზეთში წინაპართა საფლავების მონახულების უფლებაზე და, რომ ეს არარეალურია სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მიღებული „ოკუპირებული ტერიტორიების“ შესახებ კანონის მიზეზით.

თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, ჩვენ წინაშეა მარგინალი პოლიტიკოსების მხრიდან არასანქცირებული მოქმედების მავნებლობის მტკიცებულება. საფლავების მონახულების თემა მათ სხვა ადამიანებისგან გადმოიღეს, შემდეგ ყველაფერი აურდაურიეს. **პირველ რიგში, უნდა ემსჯელათ ქართული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეების აფხაზეთში შესვლის უფლებაზე, მაგრამ მათ ყველაფერი პირიქით თქვეს.**

**— როგორ შეაფასებთ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, რომელმაც განაცხადა, რომ ემიჯნება „პატრიოტთა ალიანსის“ ამ გადაწყვეტილებას?**

— საქართველოს მთავრობას დიდი ხნის წინათ უნდა შეექმნა პირობები ჯანმრთელ ატმოსფეროში რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის. ამისთვის საჭირო იყო, დიდი ხნით ადრე დაეწყო დიასპორის, აგრეთვე, რუსეთში საქართველოს მრავალრიცხოვან მეგობრებთან კავშირების გაძლიერება.

აი ამის შემდეგ შეიძლებოდა და საჭიროც იყო პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება. თუ ამას საქართველოს მთავრობა არ გააკეთებს, ამ ველზე ყოველთვის ითამაშებს სხვადასხვა აუტსაიდერი, მაგრამ სარგებელი არ იქნება.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს საქართველომ რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სერიოზული მოლაპარაკებების გამართვითა და კონფლიქტის მოგვარებით საქართველოც დაინტერესებულია და რუსეთიც. არის რამდენიმე სქემა ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წასაწევად და მრავალწლიანი მეგობრობის აღსადგენად, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებაში ჩაერთვებიან მთავრობები ან მთავრობების ნდობით აღჭურვილი პირები. ჯერჯერობით კი შესაძლებელია აკადემიურ და ინტელექტუალურ დონეზე თანამშრომლობა ეკონომიკისა და ხელოვნების სფეროში. ეს კარგია სამთავრობო დონეზე მოლაპარაკებების მოსამზადებლად მასში მსხვილი პოლიტიკური ძალების შესაძლო მონაწილეობით.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



## ფეთჰულა გიულენი: აშშ-ის ხელისუფლება თურქეთში ჩემს ექსტრადიციას არ დაეთანხმება

**ყოფილმა იმამმა ფეთჰულა გიულენმა, რომელსაც ოფიციალური ანკარა ქვეყანაში 2016 წლის გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორად მიიჩნევს, სააგენტო „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ აშშ მას თურქეთის ხელისუფლებას არ გადასცემს.**

„არ ვფიქრობ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, იქნება ეს რესპუბლიკელი თუ დემოკრატი, ამ უაზრო მოთხოვნას დააკმაყოფილებს და მსოფლიოში აშშ-ის რეპუტაციის შელახვას გარისკავს“, — განაცხადა გიულენმა.

27 აპრილს თურქეთში ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციასთან კავშირში ეჭვმიტანილი 9103 პოლიციელი სამსახურიდან დაითხოვეს. ერთი დღით ადრე ქვეყნის 72 პროვინციაში 800-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. მათ ბრალად გიულენის ორგანიზაციასთან კავშირი ედებათ. ოპერაციაში პოლიციის 8 ათასზე მეტი თანამშრომელი მონაწილეობდა.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს განცხადების თანახმად, ქვეყანაში გადატრიალების მცდელობის შემდეგ 113 ათასი ადამიანი დააკავეს, უშუალოდ ფეთჰულა გიულენთან კავშირის ბრალდებით კი 47 ათასი ეჭვმიტანილი დაპატიმრებული.

## თბილისში ბუნებრივი აირი ნახევარი თეთრით გაძვირდა

**თბილისის მოსახლეობას გაზის ტარიფი 1 კუბურ მეტრზე დაახლოებით ნახევარი თეთრით გაუძვირდა. ეს გადაწყვეტილება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ 18 ივლისს გამართულ სხდომაზე მიიღო, რომელზეც „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ 2017-2018 წლებში ბუნებრივი აირის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფები დაუდგინა.** აქამდე მოქმედი ტარიფი დედაქალაქის მოსახლეობისთვის 1 კუბურ მეტრზე დაახლოებით, 45.620 თეთრი იყო, 18 ივლისს კი სემეკმა 1 კუბურ მეტრზე 46.153 თეთრი დაადგინა (დღგ-ს ჩათვლით). შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ყაზახური სს „ყაზტრანგაზის“ შვილობილი კომპანიაა, რომელიც 2009 წლიდან თბილისის მასშტაბით ყველაზე მეტ აბონენტს ემსახურება.

ტარიფი ძალაშია 2017 წლის 20 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსოფლიო

## გაერო: მსოფლიოში 760 მილიონი ადამიანი დღეში 1.9 დოლარით არსებობს

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციით, ბოლო 10 წლის განმავლობაში 1 მილიარდზე მეტმა ადამიანმა შეძლო უკიდურესი სიღარიბიდან გამოსვლა, თუმცა დედამიწაზე კვლავ არსებობს 760 მილიონი ადამიანი, რომლებიც დღეში 1.9 დოლარით ცხოვრობენ.**

გაერომ 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების 17 მიზანი დაისახა. წევრმა ქვეყნებმა პირობა დადეს, რომ ბოლოს მოუღებენ სიღარიბისა და შიმშილის ყველა ფორმასა და გამოვლინებას.

გაეროს მონაცემებით, 2000-2015 წლებში 5 წლამდე ბავშვებში მოკვდაობა 44%-დან 37%-მდე შემცირდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, 760 მილიონი ადამიანი ჯერ კიდევ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. 5 წლამდე ბავშვების დიდი რაოდენობა სრულფასოვანი კვების მიღებას ვერ ახერხებს. შედეგად, 2016 წელს 155 მილიონ ბავშვს ზრდის შეფერხება შეენიშნებოდა, ამავე წელს მშობიარობისას 30 ათასი ქალი გარდაიცვალა.

გლობალიზაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გლობალიზაცია შეუძლებელია ისტორიული პროცესების, თუნდაც მისი ძირითადი ფაქტების, გაცნობიერების გარეშე. მსოფლიო ვერასოდეს განვითარდება ერთ ტალღაზე, სანამ იაპონიაში ჰგონიათ, რომ იქ ატომური ბომბები სსრკ-მა ჩამოყარა, ხოლო აშშ-ში მოსახლეობის 90% დარწმუნებულია, რომ ამერიკამ დამოუკიდებლად გაიმარჯვა ფაშიზმზე.**

# გლობალური შუასაუკუნეების ეპოქა: ტერორიზმი, ჰომოსექსუალიზმი, ნარმართობა და იუვენალური იუსტიცია

**რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტში გამოქვეყნდა ანდრეი ალექსეევის წერილი, რომელშიც საინტერესოდ არის განხილული კაცობრიობის წინაშე არსებული პრობლემები, რომლებიც გლობალიზაციის პროცესს ახლავს. გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს ჩვენი კომენტარებით.**

**სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მაგალითად, კომუნიკაციის საშუალებების სრულყოფა ამცირებს მანძილს და ადამიანები ბიზნესის ერთ ენაზე ლაპარაკობენ. ერთი შეხედვით, სურათი ასეთია, მაგრამ, თუ ვითარებას კრიტიკულად შევხედავთ?**

## გლობალური ბიზნესი

სამყაროს მართავს ფული და არაფერი ფულის გარდა, სწორედ ფულია ისტორიის მამოძრავებელი ძალა. ამაში დარწმუნებულია თითქმის ყველა, მაგრამ მოცემულ ფორმულას მსოფლიოში მომხდარი კონფლიქტების ისტორია ეწინააღმდეგება. სსრკ-ისა და აშშ-ის დაპირისპირება განა მიზანშეწონილი იყო? ცინიკური ბიზნესის გადმოსახედიდან ამ ქვეყნებისთვის მეგობრობა უფრო სასარგებლო იყო. ორ ბირთვულ სახელმწიფოს შეეძლო, სწრაფად დამორჩილებოდა დანარჩენ მსოფლიოს ეკონომიკა შანტაჟისა და სამხედრო მუქარის გზით. როგორც ამბობენ, „არაფერი პირადული, მხოლოდ ბიზნესი“.

მაგრამ რას ვხედავთ, ფაქტობრივად? იდეოლოგიის გავრცელების მცდელობას. ერთნი მსოფლიოში თავისუფალი ბაზრის დამკვიდრებას ცდილობენ, მეორენი სოციალიზმის. გერმანიისთვის ხეირის მომტანი არ იყო ომი რუსეთის იმპერიასთან, არც სსრკ-თან. ჰიტლერი თავს არ დასხმია მდიდარ შვეიცარიას. დებიუტისთვის მას აღმოსავლეთი ევროპა დასჭირდა. კვლავ ბიზნესის გვერდის ავლით ერთმანეთს შეეჯახა ორი იდეოლოგია.

დიახ, შეიძლება ითქვას, რომ კულისებს მიღმა მყოფნი ყოველთვის მდიდრდებოდნენ კონფლიქტების ხარჯზე, მაგრამ კულისებს მიღმა სამყარო გლობალური არ არის, გლობალური შეიძლება იყოს ხალხების ინტერესები. ლაპარაკია ფინანსურ ინტერესებზე, რომლებიც არასოდეს ქრება კულტურული განსხვავებულობის გამო. საყოფაცხოვრებო დონეზე განსხვავებასაც კი არ შეუძლია ფინანსური მოტივის გაუქმება. კერძო საცხობის მფლობელს სულაც არ ანაღვლებს, ვინ შეჭამს მის ფუნთუშას, მთავარია ფული; პოლიტიკოსებს კი ეს უფრო მეტად არ ანაღვლებთ, ანუ გლობალიზაციის პროცესი, ყოვლისმომცველი ბიზნესის სახით, შეფერხდა.

## მასმედია

როგორი ადამიანი უნდა შექმნას თანამედროვე მედიასაშუალებებმა? გლობალიზაციის თვალსაზრისით, ის მრავალმხრივ უნდა იყოს განვითარებული. გარშემო ხომ ყველაფერი ვითარდება და ურთიერთქმედებს? ამისკენ მიისწრაფვოდნენ სსრკ-ში, მაგრამ აშკარად ძალიან დატვირთეს ახალგაზრდობა მოცულობითი ინფორმაციით, თანაც ხშირად მიუწვდომელით.

შედეგად, მასობრივმა კულტურამ გაიმარჯვა განათლებაზე. იმის ნაცვლად, რომ გაამარტივონ სწავლება, ცოდნა ორიენტირებულია ვიწრო სპეციალიზაციაზე. როგორც ძველად იყო: თუ მჭედელი ხარ, მაშინ, მჭედლობის ცოდნის გარდა, არაფერი გინდა. ვითარება ცოტა გამოასწორა ინტერნეტმა, მაგრამ იქ გასართობზე გაცილებით მეტი მოთხოვნაა, ვიდრე შემეცნებითზე.

გლობალური ქსელი თითქოს მოგვიწოდებს საბჭოთა წარსულში დაბრუნებისკენ, მაგრამ ტელევიზორის თაობამ ინერციით გადასცა ესტაფეტა უმცროს აუდიტორიას. ჩვენი, ერთი შეხედვით, ძალიან განვითარებული და მობილური ბავშვები სულაც არ არიან გლობალურები.

✱ საქართველოში, 15 წელზე მეტია, გრძელდება განათლების სისტემის ნგრევა, რომელიც ხელისუფლების სათავეში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლის შემდეგ დაიწყო. მას შემდეგ ქვეყანას არ ჰყოლია ისეთი განათლების მინისტრი, რომელიც მომავალი თაობის განათლების დონის ამაღლებაზე იზრუნებდა. შეგახსენებთ: სხვადასხვა პერიოდში განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობდნენ **ალექსანდრე (კახა) ლომაია; გია ნოდია, ნიკა გვარამია, დიმიტრი შაშკინი, გიორგი მარგველაშვილი, თამარ სანიკიძე,** ამჟამად **ალექსანდრე ჯეჯელავა,** რომლებსაც თითი თითზე არ დაუკარებიათ განათლების სისტემაში ვითარების გასაუმჯობესებლად, პირიქით მათ მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა კატასტროფამდე მიიყვანა ახალგაზრდა თაობა: **2017 წელს საქართველოში 11 ათასამდე მოსწავლემ, ანუ ყოველმა მეოთხემ ვერ ჩააბარა საატესტატო გამოცდები.** განათლების ამჟამინდელმა მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** კი ეს კატასტროფული შედეგი ასე შეაფასა:

„ვინც საატესტატო გამოცდები ვერ ჩააბარა, იმ ბავშვებს ბედნიერი ცხოვრება ელით იმიტომ, რომ დასაქმება პროფესიულ განათლებაში უფრო მაღალია. პროფესიული განათლება მოდაში უნდა დაბრუნდეს“.

სწორედ გაუნათლებლობის შედეგია ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება: ტელეეთერში გამოჰყავთ და ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანებად წარმოაჩენენ უცხოეთის რომელიღაც სასწავლებელში „განათლებამიღებულ“ გოგო-ბიჭებს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 14 ივლისს ტელეკომპანია „პირველის“ გადაცემა „რეაქციაში“, როდესაც უცხოეთში „უსაშველოდ განათლებულმა“ ვინმე **ელენე კიკნაძემ**, „საზოგადოებრივი თანასწორობის ცენტრის“ წარმომადგენელმა, „ქართველ მარშში“ მონაწილე 10 ათასამდე ადამიანს გაუნათლებელი უწოდა; ან „ექსპერტებად“ და „ანალიტიკოსებად“ წარმოგვიდგენენ უცხოეთიდან გულუხვად დაფინანსებული ყოველივე ქართულის მოწინააღმდეგე ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და „ნაცმოძრაობის“ განაყოფი პოლიტიკური პარტიების წევრებს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 6 ივლისს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემებში — „იმედის დილა“ და „იმედის დღე“, როცა „ყველაფრისმცოდნე“ წამყვანებმა და ექსპერტებმა დაუბალანსებელი, მიკერძოებული, არაობიექტური გადაცემები შესთავაზეს ტელემაყურებელს „ქართული მარშის“ თემაზე.




იუვენალური იუსტიციის საწინააღმდეგო აქცია გერმანიაში

**რაც უფრო ვშორდებით ქრისტიანობას, მით მეტად შევდივართ ველურ მდგომარეობაში. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ აგრესიული ათეიზმისა და ნეოწარმართობის ეპოქაში**

## პოლიტიკა

რა გლობალიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი, თუკი ქვეყნები ნელ-ნელა იკეტებიან საკუთარ ნაჭუჭში? ტურიზმისა და სხვადასხვა კონფერენციის ჩასატარებლად მსოფლიო, რა თქმა უნდა, გახსნილია, მაგრამ არის საწინააღმდეგო ტენდენციაც. ცდილობენ, ინტერნეტი დაყონ სხვადასხვა რეგიონისთვის, მაგალითად, ჩინეთში მკაცრად კონტროლდება ინტერნეტი. ანალოგიური რამ ხდება უკრაინაშიც. აშშ-ში ბევრს ლაპარაკობენ ფეიკური (ყალბი) ახალი ამბების გავრცელებაზე, რათა ამ კატეგორიაში შეიყვანონ ყველა, ვინც არასასურველია. გლობალურ ქსელს კი ტოტალურად აკონტროლებს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო. რუსეთშიც ბევრი იდეაა ინტერნეტის შიგა უსაფრთხოებაზე.

ანტიგლობალიზაციური პოლიტიკის კიდევ ერთი ნიშანია მოძველებული და წამგებიანი პოლიტიკური მოდელებისკენ დაბრუნება, უფრო ზუსტად, ნაციზმისკენ ბალტიისპირეთსა და უკრაინაში. დღეს სვასტიკა და ჩირაღდნებიანი მსვლელობები ლეგალიზებულია. და ეს ხდება ლიდერი ქვეყნების ჩუმი თანხმობით. **გლობალიზაცია შეუძლებელია ისტორიული პროცესების თუნდაც მისი ძირითადი ფაქტების გაცნობიერების გარეშე. მსოფლიო ვერასოდეს განვითარდება ერთ ტალღაზე, სანამ იაპონიაში ჰგონიათ, რომ იქ ატომური ბომბები სსრკ-მა ჩამოყარა, ხოლო აშშ-ში მოსახლეობის 90% დარწმუნებულია, რომ ამერიკამ დამოუკიდებლად გაიმარჯვა ფაშიზმზე.**

სამწუხაროდ, ფაშიზმზე გამარჯვების ჭეშმარიტ შემოქმედს რუსეთს, ვითარების შეცვლა არ შეუძლია. ორმხრივი სანქციების პოლიტიკაც აშკარად მიმართულია გაუცხოებისკენ და არა გლობალიზაციისკენ. თუ ასე გაგრძელდა, მსოფლიო დახურულ ეკონომიკურ ზონებად დაიყოფა.

✱ ბოლო წლებია, დასავლური პრესა გაშმაგებულ პროპაგანდას ეწევა ფაშიზმზე გამარჯვებაში სსრკ-ის როლის დასაკნინებლად. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ფაქტია: 1945 წლის მაისში გამარჯვების წითელი დროშა ბერლინში, რაიხსტაგის თავზე სწორედ საბჭოთა მეომრებმა — **მელიტონ ქანთარიამ** და **მიხეილ ეგოროვმა** ააფრიალეს; საბჭოთა კავშირმა დიდ სამამულო ომში გამარჯვება 26,6 მლნ ადამიანის სიცოცხლის ფასად მოიპოვა.

ე.წ. დემოკრატიული მედია დღეს თითქმის არაფერს წერს, რომ ევროპის ქვეყნებში შუა აღმოსავლელი და ჩრდილოაფრიკელი ლტოლვილების მომრავლების ფონზე გაძლიერდა ნაციონალური განწყობა და დიდია ფაშიზმის აღორძინების საფრთხე. მაგალითად, რამდენიმე თვის წინათ გერმანიაში ბესტსელერად იქცა ჰიტლერის უკვე მერამდენედ გამოცემული წიგნი „ჩემი ბრძოლა“ („მაინ კამპფ“), ხოლო აშშ-ში კვლავ წამოყო თავი რასისტულმა ორგანიზაციამ კუ-კლუქს-კლანმა.

## სექსი

2 ათეული წელიწადია, ინტიმურმა ცხოვრებამ წინა პლანზე წამოიწია. დღეს სექსი უფრო ხელმისაწვდომია. კამასუტრას პოზები თეორიიდან დემონსტრირების პრაქტიკაზე გადაიყვანეს. ამას ხელს უწყობს ეროტიკული სამოსი, სხეულის მოვლის ათასგვარი საშუალება, „თვალსაჩინოების სახელმძღვანელოები“, სქესობრივი აქტის მრავალფეროვანი სიუჟეტური ხაზი მუსიკისა და ცეკვის თანხლებით.

**გლობალიზაციის პირობებში სქესობრივი კავშირი ისეთივე ხელმისაწვდომია, როგორც საკვები მაღაზიაში, მაგრამ სექსი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობაა; ხოლო მოდა ერთნაირსქესიანთა სექსზე, რომელსაც აგრესიულად გვახვევენ თავს, ანადგურებს სექსს, როგორც ასეთს.**

თუმცა, ალბათ, გვეჩვენება, რომ ეროტიკულ ეპოქაში ვცხოვრობთ; დღეს — კი, მაგრამ დრო სწრაფად იცვლება.

დღეს მსოფლიოში არის ქვეყნები, რომლებშიც უადგილო ადგილას ქალთან ურთიერთობის გამო შეიძლება ციხეში შეიძლება ჩაგაყუდონ, ჰომოსექსუალებს კი სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. მათ მხარს უჭერენ სახელმწიფოებრივ დონეზე. დადგება ანტისექსის საუკუნე. რაც მეტ გარყვნილებას სჩადის საზოგადოებრიობა, მით სწრაფად იხრება ჰომოსექსუალური კავშირებისკენ. 1990-აინ წლებში ეროტიზმის მკვეთრი მატება მხოლოდ სატყუარა აღმოჩნდა ასექსუალურობის გზაზე.

✱ დღეს ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება ლეგალიზებულია მსოფლიოს 23 ქვეყანაში, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთისა და მექსიკის რამდენიმე რეგიონში. რაც შეეხება სექსის ე.წ. ხელმისაწვდომობას ტოლერანტულ დასავლეთში მხოლოდ 2017 წლის 6 თვეში, არაფერი რომ არ ვთქვათ გასულ წლებზე, ქალი მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებზე ძალადობის, ანუ პედოფილიის რამდენიმე სკანდალური შემთხვევა აღირიცხა: ბრედფორდის (ინგლისი) 36 წლის მასწავლებელს **ამენა ნაზამ კჰამს** 9 თვის განმავლობაში სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა თავის მოსწავლესთან; კანადელმა მასწავლებელმა **ჟაკლინ მაკლარენმა** ▶

გლობალიზაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ე.წ. დემოკრატიული მედია დღეს თითქმის არაფერს წერს, რომ ევროპის ქვეყნებში, შუა აღმოსავლელი და ჩრდილოაფრიკელი ლტოლვილების მომრავლების ფონზე, გაძლიერდა ნაციონალური განწყობა და დიდია ფაშიზმის აღორძინების საფრთხე. მაგალითად, რამდენიმე თვის წინათ გერმანიაში ბესტსელერად იქცა ჰიტლერის უკვე მერამდენედ გამოცემული წიგნი „ჩემი ბრძოლა“ („მაინ კამპფ“), ხოლო აშშ-ში კვლავ წამოყო თავი რასისტულმა ორგანიზაცია კუ-კლუქს-კლანმა.**

კი ქმარს რამდენიმე მოსწავლესთან უღალატა; ჩრდილოეთ კაროლინელმა (აშშ) 25 წლის მათემატიკის მასწავლებელ **ერინ მაკოლიფს** სექსი ჰქონდა სამ მოსწავლესთან. კალიფორნიელმა **ნინა სკაიმ** კი მასწავლებლის პროფესია მხოლოდ მაშინ მიატოვა, როდესაც სკოლის ხელმძღვანელობამ შეიტყო, რომ პედაგოგი პორნობიზნესში იყო ჩართული.

## იუვენალური იუსტიცია

მსოფლიოს მასშტაბით ეგოიზმი მკაფიო თანამიმდევრობით ვითარდება. ქრისტიანიზმის მიხედვით, ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი, შემდეგ ადამიანმა შესცოდა, ღმერთი დარჩა მეხსიერებაში, ხალხი კი უმთავრესი შეიქნა. ხალხის ინტერესების დასაცავად მიმდინარეობდა ომები და ადამიანები სიცოცხლეს სწირავდნენ. მოგვიანებით გაჩნდა ცნება „სახელმწიფო“, მისი ინტერესების დასაცავად იღვრება სისხლი, სახელმწიფოს ჩარჩოებში ფუნქციობენ თემები, რომლებიც საზოგადოების უჯრედის როლს ასრულებენ. ადამიანი შრომობს თემისთვის, თემი კი — საზოგადოებისა და ქვეყნისთვის.

**დღეს, ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, წინა პლანზე გადმოდის ოჯახი. დღეს ოჯახის სარგებელი უპირველესია. არადა, თემისა და სახელმწიფოს ინტერესებისგან განდგომა ნებისმიერი სახეობის კორუფციის მიზეზია.**

შემთხვევითი არ არის, რომ **სტალინის** მმართველობის პერიოდში კორუფცია განადგურდა. ცნობილია, რომ მას არ ჰქონდა ოჯახური ინტერესები. სტალინისთვის მიბაძვა გულუბრყვილობა და იდეალისტური მიდგომა იქნებოდა, მაგრამ **მხოლოდ ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრი, ოჯახის ნაჭუჭში ჩაკეტვა არანაკლები ზიანის მომტანია.**

შეიძლება ვილაცამ შენიშნოს, რომ დღეს ოჯახიც გადადის უკანა პლანზე და მართალიც იქნება.

დღეს უმთავრესია საკუთარი **მე,** უწინარესად კი, ბავშვის უფლებები, რათა ბავშვი თავიდანვე აყენებდეს საკუთარ თავს დედასა და მამაზე მაღლა.

**ბავშვის ასე აღსაზრდელად საუკეთესო დამხმარეა იუვენალური იუსტიცია, რომელიც დაუჯერებელი სისწრაფით იდგამს ფესვებს მსოფლიოში, რაც საბოლოოდ ყველას და ყველაფერს დაუმორჩილებს მართვის ერთობლივ ცენტრს.** კორუფცია გაქრება, მასთან ერთად თავისუფლებაც. ელექტრონული მონობის სისტემაში, რომელშიც თითოეული მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს, მაგრამ ემორჩილება მართვის ერთობლივ ცენტრს, არანაირი გლობალიზაცია არ მოხდება. „მართვის ცენტრიც“ ხომ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს?

* იუვენალური იუსტიცია ნელ-ნელა იქცა სისტემად, რომელშიც ჩამოყალიბდა სოციალური ზედამხედველობის ორგანო ოჯახში ბავშვის მდგომარეობის შესაფასებლად. ე.წ. საბავშვო იუსტიცია დგას რამდენიმე პრინციპზე: პირველი — ბავშვს აქვს ისეთივე უფლებები, როგორიც ზრდასრულს, მაგრამ ბავშვის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე არავინ ლაპარაკობს. ბავშვს შეუძლია მიმართოს ორგანოებს თავისი უფლებების დასაცავად, მათ შორის, პოლიციას ან სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ მშობლები მის უფლებებს ლახავენ. ეს ორგანოები კი ვალდებულნი არიან, შეამოწმონ, სათანადოდ თუ ასრულებენ მშობლები თავიანთ მოვალეობებს, თუმცა რას ნიშნავს მოვალეობების „სათანადოდ“ შესრულება, განმარტებული არ არის. იუვენალური სისტემის სოციალური ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც სოციალური სფეროს მუშაკებისა და ფსიქოლოგებისგან შედგება, შეუძლია თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე ბავშვი მშობლებს ჩამოართვას, სასამართლოში გასაჩივრებას კი რამდენიმე წელი სჭირდება.

**ცნობისთვის: ფინეთში მეურვეობის ორგანოს კონტროლს 80 ათასი ბავშვი დაექვემდებარა. მათი უმრავლესობა მშობლებს აღარ დაუბრუნეს.**

იუვენალური ტერმინოლოგიის ერთ-ერთი პოსტულატი ბავშვების სექსუალური აღზრდაა. ცნება „სქესის“ ნაცვლად შემოღებულია ცნება „გენდერი“ და „გენდერული თანასწორობა“. აქცენტი კეთდება სექსუალურ არჩევანზე.

## ათეიზმი და წარმართობა

გლობალიზაცია და მეცნიერება განუყოფელია. ცოტა ვინმე თუ დაფიქრებულა, რომ ქრისტიანობა — მეცნიერებებით ტევადი რელიგია, ექსპერიმენტების ჩატარების თავისუფლებას იძლევა. ბიბლიის თანახმად, ღმერთმა ადამიანები ცოდვიანი სამყაროს პირისპირ დატოვა და ადამიანებმა ის დამოუკიდებლად, უფლის დაუხმარებლად უნდა შევიცნოთ. ცოდვილი სამყაროს სისტემაში შედის ხეც და მზეც, რომლებიც წარმართებისთვის ღვთაებრივია და მნიშვნელოვან ცვლილებას ან შესწავლას არ საჭიროებს. რატომ უნდა შეისწავლო ის, რაც უკვე არის სრულყოფილი ღვთაება?

წარმართს სჯერა მხოლოდ იმის, რასაც თვალით ხედავს. ამ თვალსაზრისით, ათეისტებიც წარმართები არიან, ოღონდ უფრო გვიანდელი ეპოქის, ხედავენ მხოლოდ მეცნიერულ აღმოჩენებს და მათთვის სხვა არაფერი არსებობს, მათ შორის, არც ღმერთი. არადა, მეცნიერების საბოლოო მიზანია, გაიგოს, როგორ, რით დაიწყო სიცოცხლე და საით მიდის. მეცნიერება ღმერთს ეძებს. შემთხვევითი არ არის, რომ გამოჩენილი მეცნიერების უმრავლესობა ქრისტიანი იყო.

**რაც მეტად ვშორდებით ქრისტიანობას, მით მეტად შევდივართ ველურ მდგომარეობაში. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ აგრესიული ათეიზმისა და ნეოწარმართობის ეპოქაში.**

21-ე საუკუნეში მართლმადიდებლობა განიცდის გაცილებით გამანადგურებელ დარტყმებს, ვიდრე პირველი ბოლშევიკების მმართველობის პერიოდში. თუკი მე-20 საუკუნის დასაწყისში დარტყმა გარედან თავსმოხვეული ათეიზმის გავლენით ხდებოდა, დღეს მართლმადიდებლობას უტევენ ორი მხრიდან: პირველი ეს არის ათეისტების მზარდი აგრესია (ფიზიკური ზემოქმედების გარეშე, მაგრამ მასზე პრეტენზიის მქონე), მეორე შინაგანი გახრწნილება.



გუანტანამოს ციხეში

**დადგება ანტისექსის საუკუნე. რაც მეტ გარყვნილებას სჩადის საზოგადოებრიობა, მით სწრაფად იხრება ჰომოსექსუალური კავშირებისკენ. 1990-იან წლებში ეროტიზმის მკვეთრი მატება მხოლოდ სატყუარა აღმოჩნდა ასექსუალურობის გზაზე**




**ბევრი თანამედროვე მღვდელმსახურისთვის უცნობია ცნება „ასკეზა“. სარფი, მოგება ბევრი ქრისტიანისთვის თვითმიზნად იქცა.**

ნელ-ნელა ქრება თვით რელიგიის პრინციპი. ათეისტებისა და ქრისტესმოძულეების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებული არ იქნება. გაველურებული ანტიგლობალიზაციის სამყაროს ორივე სჭირდება, რადგან ადამიანები სამართლიანად მიუთითებენ ხოლმე ეკლესიაში არსებულ მანკიერებებზე და ამ საბაბით კვლავაც გაგრძელდება ქრისტიანობის სიძულვილის პროპაგანდა, ეს კი მნიშვნელოვნად გააძლიერებს სხვა რელიგიების გავლენას: ან ათეისტების, ან კიდევ უფრო უარესის — სექტების.

* საქართველო, ქართველები, თავიანთი ტრადიციებითა და ფასეულობებით, აქამდე სწორედ მართლმადიდებლობამ მოიყვანა და გასაკვირი არ არის, რომ სწორედ მართლმადიდებლობა ჰყავთ ამოღებული სამიზნეში „დასავლური ფასეულობების“ მქადაგებელ არასამთავრობებსა და მათ პატრონებს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე შეტევა, რომელიც 2003 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო, დღეს უფრო ფართომასშტაბიანია.

## რასობრივი ურთიერთქმედება

ვიდრე ლიფტით მესამე სართულზე ან უფრო მაღლა ახვალთ, მეორე სართული უნდა გაიაროთ. ეს პროგრესის აუცილებელი პირობაა და მას გვერდს ვერ ავუვლით. ასევეა რასობრივი ურთიერთქმედება გლობალიზაციის კანონებით ეს გარდაუვალია. **ჩვენ ვცხოვრობთ რეალობაში, რომელშიც თეთრკანიან ქრისტიან ხალხებს ჯერ კიდევ კარგად არ გაუცვნიათ ერთმანეთი, მაგრამ აქტიურად ასიმილირდებიან სხვა რასებთან.** ამრიგად, განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი გამოტოვებული., ეს კი ნიშნავს იმას, რომ არანაირი რასობრივი ჰარმონია არ არსებობს.

**ტოლერანტულობის დიქტატურის მიუხედავად, საუბარი რასობრივ ომზე ევროპაში სულ უფრო აქტუალურია. საქმე ის კი არ არის, რომ ჩვენთვის მუსლიმური კულტურაა უცხო, არამედ ის, რომ ჯერ არ მოვმწიფებულვართ ურთიერთგაგებისთვის.**

არავინ დავობს იმაზე, რომ უნდა მივისწრაფვოდეთ ბუდისტებსა და მუსლიმანებთან მეგობრობისკენ, მაგრამ ეს შეუძლებელია თანამიმდევრობის გარეშე. გერმანია თითქმის ოკუპირებული აქვთ თურქებს, მაგრამ რა იციან გერმანელებმა რუსებზე? — არაფერი, გარდა იმისა, რომ 4 წლის განმავლობაში ერთმანეთს კლავდნენ ან უფრო მეტი ხანს, თუ პირველ მსოფლიო ომსაც გავითვალისწინებთ.

აშშ-ში რასობრივი ვითარება უკეთესი არ არის, დიდად არც რუსეთი ჩამორჩება აშშ-სა და გერმანიას. ლაპარაკი არ არის სხვა კულტურების შეზღუდვა-შევიწროებაზე, დაე, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. მაგრამ, თუ ამ პროცესს „მეორე სართულს“ არ დავუმატებთ, თეთრი რასა მალე გადაშენდება. ეს აქტიურად რომ მიმდინარეობს, საიდუმლო არავისთვის აღარ არის, თუმცა ერთი რელიგიის არათეთრმა ხალხებმაც ვერ მოასწრეს ერთმანეთის გაგება. სამაგიეროდ, მოასწრეს ქრისტიანულ ქვეყნებში ინტეგრირება. იაპონიასა და ჩინეთს ან შიიტებსა და სუნიტებს შორის, უკვე საუკუნეებია, დაპირისპირება არ წყდება. ამასთანავე, ქრისტიანული ქვეყნებიც ვერ იტანენ ერთმანეთს. აქ გლობალიზაციაზე ლაპარაკიც კი უადგილოა.

* რამდენიმე დღის წინათ გერმანული გამოცემა Frankfurter Rundschau იუწყებოდა, რომ, ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქალაქ ფრანკფურტში გერმანელების რაოდენობამ მხოლოდ 49% შეადგინა და ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. ფრანკფურტში უმრავლესობა „მიგრანტის წარსულის“ მქონე ადამიანები არიან. ყველაზე მრავალრიცხოვანი თემია თურქები (13%), მიგრანტების 61% კი ევროკავშირის ქვეყნებიდანაა.

## ტერორიზმი

გლობალური მსოფლიო, უწინარესად, უსაფრთხო მსოფლიოა. მილიონობით ადამიანი ურთიერთქმედებას ვერ შეძლებს, თუ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. თითქმის კარგა ხანია, დასრულდა დროება, როდესაც ადამიანები მომთაბარეთა მოულოდნელი თავდასხმის შიშით ცხოვრობდნენ. ამჟამად ეს შიში განუხრელად იმატებს. თითქმის ყოველდღე სადღაც რაღაც ფეთქდება, სულ უფრო ხშირად ხდება ადამიანების პროფილაქტიკური ევაკუაცია რეალური საფრთხის გარეშე, მაგრამ აფეთქების შიშით.

ჩვენი ემოციური მდგომარეობა ნელ-ნელა უბრუნდება შუასაუკუნეებისას. და ეს გადაჭარბებული ნათქვამი არ არის. რად ღირს თუნდაც მხეცობები, რომლებიც ოფიციალურად არ არის აღიარებული ტერორისტულ აქტებად. მაგალითად, ადამიანების მასობრივად დაწვა 2014 წლის 2 მაისს ან გუანტანამოს საკონცენტრაციო ბანაკი.

ისე, ბევრს ეს ამბები ფეხებზე ჰკიდია.

**ადამიანებს, გარეგნული სისასტიკის მიუხედავად, სამშვიდობო მოტივები ჰქონდათ თავიანთი თემის თუ ხალხისთვის. დღეს ასეთი მოტივი ბევრს არ აქვს, რადგან, რაც უფრო მეტია სისასტიკე და მხეცობა, მით საინტერესოა ახალი ამბები მასმედიაში. ჩვენ თითქოს მედიურ კანიბალებად ვიქეცით.**

ჩნდება განცდა, რომ თითოეულ ჩვენგანში ზის უხილავი ვოლანდი (მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ პერსონაჟი ნ. კ.) და დღითიდღე სულ უფრო ხშირად იღიმის, როცა ხედავს, რომ კაცობრიობა პირველყოფილ ქაოსში ბრუნდება.

* 2014 წლის 2 მაისს ოდესაში უკრაინელმა ნაციონალისტებმა ცეცხლი წაუკიდეს პროფკავშირის სასახლეს და იქ ცოცხლად გამოწვეს 42 ადამიანი.

გუანტანამო ეს არის აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზა გუანტანამოს ყურეში (კუბა), რომელიც ცნობილია, როგორც ტერორისტებისთვის განკუთვნილი ციხე. უფლებადამცველთა განცხადებით, გუანტანამოს ციხეში ადამიანებს სასტიკად აწამებენ. 2009 წელს ობამას განცხადების მიუხედავად, რომ გუანტანამოს ციხე დაიხურებოდა, ის დღესაც ფუნქციობს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლეგიონის“ მეთაურმა მამუკამ არაერთხელ მოუწოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს, ჩასულიყვნენ საბრძოლველად, მაგრამ საქმე ძნელად იძვრის ადგილიდან. მეთაური ირწმუნება, რომ მის მიკროლეგიონს გააძლიერებენ აშშ-ის მოქალაქეები, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ ხდება. უკრაინელი ქართველების უმრავლესობას აინტერესებს ბიზნესი და არა ყვითელ-ლურჯი ცელოფნის პაკეტით სამშობლოში გამგზავრების პერსპექტივა“.**

# დასავლეთის «პერემოგას» შეწირული ქართველები

**„რუსეთის მიმართ სანქციების გაძლიერება გამოიწვევს იმას, რომ კრემლი ვეღარ შეძლებს უკრაინაში ომისა და უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის გაგრძელებას. რუსეთის არმია სწრაფად დატოვებს ოკუპირებულ ტერიტორიებს. ჩემი აზრით, სრულიად შესაძლებელია ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების დაბრუნება 2017 წელს. რაც შეეხება ნატოში უკრაინის შესვლას, ვფიქრობ, უკრაინა ძალიან ახლოს არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლასთან. ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი — ეს არის კორუფცია“, — განუცხადა უკრაინულ ინტერნეტგამოცემა dialog.ua-ს აღმოსავლეთ უკრაინაში ანტიტერორისტული ოპერაციის მონაწილემ, ქართველებისგან დაკომპლექტებული ბატალიონის — „ქართული ნაციონალური ლეგიონის“ მეთაურმა მამუკა მამულაშვილმა.**

**სწორედ „ქართულ ნაციონალურ ლეგიონს“ და უკრაინის აღმოსავლეთში მებრძოლ ქართველებს ეძღვნება ანდრეი უვაროვის მიერ ინტერნეტგამოცემა fondsk.ru-ს გვერდზე გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, და რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ უაზრობაა ქართველების მონაწილეობა ძმათამკვლელ ომში, რომელიც ორ მონათესავე ხალხს — რუსებსა და უკრაინელებს — მოახვია თავს ე.წ. დემოკრატიულმა დასავლეთმა თავისი ინტერესების დასაცავად. ამ ომში, რომელშიც ქართველ მეომრებს საზარბაზნე ხორცის ფუნქცია აკისრიათ, „პერემოგას“ (უკრ. — გამარჯვება) ვერავინ მოიპოვებს, დასავლეთის გარდა.**


პირველი ლეგიონერები

## «ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენები მიუთითებს, რომ გადაწყვიტეს, ქართველები გამოიყენონ პირდაპირი დანიშნულებით — საზარბაზნე ხორცად»


მამუკა მამულაშვილი


ჯაბა ლელაშვილი


წრთნა ბაზკიროვკაში

„ქართული პარტიზანული მითოსის გმირის, თიკუნით — მამუკა, უკრაინული პიარის სამყაროში დაბრუნება და „გმირის“ დაპირება, კიევისთვის დონბასის დაბრუნებისა და **შოიგუს** (რუსეთის თავდაცვის მინისტრი — ნ. კ.) დატყვევების შესახებ უფლებას გვაძლევს, შიგნიდან დავათვალიეროთ უკრაინის შეიარაღებული ძალების „ჯადოსნური ორგანიზმი“ — ქართული ნაციონალური ლეგიონი, რომელსაც მეთაურობს მწვადებისა და კეტჩუპების მომზადების ოსტატი **მამუკა მამულაშვილი**.

2014 წელს, როცა უკრაინის გენერალური შტაბი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეძებდა საზარბაზნე ხორცს, ხოლო უკრაინელები **მიხეილ სააკაშვილის** რჩევებისა და დაპირებებისგან გამოწვეული სიამოვნებით დნებოდნენ, გადაწყვიტეს, უკრაინის არმიას მიკედლებული ქართველებისგან საბრძოლო სტრუქტურა შეექმნათ. ამ სტრუქტურის ძირითადი ნაწილს წარმოადგენდნენ ქართველები, რომლებიც კიევის ცენტრში მოწყობილ ევრომაიდანზე ხშირად ჩნდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ **საქართველოდან დონბასის წინააღმდეგ საომრად ერთეულები ჩავიდნენ — ძლივს შეაგროვეს 70-მდე კაცი და ამ ჯგუფს „ლეგიონი“ დაარქვეს. იმის გათვალისწინებით, რომ ნამდვილი (რომაელთა) ლეგიონი 2 ათას კაცზე ნაკლებს არ ითვლიდა, ლეგიონის ხელმძღვანელმა ვერ მიიღო წოდება „ლეგატი“ და მამუკად დარჩა.**

დღეს „ლეგიონი“ 54-ე მოტომსროლელი ბრიგადის 25-ე ბატალიონის მე-3 ასეულია, თანაც უკრაინელებით შევსებული, „ლეგიონის“ ძირითად შემადგენლობაა უკრაინელი ქართველები და პროფესიონალები საქართველოს არმიიდან, რომლებსაც შურისძიების წყურვილი კლავთ „080808 ომში“ სამარცხვინო დამარცხების გამო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში ქართველების დიასპორამ უკრაინაში 50 ათას ადამიანს მიაღწია, უკრაინის აღმოსავლეთში მებრძოლი ქართველების რაოდენობა სასაცილოა.

„ლეგიონის“ მეთაურმა მამუკამ არაერთხელ მოუწოდა მსოფლიოს სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს, ჩასულიყვნენ საბრძოლველად, მაგრამ საქმე ძნელად იძვრის ადგილიდან. **მეთაური ირწმუნება, რომ მის მიკროლეგიონს გააძლიერებენ აშშ-ის მოქალაქეები, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ ხდება. უკრაინელი ქართველების უმრავლესობას აინტერესებს ბიზნესი და არა ყვითელ-ლურჯი ცელოფნის პაკეტით სამშობლოში გამგზავრების პერსპექტივა.**

მიუხედავად ამისა, უკრაინული სააგიტაციო მანქანა ხშირად იუწყება ქართველთა დაუჯერებელ გმირობაზე სჩასტიესთან (ქალაქი ლუგანსკის ოლქში — ნ.კ.), ხრიაშჩევატოესთან (დასახლება ლუგანსკის ოლქში — ნ.კ.), ლუგანსკის აეროპორტთან და განსაკუთრებით — სვეტლოდარსკის (ქალაქი დონეცკის ოლქში — ნ.კ.) რკალზე.

ცოტა ხნის წინათ ხარკოვის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა ქართული სადამსჯელო რაზმის წევრებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. პათოსი მეტია, ვიდრე ფოტო. სინამდვილეში, „მწვადების ლეგიონერებისგან“ ხეირი ცოტაა, რომელზეც ხშირად წერენ უკრაინელი სამხედრო ბლოგერები. ამაზე, აგრეთვე, მიუთითებს ქართველების დისკლოკაცია ფრონტის მშვიდ უბანზე.

სანამ სააკაშვილის საბრძოლო დიდების მემკვიდრეები სხვადასხვა ქვედანაყოფსა და ფრონტზე იყვნენ გაფანტულნი, მათ არაუკრაინული გვარებით მხოლოდ მრავალფეროვნება შეჰქონდათ უკრაინის შეიარაღებული ძალების სამგლოვიარო სიებში.

მაგალითად, **კოტე ლახშია** თავის დროზე ავღანეთში იბრძოდა, მერე „მემარჯვენე სექტორის“ ინსტრუქტორი იყო, მაგრამ შიროკინოში (სოფელი დონეცკის ოლქის სამხრეთში — ნ.კ.) სნაიპერის ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს.

შიროკინოშივე დაიღუპა **გიორგი ჯანელიძეც** — პოლკ „აზოვში“ თურქეთიდან ჩასული გამოუსწორებელი რუსოფობი. სიკვდილის შემდეგ „კიევის საპატრიარქოს“ მედლითაც კი დააჯილდოვეს. მისი ცხედარი რამდენიმე დღის განმავლობაში მიტოვებული იყო ნეიტრალურ ზოლში და „მოძმეებმა“ მხოლოდ მას შემდეგ გაიტანეს, როცა საქმეში ეუთოს წარმომადგენელთა ჯგუფი ჩაერია.

ქუთაისელმა **ალეკო გრიგოლაშვილმა**, ბატალიონ „აიდარის“ წევრმა, გადაწყვიტა, „სეპარები“ (სეპარატისტები — ნ.კ.) დაეხოცა, მაგრამ სწორედ ძველ აიდართან (ლუგანსკის ოლქი — ნ.კ.) ბრძოლაში მოკლეს.

**გიორგი ბარათელი**, რომელიც 93-ე მოტომსროლელი ბრიგადის შემადგენლობაში იბრძოდა, დონეცკთან მოკლეს.

**რევაზ წიკლაური** შეპეტოვკაში (ხმელნიცკის ოლქი — ნ.კ.) ცხოვრობდა, მოხალისედ ჩაირიცხა 90-ე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა „ჟიტომირში“. მოკლეს დონეცკის ოლქში, ავდეევკასთან.

**დავით გამსახურდია**, როგორც ამიერკარპატებში მცხოვრები, მოხალისედ იბრძოდა 128-ე სამთო-ქვეითთა ბრიგადაში, მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრეს შახტ „ბუტოვკასთან“.

**თამაზ სუხიაშვილი**, გორის სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი ლეიტენანტი, სამხედრო ოპერაციების მონაწილე ავღანეთში, ერაყსა და სამხრეთ ოსეთში, დონეცკის აეროპორტთან დაიღუპა.

ცხედრებს, როგორც წესი, უკრაინის ბიუჯეტის ხარჯზე გზავნიან საქართველოში.

სხვათა შორის, საქართველოში ქართველი დაქირავებულების მონაწილეობას დონბასის კონფლიქტში არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ — ქართველები ხომ დონბასელი მოლაშქრეების მხარესაც იბრძვიან, ქართველთა ყველაზე დიდი ანკლავი სწორედ დონბასში იყო.

2015 წელს საქართველოს იმჟამინდელმა პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** პრეტენზია გამოთქვა საქართველოდან გაქცეული სააკაშვილის მიმართ, რომელიც ქართველებს რუსების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო დისტანცირებს უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისგან და არ ეხმარება უკრაინას სამხედრო თვალსაზრისით.

ამასთანავე, თბილისში მოქმედებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია (მაგალითად, **კობა ხაბაზის** „თავისუფალი ზონა“, **ირაკლი ლექვინაძის** ჯგუფი), რომლებიც ჰუმანურ დახმარებას უწევენ სადამსჯელო რაზმის წევრებს.

ამას გარდა, რამდენიმე ქართველი სამხედრო ომში მონაწილეობს, როგორც ინსტრუქტორი. ამ როლში ქართველები მაღალი კასტის წარმომადგენლებივით იქცევი- ▶

## საქართველოდან დონბასის წინააღმდეგ საომრად ერთეულები ჩავიდნენ — ძლივს შეაგროვეს 70-მდე კაცი და ამ ჯგუფს «ლეგიონი» დაარქვეს

უყვირებდა, აბა, რა, მიშა აშშ-ის პრეზიდენტს, რომელსაც თავზე ვაზელინწასმული დახვდა, როცა თბილისში ჩამოვიდა, არც საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის დატუქსვას მოერიდებოდა, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრის — ბერნარ კუშნერისა და უამრავი ჟურნალისტის წინაშე მართლა ქვეშაფსიასავით ხოხავდა მიწაზე თვითმფრინავის ხმისგან შეშინებული. აი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვს კი, რომელმაც უკრაინის პრეზიდენტთან გამართულ თათბირზე ჯერ „ბე-ბე-ბე-ბე“-თი მიმართა, შემდეგ კი საჯაროდ უწოდა „კორუფცირებული გუბერნატორი“ და დედაც შეაგინა, ვერაფერი დააკლო.

ფაქტები და მოვლენები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ან — მათ ხომ ნატოელები ასწავლიდნენ! VIP ინსტრუქტორებიდან კი უკრაინელებს წვრთნიდა, მაგალითად, გენშტაბის ყოფილი უფროსი **გიორგი კალანდაძე.** სხვათა შორის, სწორედ მისმა მე-4 ქვეითმა ბრიგადამ განიცადა ყველაზე დიდი დანაკარგი, როცა ცხინვალის აღებას შეეცადა 2008 წლის აგვისტოში. რა უნდა ასწავლოს უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს კალანდაძემ, ბრძოლის ველიდან სწრაფად გაქცევის გარდა? სამშობლოში კი მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული კორუფციაში მონაწილეობის გამო.

ცოტა ხნის წინათ ქართული „ლეგიონი“ დისლოცირებული იყო ტროიცკოეში, პოპასნაიასა და „ბახმუტკის“ ტრასასთან ახლოს. იქიდან მამუკა ხელმძღვანელობას მოახსენებდა, რომ გამუდმებით იპყრობდა „ნაცრისფერი ზონის“ ახალ-ახალ უბნებს, ანუ ამართლებდა ამ კარიკატურული ლეგიონის ნამდვილ დანიშნულებას — საინფორმაციო ბუტაფორიას „რუსული აგრესიის საერთაშორისო წინააღმდეგობაზე“.

ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენები მიუთითებს, რომ გადაწყვიტეს, ქართველები გამოიყენონ პირდაპირი დანიშნულებით — საზარბაზნე ხორცად. ივნისში „მამუკას ჯარი“ გადაიყვანეს ბაშკიროვკის (ჩუგუევსკის რაიონი, ხარკოვის ოლქი) პოლიგონზე. იქ ბრძანებებს გასცემდა მამუკას მოადგილე **ჯაბა ლელაშვილი,** რომელიც ამბობს, რომ ქართული სპეცდანიშნულების რაზმის — „დელტას“ ყოფილი მეთაურია (რაც, დიდი ალბათობით, მართალი არ არის). ის აფხაზეთის გამო რუსებზე შურისძიებისთვის ჩავიდა უკრაინაში. სწავლება მიმდინარეობდა პოლონელი და კანადელი ინსტრუქტორების მონაწილეობით. სწავლების შედეგების მიხედვით, 25-ე ბატალიონ „კიევსკაია რუსის“ მეთაურის მოადგილე **სერგეი ფედოსენკომ**, რომელსაც ემორჩილებიან ქართველი მებრძოლები, განაცხადა, რომ უკრაინის გენშტაბს აქვს იდეა, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული დაქირავებულებისგან 150-კაციანი „უცხოური ლეგიონი“ ჩამოაყალიბოს „ქართული ლეგიონის“ ბაზაზე.

სანამ „ლეგიონერები“ ზურგში ირუჯებიან, მათი მამუკა მეომრულ ინტერვიუებს იძლევა და უკრაინელებს უყვება, რომ „დონბასში მებრძოლი რუსი სამხედროების ტაქტიკური მომზადების დონე უკიდურესად დაბალია“. შამფურისა და ხინკლის ოსტატი როგორც ამტკიცებს, რუსეთის არმიის ტაქტიკა „პრაქტიკულად არ შეცვლილა ბოლო საუკუნის განმავლობაში. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ ცვლილებას. მათი ჩანაფიქრის ამოცნობა საკმაოდ ადვილია და ეს მათ იციან, ამიტომ პირდაპირ კონფრონტაციას ყოველთვის თავს არიდებენ. როცა ჩვენ შევდივართ, როცა ჩვენი დივერსიული ჯგუფი მუშაობს ზურგში, აი, მაშინ ხდება ხოლმე პირდაპირი კონფრონტაცია. ისიც ძალიან დუნე. იმიტომ, რომ ამ ადამიანების მომზადების დონე ძალიან „დაბალია“.

აი ასეთები არიან ისინი — პოროშენკოს მებრძოლი ქართველები“.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# მართლაც არავის უყვარს ქვეშაფსია და ნაწოლილი ელემენტები


ბერნარ კუშნერი და მიხეილ სააკაშვილი



**საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის აწ უკვე ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინათ იმდენი ტყუილი დაახეთქა, ეიფელის კოშკის გამყიდველ და განგსტერ ალ კაპონეს მომტყუებელ ავსტრიელ თაღლით ვიქტორ ლუსტიკსაც კი შეშურდებოდა.**

10 ივლისს სააკაშვილმა მისი საყვარელი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა (სტილი დაცულია): **„ვალიზიანებდი თავის დროზე პრეზიდენტ ბუშს. ხმას ავუწიე და ვუყვირე, როდესაც ტანკებით მოდიოდნენ რუსები... ჩემი სამშობლო იყო სასიკვდილო საფრთხის ქვეშ და გაქრა ამან. ხანდახან ესაც არის საჭირო. საჭიროა, შეუტიო, შეახსენო, კარები აუტალახო ბოლომდე. თუ საჭიროა, ნამუსზე ააგდო. ზუსტად ასეთი დამოკიდებულება მქონდა სარკოზისთან. სარკოზი მრავალი საათი მარწმუნებდა, რომ მომეწერა ხელი კაპიტულაციაზე, ყვიროდა, დახტოდა, მოწმეები იყვნენ ამის, ვინც ესწრებოდა ამ ამბებს. მე ვუთხარი, რომ არა! ჩემი სამშობლოს კაპიტულაციაზე ხელს არ მოვაწერ-მეთქი. ეს რომ გავაკეთე, ამის შემდეგ უკვე სარკოზიმ დამპატიჟა ოფიციალური ვიზიტით, დიდი პატივით მიმიღო, იმიტომ, რომ არავის არ უყვარს ქვეშაფსიები და ნაწოლილი ელემენტები“.**

უყვირებდა, აბა, რა, მიშა აშშ-ის პრეზიდენტს, რომელსაც თავზე ვაზელინწასმული დახვდა, როცა თბილისში ჩამოვიდა; არც საფრანგეთის პრეზიდენტ **ნიკოლა სარკოზის** დატუქსვას მოერიდებოდა, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრის — **ბერნარ კუშნერისა** და უამრავი ჟურნალისტის წინაშე მართლა ქვეშაფსიასავით ხოხავდა მიწაზე თვითმფრინავის ხმისგან შეშინებული. აი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ **არსენ ავაკოვს** კი, რომელმაც უკრაინის პრეზიდენტთან გამართულ თათბირზე ჯერ „ბე-ბე-ბე-ბე“-თი მიმართა, შემდეგ კი საჯაროდ უწოდა „კორუფცირებული გუბერნატორი“ და დედაც შეაგინა (ამ ინციდენტის სტენოგრაფიულ ჩანაწერში პრეზიდენტი პოროშენკო მოუწოდებს ავაკოვს, დედას ნუ აგინებო), ვერაფერი დააკლო.

ასეა, „უშიში, ვითარცა უხორცო“ სააკაშვილი აშშ-ისა და საფრანგეთის პრეზიდენტს უყვირის და თავის ჭკუაზე ატარებს, მაგრამ ვერაფერს უბედავს მხოლოდ უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომლის ძალისხმევითაც ოდესის ოლქის გუბერნატორობას ჩამოაშორეს.

ისე, მართლა არავის უყვარს ქვეშაფსია და ნაწოლილი ელემენტები... ნაცების გარდა!



# სერ, იქნებ ისიც გვითხრათ, ვინ უშლის ხელს საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაში

**„საქართველოს სუვერენული გადაწყვეტილებაა, რა ურთიერთობა ექნება სხვა ქვეყნებთან, როგორ სტრუქტურებში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ უმჯობესი იქნება ჯერ ურთიერთობის ნორმალიზება და შემდეგ სხვა დონეზე გადასვლა“, — განაცხადა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმ ბათუმში, მე-14 საერთაშორისო კონფერენციის — „საქართველოს ევროპული გზა — რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა“ — გახსნაზე.**

რუსეთთან დიალოგის გამართვა და ურთიერთობის ნორმალიზება რომ აუცილებელია, ამაზე, დიდი ხანია, ლაპარაკობს ბევრი ექსპერტი, ანალიტიკოსი თუ პოლიტიკოსი და ეს, მით უმეტეს დღეს, აშკარაა. მაგრამ, სერ კელი, რადგან ყველაფერი იცით, იქნებ ისიც გვითხრათ, რატომ ამბობს საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**, რომ რუსეთთან დიალოგი გამორიცხულია, ვინ არ აძლევს უფლებას საქართველოს ხელისუფლებას, ოდნავ მაინც გააუმჯობესოს აგრერიგად დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან? **„სტრატეგიული პარტნიორები“ ხომ არა, რომელთა რჩევის გარეშეც ნაბიჯს ვერ დგამს?**

# ტრამპმა შეაქო პასტორი, რომელმაც განაცხადა, რომ გეები გარყვნილები და პედოფილიისკენ მიდრეკილი არიან



**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტელეკომპანია CBN-ისთვის რამდენიმე დღის წინათ მიცემულ ინტერვიუში კარგი ბიჭი უწოდა ქრისტიან პასტორს, რომელმაც განაცხადა, რომ გეები გაუკუღმართებული, დეგრადირებული გონებისა და პედოფილიისკენ მიდრეკილი არიან.**

დალასის ბაპტისტური ეკლესიის პასტორი — რობერტ ჯეფრისი, რომელიც ტრამპმა ინტერვიუში შეაქო, გეების მიმართ მწვავე კრიტიკული დამოკიდებულებით არის ცნობილი. მაგალითად, ცნობილია ჯეფრისის განცხადებები, რომ ჰომოსექსუალები პედოფილიისკენ მიდრეკილნი არიან.

„გეიაქტივისტები არც კი ცდილობენ, დამალონ, რომ ჰომოსექსუალობასა და პედოფილიას შორის კავშირი არსებობს... არსებობენ ისეთი გეებიც, რომლებიც საქორწინო წლოვანების შემცირებით ან მისი საერთოდ გაუქმების მოთხოვნით ზრდასრულებსა და ბავშვებს შორის სექსუალური კავშირის ლეგალიზებას ცდილობენ“, — განაცხადა ჯეფრისმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

„ბავშვებზე ჰომოსექსუალები თავდასხმის სიხშირე არაპროპორციულად მაღალია, ვიდრე ჰეტეროსესუალების, ამას ვერ უარყოფთ და ამის მიზეზი ნათელია: ჰომოსექსუალობა გაუკუღმართებაა, ის გამოხატავს პიროვნების გონების დეგრადაციას და, თუ პიროვნება ასე დაბლა დაეშვება და მას არ აქვს არანაირი შეზღუდვა ღვთის კანონისგან, მაშინ ვერც იტყვი, კიდევ რა ცოდვას ჩაიდენს“, — ეს ფრაზაც პასტორ ჯეფრისს ეკუთვნის.

გეების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო პასტორ რობერტ ჯეფრისს რესპუბლიკური პარტიის ზომიერი წევრები ერიდებოდნენ, მაგრამ ტრამპი მასთან კავშირს და დადებით დამოკიდებულებას საჯაროდ გამოხატავს.




# ლონდონელი მუსლიმები გეებისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ შეურაცხმყოფელი პლაკატისთვის «ალაჰი გეია»

**ლონდონში 8 ივლისს ჩატარებულ გეიაღლუმზე ლგბტ აქტივისტებმა მუსლიმების რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი პლაკატები გამოიტანეს. პლაკატებზე „ალაჰი გეია“ და სხვა პროვოკაციული ტექსტები ეწერა.**

აღლუმმა ლონდონის მუსლიმურ საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია. მუსლიმები ასეთი პროვოკაციული პლაკატების დაშვების გადაწყვეტილებას აკრიტიკებენ, ამბობენ, რომ ღონისძიება ისლამოფობიის გაღვივებისკენ იყო მიმართული და ბოდიშის მოხდას მოითხოვენ. გეიაქტივისტები კი არ ეთანხმებიან კრიტიკას და, საერთოდ, ცნება „ისლამოფობიის“ არსებობას. ისინი ამბობენ, რომ ისლამი გეების უფლებებს მსოფლიოს მასშტაბით ლახავს და აქვთ ამის წინააღმდეგ საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ლონდონში გამართულ გეიაღლუმზე ქრისტიანობის შეურაცხმყოფელი პლაკატიც ბევრი იყო.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიტანეთის პოლიციის მონაცემებით, რეფერენდუმის შემდგომ განვლილი 11 თვის განმავლობაში რასობრივი და რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ 23 პროცენტით მოიმატა — 40,7 ათასიდან 50 ათასამდე. ამ მხრივ გამოირჩევა გვენტის საგრაფო უელსში (77 პროცენტი), აგრეთვე, კენტის, უორკშირის, ნოტინჰემის საგრაფოები.**

# ევროპელი ნაცები ისლამისტების ტაქტიკას ითვისებენ

**ემანუელ მაკრონზე თავდასხმის მცდელობამ აიძულა ევროპა, გაიხსენოს, რომ ისლამისტი ლტოლვილები ერთადერთი საშინაო ტერორისტული საფრთხე არ არის. აშკარაა უკიდურესი მემარჯვენეების გააქტიურება, რომლებიც არცთუ იშვიათად გადადიან ქუჩის ტერორზე ბრეივიკის ლოზუნგებით. ევროპას თანდათან ითრევს ისლამიზმისა და ნაციზმის დოლაბები.**



საფრანგეთის ახალ პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობა გეიმერების (გეიმერი — ადამიანი, რომელიც ვიდეოთამაშებით არის გართული) წყალობით გაიხსნა. მათ პოლიციელებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი თამაშის ჩათის სტუმარი კითხულობდა, სად შეძლებდა ავტომატის ყიდვას. „მჭირდება რაღაც კალაშნიკოვის მსგავსი“, — განმარტა მან.

მეორე დღესვე პოლიციელები ესტუმრნენ ეჭვმიტანილს, რომელიც ცხოვრობდა პარიზის პრესტიჟულ გარეუბანში — არჟანტეის კომუნაში. ოცდასამი წლის ახალგაზრდა მასთან მისულებს სამზარეულოს დანით დაესხა თავს. კიდევ ორი დანა იპოვეს მის ავტომობილში. დაკითხვისას გაირკვა, რომ გეიმერი მაკრონის მკვლელობას აპირებდა ბასტილიის აღების ყოველწლიურ აღლუმში მონაწილეობისას.

„ჩვენ საქმე გვაქვს ისლამისტი ტერორისტის სარკისებრ გამოსახულებასთან, ადამიანთან, რომელსაც გეზს აძლევს იმავე, ოღონდ საწინააღმდეგო იდეოლოგიის მანია, — განაცხადეს ექსპერტებმა. — მოგვიანებით პარიზის პროკურატურაში დააზუსტეს, რომ ეჭვმიტანილი ეკუთვნის მემარჯვენე რადიკალებს; ცდილობდა, თავს დასხმოდა ზანგებს, არაბებს, ებრაელებსა და გეებს“, თავის კერპად კი მიაჩნდა ნორვეგიელი ექსტრემისტი **ანდერს ბრეივიკი.** ფსიქიატრებმა დაასკვნეს, რომ გეიმერი „ფსიქიკურად არასტაბილურია, მაგრამ შერაცხადი და მიზანმიმართული“.

ისევე, როგორც ისლამისტი ლონდონელი ტერორისტები იყვნენ ცნობილი პოლიციისთვის, „მიზანმიმართული“ გეიმერის პიროვნებაც ცნობილია საფრანგეთის სამართალდამცველთათვის. 2016 წელს იგი სასამართლოს წინაშე წარდგა ბრეივიკის მხარდაჭერის, ტერორიზმის პროპაგანდისა და რასობრივი სიძულვილის გაღვივების გამო. მას სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს წელიწად-ნახევრით გადავადების პირობით.

პრეზიდენტზე თავდასხმა ძირძველი ფრანგული ტრადიციაა. **შარლ დე გოლი,** მაგალითად, მშვიდობიანად გადაურჩა თავდასხმის 32 შემთხვევას და ამის გამო ხუმრობდა კიდეც: „თუ პრეზიდენტისთვის ერთხელაც არ უსროლიათ, ეს ნიშნავს, რომ იგი არაპოპულარულია“.

ამ ახალ ტერორისტს, როგორც ჩანს, აღაფრთოვანებდა **მაქსიმ ბრიუნერის** მაგალითი. ოცდახუთი წლის სტუდენტმა 2002 წლის 14 ივლისს ბასტილიის აღების აღსანიშნავ აღლუმზე გიტარის ფუტლარით მიიტანა თოფი. მან ორჯერ ესროლა **ჟაკ შირაკს,** მაგრამ ტყვიები პრეზიდენტს არ მოხვედრია. მაშინ ბრიუნერიმ თოფის ლულა პირში ჩაიდო, მაგრამ ჩახმახს ვერ მისწვდა. ხელ-ფეხი პოლიციელების მოსვლამდე შეუკრეს.

ბრიუნერიც უკიდურესი მემარჯვენე იყო და შედიოდა ნაციონალისტურ დაჯგუფებაში „რადიკალური ერთობა“. მის წევრებს კავშირი ჰქონდათ რესპუბლიკელებთან და „ეროვნულ ფრონტთან“, მაგრამ მიაჩნდათ, რომ იყვნენ ნაციონალ-ბოლშევიკები და საერთო ფრანგულ რეზისტანსისკენ — წინააღმდეგობისკენ მოუწოდებდნენ მასებს. დაჯგუფება სასწრაფოდ აკრძალეს და უმრავლესობა იდენტიტარნულ ბლოკში გადავიდა, რომლის შემადგენლობაშიც განაგრძობენ ბრძოლას ეროვნული იდენტურობისა და ისლამიზაციის წინააღმდეგ. თვით ბრიუნერმა სრულად მოიხადა სასჯელი — 7 წელიწადი ციხეში, გათავისუფლდა, დაწერა მემუარები და ერთგვარად ცნობილი პიროვნება გახდა.

საფრანგეთის პრეზიდენტებზე თავდასხმები მხოლოდ ნაწილია ტერაქტების ნუსხაში, რომლებიც ბოლო წლებში ევროპელი ულტრამემარჯვენეების მიერ არის ორგანიზებული.

ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ მათ გააქტიურებაში ერთგვარი ლოგიკაა. ნორმალური პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას უკიდურეს მემარჯვენეებს არ აძლევენ — ისტებლიშმენტის პარტიები და ყველა დონის ევრომოხელეები ერთიანი ფრონტით გამოდიან ისეთი ნაციონალისტების წინააღმდეგაც კი, რომლებსაც რადიკალებთან შეხება არ აქვთ. იმავე საფრანგეთში **მარინ ლე პენის** (რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მესამედმა მისცა ხმა) სავსებით ზომიერმა „ეროვნულმა ფრონტმა“ ეროვნულ კრებაში მხოლოდ 8 ადგილი მიიღო. წარუმატებლად დამთავრდა საპარლამენტო არჩევნები ნიდერლანდებში **გერტ ვილდერსის** პარტიისთვისაც, რომლის დღის წესრიგი უსირცხვილოდ გადაიღეს მმართველმა წრეებმა. ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში „ალტერნატივა გერმანიისთვის“ პერსპექტივა ასევე საუკეთესო არ არის.

ევროპელ ნაციონალისტებს ნორმალური ტრიბუნა, ფაქტობრივად, არ აქვთ: მასმედია მათ თვალსაზრისს ან სრულად არ აქცევს ყურადღებას, ან მხოლოდ იმიტომ ციტირებს, რომ „ფაშისტებისა“ და „რასისტების“ იარლიყები მიაწებონ. დავუმატოთ ამას მიგრაციული კრიზისი, ისლამისტური ტერორიზმის ტალღა და ხელისუფლების მიერ ამ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების სურვილის უქონლობა. ფრანგ ნაციონალებს უჭირთ, დაეთანხმონ მაკრონის პოზიციას, რომელმაც გაგანია საპრეზიდენტო მარათონისას მორიგი ტერაქტის გამო ფილოსოფიურად შენიშნა: „ეს არის ახალი რეალობა, რომელშიც უნდა ვიცხოვროთ“.

საბოლოოდ ყველაზე ახალგაზრდები და შეურიგებლები გადააბიჯებენ ხოლმე მიჯნას, რომლის გადაბიჯებაც დაუშვებელია.

2011 წლიდან დაწყებული, როცა ანდერს ბრეივიკმა 77 ადამიანი დახვრიტა იმის გამო, რომ ისინი მონაწილეობდნენ მემარცხენე მუშათა პარტიის ღონისძიებაში, ძალადობრივი აქციების რაოდენობა ევროპაში განუხრელად იმატებს. დასაწყისში ეს იყო თავდასხმები მიგრანტებზე და მათ საერთო საცხოვრებლებზე. მხოლოდ შვედეთში 2015 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია 20 შეტევა საერთო საცხოვრებლებზე, 2016 წლის იანვარში კი ნიღბიანმა ადამიანებმა სცემეს მიგრანტები სტოკჰოლმის რკინიგზის სადგურში.

გერმანიის მაგალითისამებრ, მიგრანტების მიღების ცენტრებს რეგულარულად უკიდებდნენ ცეცხლს. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაითვალეს, რომ მხოლოდ 2016 წლის განმავლობაში ლტოლვილთა კომპაქტური დასახლების ცენტრებს ათასზე მეტჯერ შეუტიეს, სულ ცოტა, 2500-ჯერ კი თავს დაესხნენ მიგრანტებს.

თუ მოახერხებენ და ორგანიზატორებს სასამართლოს წინაშე წარადგენენ, მათ სერიოზულად სჯიან. მაგალითად, გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწე **მარკ შაიდერს** 2016 წელს რვა წლით აღუკვეთეს თავისუფლება იმის გამო, რომ მან ცეცხლი გაუჩინა მიგრანტთა საერთო საცხოვრებელს. ხანძრის დროს არავინ დაშავებულა. ისე ჩანს, სასამართლოს მკაცრი სასჯელები მხოლოდ აღიზიანებს ექსტრემისტებს.

საფრანგეთის შს სამინისტროს სტატისტიკაშიც სასიხარულო არაფერია. მაგალითად, 2015 წელს მუსლიმებზე თავდასხმებმა 223 პროცენტით მოიმატა 2014 წელთან შედარებით. ფრანგი ექსტრემისტების ერთ-ერთი საშიში აქცია დევნილების კალეს ბანაკის, სახელგანთქმული „ჯუნგლების“ დაწვა იყო, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა.

განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევიან ინგლისელი ნაცები. ბრექსიტის რეფერენდუმის წინა დღეს ქვეყანა 41 წლის **ჯო კოქსის**, ლეიბორისტული პარტიიდან პარლამენტის დეპუტატის, მკვლელობამ შეძრა. ამომრჩევლებთან გამართულ შეხვედრაზე კოქსთან მივიდა ადგილობრივი მოქალაქე **თომას მეიერი,** მოკლედ ეკამათა ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლის მიზანშეწონილობაზე, შემდეგ კი სამჯერ ესროლა მონადირის თოფიდან, ბოლოს კი დანის ჩარტყმით სიცოცხლე მოუსწრაფა. მეიერი ულტრამემარჯვენე იდეების აღმსარებელი იყო, თავდასხმის მომენტში გაჰყვიროდა „ბრიტანეთი უპირველეს ყოვლისა!“.

ლონდონსა და მანჩესტერში ისლამისტების მიერ განხორციელებული ტერაქტების კვალზე კარდიფის მკვიდრი, 47 წლის **დარენ ოსბორნი** თავის ფურგონით შეიჭრა მრევლში, რომელიც ფინსბერი-პარკის მეჩეთიდან გამოდიოდა. ერთი ადამიანი მოკლა, რვა — დაჭრა. თვითმხილველები ადასტურებენ, რომ დაკავებისას იგი ყველა მუსლიმის დახოცვით იმუქრებოდა.

ბრიტანეთის პოლიციის მონაცემებით, რეფერენდუმის შემდგომ განვლილი 11 თვის განმავლობაში რასობრივი და რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ 23 პროცენტით მოიმატა — 40,7 ათასიდან 50 ათასამდე. ამ მხრივ გამოირჩევა გვენტის საგრაფო უელსში (77 პროცენტი), აგრეთვე, კენტის, უორკშირის, ნოტინჰემის საგრაფოები.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბორის ჯონსონმა** თავის დროზე აღნიშნა, რომ „ბრეივიკის შემთხვევა ისლამური ტერორიზმის სარკისებრი ანარეკლია, ოღონდ საწინააღმდეგო იდეოლოგიური მანიით“.

მართლაც ასეა: მემარჯვენე რადიკალები ბევრი რამით ჰგვანან თავიანთ შეურიგებელ მტრებს — ისლამისტებს.

უმეტესად ისინი მარტონი მუშაობენ და შეტევამდე ისე ცხოვრობენ, როგორც წესიერი მოქალაქეები, ამიტომაა ძნელი მათი მონაწილეობით ჩადენილი ტერაქტების აღკვეთა.

თუმცა, ისევე, როგორც ისლამისტები, მემარჯვენე რადიკალებიც მარტოხელები არ არიან. ისინი ცხოვრობენ თავიანთ საინფორმაციო სივრცეში, რომელიც მათ უკმაყოფილებს განსხვავებულ თვალსაზრისს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. თუ ისლამისტები სულიერ საკვებს ქადაგებებში პოულობენ, ნაციონალისტებს ასულდგმულებს „კლასიკოსთა“ ნაშრომები ჰიტლერიდან ბრეივიკამდე, ინტერნეტი კი საშუალებას აძლევს, ურთიერთობა დაამყარონ „ერთმორწმუნეებთან“ მსოფლიოში. რომელიღაც მომენტში მსოფლიოს ეს ვირტუალური სინამდვილე, რომელშიც ყველაფერში დამნაშავე მიგრანტები არიან, სრულად გამორიცხავს რეალობას და ტერორისტი იარაღს მოჰკიდებს ხელს.

მემარჯვენე რადიკალების ჩვეული მოტივი შურისძიებაა. შვედმა ნაციონალისტებმა დევნილებს ვენდეტა მოუწყვეს მოხალისე ქალიშვილის მკვლელობის საპასუხოდ. გერმანელებმა შური იძიეს კელნში მოწყობილი ძალადობების საპასუხოდ. დარენ ოსბორნი შეეცადა, „პასუხი მოეთხოვა“ მუსლიმებისთვის ლონდონისა და მანჩესტერის ტერაქტების გამო.

ტერაქტების ხელწერაც ბევრი რამით მსგავსია. ისლამისტებმა მოდად შემოიღეს ქვეითთა გასრესა მანქანებით, ასეთივე ტაქტიკას იყენებენ მუსლიმთა წინააღმდეგ. ისლამისტები თავიანთი შეტევებისთვის არჩევენ პოპულარულ ადგილებს — ელისეს მინდვრებს, ინგლისის სანაპიროს, ლონდონის ხიდს. ნაციონალისტებიც ასეთსავე ადგილებს ირჩევენ. გეიმერი, რომელიც მაკრონის მოკვლას აპირებდა, ტერაქტის განხორციელებას ელისეს მინდვრებზე აპირებდა, დარენ ოსბორნმა კი მეჩეთი ფინსბერი-პარკი აირჩია, ეს სამლოცველო ყველაზე რადიკალური იმამების ნავსაყუდელია.

ჩანს, რომ მემარჯვენე-რადიკალების მიმართ ევროპის ქვეყნების სპეცსამსახურები ისეთივე შეცდომას უშვებენ, როგორიც ისლამისტი ტერორისტების მიმართ დაუშვეს. მათ დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, რომ აკონტროლებდნენ „ულტრასების“ ორგანიზაციებს, რომლებშიც ჩანერგილი ჰყავდათ აგენტები, მაგრამ ასეთ გარემოში განცალკევებულად მოქმედი ადამიანები უვნებელნი რჩებიან — მათი წინასწარ გამოაშკარავება პრაქტიკულად არარეალურია.

ყველაზე საშინელი სცენარის შემთხვევაში, თუ ურთიერთდაუნდობლობა კვლავაც გაძლიერდება, ტერაქტების ომი შეიძლება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს, რომელშიც გამარჯვებული არავინ იქნება.



**მომზადდა vz.ru-s პუბლიკაციის მიხედვით**

ესტონეთში გეიაღლუმი გაიმართა. უკრაინაში კი, რომელიც ეს-ესაა მიუჩოჩდა ევროპას, სოდომიტებმა მარში გამართეს: ევროპის ქვეყნებსა და მათ სატელიტებში ეს მოვლენა წესად არის დამკვიდრებული.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## ევროპელობა გეობით განისაზღვრება?

**ესტონეთში გეიაღლუმი გაიმართა. უკრაინაში კი, რომელიც ეს-ესაა მიუჩოჩდა ევროპას, სოდომიტებმა მარში გამართეს: ევროპის ქვეყნებსა და მათ სატელიტებში ეს მოვლენა წესად არის დამკვიდრებული.**



ესტონეთის დედაქალაქ ტალინში სექსუალური უმცირესობების აღლუმი — Tallinn Pride გაიმართა, — იუწყება „ინტერფაქს-რელიგია". მსვლელობაში რამდენიმე ასეული პედერასტი, ტრანსვესტიტი და ორიენტაციაარეული აქტივისტი მონაწილეობდა. მათ შეუერთდნენ ესტონეთში აკრედიტებული დასავლეთის ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები და ესტონეთის პოლიტიკური პარტიების, ასევე, ლატვიიდან, ლიტვიდან, ფინეთსა და რუსეთიდან ჩამოსული ოპოზიციონერები.

მსვლელობამ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. უფასო კონცერტიც გაიმართა ღია ცის ქვეშ.

ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, დასავლეთის რიგმა საელჩომ, ევროკომისიის წარმომადგენლობამ, ევროპარლამენტის ინფორმბიურომ და ჩრდილოეთის ქვეყნების მინისტრთა საბჭომ გაავრცელეს ერთობლივი განცხადება ბალტიის ქვეყნებში ლგბტ-თა მხარდასაჭერად. ქვეყნის კონსერვატიულმა ძალებმა კი სექსუალურ უმცირესობათა მხარდაჭერისთვის სახელმწიფო მოხელეების თანამდებობებიდან დათხოვნა მოითხოვეს.



### ევროპას უკვე ვეღარაფრით ვუმკურნალებთ



**ნორვეგიაში გამართულ სოდომიტების აღლუმში 35 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის ბევრი ბავშვი იყო.** ეს აღლუმი წლეულს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გაიმართა. ეს იყო ყველაზე მასშტაბური აღლუმი სკანდინავიის ქვეყნების ისტორიაში. ყველაზე საშინელი კი არის ის, რომ ამ გარყვნილებაში ბავშვები მონაწილეობდნენ.

## სოდომიტების ოჯახში გაზრდილ ბავშვებს ფსიქიკის კარდინალური დარღვევები აღენიშნებათ



**ინტერნეტში გამოქვეყნდა ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორის, სოციოლოგიის დოქტორის — მარკ რეგნერუსის გამოკვლევის შედეგები თემაზე „რით განსხვავდებიან მოზრდილი შვილები, რომელთა მშობლები ერთნაირსქესიანები არიან". გამოკვლევა 2010 წელს დაიწყო, პირველი შედეგები მეცნიერმა ორი წლის შემდეგ გამოაქვეყნა, ანალიზს კი დღემდე განაგრძობს. გამოკვლევაში მონაწილეობდა სამი ათასი მოზრდილი რესპონდენტი. შედეგები ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალ Social Science Research-ში გამოქვეყნდა.**

### ვენერიული სნეულებით ინფიცირების მაღალი დონე

ჰომოსექსუალი მშობლების მიერ აღზრდილთა მეოთხედი იყო ან არის დაავადებული ვენერიული სნეულებით.

### ოჯახური ერთგულების შენარჩუნების უუნარობა

გამოკვლევის შედეგებით, 40 პროცენტი ადამიანებისა, რომლებიც აღზარდეს ჰომოსექსუალმა მშობლებმა, ლოიალურად არის განწყობილი ცოლ-ქმრული ღალატისადმი. ნორმალურ ოჯახებში აღზრდილთა შორის ეს მაჩვენებელი 13 პროცენტია.

### ფსიქოლოგიური პრობლემები

ერთნაირსქესიანთა ოჯახებში აღზრდილთა 24 პროცენტს დაგეგმილი ჰქონდა თავითმკვლელობა. ჩვეულებრივი ოჯახების შვილებს შორის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირეა და მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს. ამასთანავე, ჰომოსექსუალების აღზრდილი ბავშვები ფსიქოლოგიური დახმარებისთვის ჩვეულებრივი ოჯახების თანატოლებისგან განსხვავებით, გაცილებით ხშირად მიმართავენ სპეციალისტებს.

### ოჯახური ძალადობა

გარყვნილი დედის აღზრდილი ბავშვების 31 პროცენტი და გარყვნილი მამის მიერ აღზრდილი ბავშვების 25 პროცენტი იძულებით ჩაურთავთ სექსუალურ ურთიერთობაში (მათ შორის, მშობლებს). ჩვეულებრივ ოჯახებში ეს მაჩვენებელი 8 პროცენტს არ აჭარბებს.

### სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვება

გახრწნილი დედების მიერ აღზრდილთა შორის უმუშევრების რაოდენობა 28 პროცენტს აღწევს. ნორმალურ ოჯახებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 8 პროცენტია.

თუ დედას ან მამას სოდომური კავშირები ჰქონდათ, მათი შვილების მხოლოდ 60-70 პროცენტი ემიჯნება მშობლების ცხოვრების წესს. ტრადიციულ ოჯახებში აღზრდილთა 90 პროცენტს თავი აბსოლუტურად ნორმალურ ადამიანად მიაჩნია.



## შვედეთში მღვდლებს აიძულებენ, ჯვარი დასწერონ გეიწყვილებს

**შვედეთის მთავრობამ შვედეთის ეკლესიას აცნობა, რომ მღვდლებს არ აქვთ უფლება, უარი უთხრან ერთნაირსქესიანთა წყვილებს დაქორწინებაზე, — წერს Christian Headlines.com.**

შვედეთის პრემიერმინისტრმა **სტეფან ლევენმა** განაცხადა, რომ მღვდლებმა უნდა დააქორწინონ ერთნაირსქესიანები, მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ ისინი ჰომოსექსუალიზმზე. „თუ თქვენ მეან ქალად მუშაობთ, უნდა გააკეთოთ აბორტი. იგივე ითქმის მღვდლებზე, რომლებსაც არ სურთ ერთნაირსქესიანთა ჯვრისწერის ჩატარება", დააზუსტა მან.

დღეს შვედეთის სახელმწიფო ეკლესიაში მოღვაწე მღვდლებს უფლება აქვთ უარი თქვან ჯვრისწერაზე, დაქორწინებაზე, ნათლობასა და დაკრძალვაში მონაწილეობაზე ნებისმიერი მიზეზით. ახალი რეგულაციის შემოღება პოლიტიკის სერიოზულ ცვლილებად მიიჩნევა.

შვედეთმა ჰომოსექსუალთა შორის ქორწინება 2009 წელს დააკანონა.

## უკრაინაში გამოსცეს გასაფერადებელი ალბომი Gay Love

**უკრაინის დიზაინსტუდია Flame Head Design-მა გამოსცა გასაფერადებელი ალბომი მოზრდილთათვის, რომელიც კაცების ურთიერთსიყვარულს ეძღვნება, მოკლედ პედერასტიას.**

ალბომში შეტანილია 15 ისტორია, რომლებიც მხატვარმა **ოქსანა ნალივაიკომ** დახატა. მსურველებს შეუძლიათ „გააცოცხლონ" ამ ისტორიების გმირები ფერადი ფანქრებით ან მარკერებით ისე, როგორც მოესურვებათ.

ილუსტრაციების ავტორი აღნიშნავს, რომ დიდად არის დაინტერესებული სხეულის კულტურით, უყვარს შიშველი ნატურის ხატვა და მისთვის ახლობელია ეროტიკა და სექსი.

მისი თქმით, ალბომი „სავსეა იმ მომენტების სინაზითა და სილამაზით, როცა ადამიანებს ერთმანეთი მთელი გულით, სულითა და სხეულით უყვართ".

„არ უნდა გრცხვენოდეს საკუთარი თავის ისეთად წარმოჩენის, როგორიც ხარ. გქონდეს ფანტაზიები ნორმალურია, ხოლო შენი ეროტიკული ფიქრების განხორციელება სასარგებლოცაა. სექსუალურად ადაპტირებული ადამიანები სოციალურად უფრო ადაპტირებულები და სტრესებისადმი უფრო მდგრადები არიან", გვამუნათებს ქალბატონი ავტორი.




ოქსანა ნალივაიკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ადამიანებს სექსუალური ორიენტაციის მიხედვით არ განასხვავებს, რომ ნამდვილი სიყვარული ყოველთვის შემოქმედებითია. იგი იმედოვნებს, რომ მისი ალბომი ხელს შეუწყობს მრავალფეროვნებისადმი ტოლერანტობისა და პატივისცემის იდეის პოპულარიზაციას და, ამასთანავე, დაგვეხმარება, უკეთ გავერკვეთ საკუთარ სურვილებში.

უცხოური პრესა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იტალიელებისთვის კიდევ ერთ პრობლემად იქცა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, რომლებმაც, ლტოლვილთა დახმარების მიზანს ამოფარებულებმა, ბიზნესი აიწყვეს და ფულის კეთება დაიწყეს. მიგრანტების ერთი მესამედი იმ ორგანიზაციების ნავებით ჩადის ევროპაში, როგორიცაა „ექიმები საზღვრების გარეშე“, „გადავარჩინოთ ბავშვებს“ და სხვ. უფლებადამცველებს ემიგრანტები იტალიის ნავსადგურებში ჩაჰყავთ, შემდეგ კი ყურადღებით აკვირდებიან, იტალიის ხელისუფლება ხომ არ ჩაგრავს ამ უბედურებს.**

## Sputnik Arabic: რამდენს უხდიან «ისლამური სახელმწიფოს» ტერორისტებს



**ერაყის ფედერალურმა პაოლიციამ მოსულის დასავლეთ ნაწილში იპოვა დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების ხელფასები 2016 წელს.**

გასაცემელი ფულის ოდენობა დამოკიდებული იყო „ბოევიკების“ ოჯახურ მდგომარეობაზე. ყველაზე ნაკლებს უხდიდნენ უცოლშვილოებს — 72 დოლარს. ამასთანავე, თანხის ნაწილს, კერძოდ, 40 დოლარს, უკავებდნენ საკვებით უზრუნველყოფისთვის, ხელზე რჩებოდათ 32 დოლარი.

ვინმე **აბუ ჯანმა**, რომელიც იმამ ათ-თარამზის ასეულში იბრძოდა და ჰყავდა ცოლი და სამი შვილი, 184 დოლარი მიიღო; ვინმე **აბუ ნასერმა** კი, რომელსაც ცოლი და ექვსი შვილი ჰყავდა, — 256 დოლარი. სააგენტოს ცნობით, ხელფასის ოდენობა ცოლებისა და შვილების ოდენობის პროპორციულად იზრდებოდა, მაგრამ არ აჭარბებდა 300 დოლარს. მეტ ხელფასს უხდიდნენ ომში დაინვალიდებულ დემობილიზებულებს.

## Washington Times: თეთრმა სახლმა უკრაინას ბრალი დასდო არჩევნების დროს დემოკრატების მხარდაჭერაში



**„თუ თქვენ ეძებთ ისეთი კამპანიის მაგალითს, რომელიც კოორდინირებულია უცხოური სახელმწიფოს ან უცხოეთის წყაროს მიერ, საკმარისია, ყურადღება მიაპყროთ დემოკრატიული პარტიის ეროვნულ კომიტეტს, რომელიც, ფაქტობრივად, თანამშრომლობდა უკრაინის საელჩოსთან თავის მოწინააღმდეგეებზე მაკომპრომენტებელი მასალების მოსაპოვებლად“, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა სანდერსმა ჟურნალისტებისთვის გამართულ ყოველდღიურ ბრიფინგზე.**

ლაპარაკია 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

მისი თქმით, კომიტეტის უკრაინასთან თანამშრომლობა კარგად არის დოკუმენტირებული. „ეს მხოლოდ ბრალდება კი არ არის, არამედ ქაღალდზე დატანილი განხორციელებული ქმედებანი“, აღნიშნა სანდერსმა.

უკრაინის საელჩომ უარყო პრესმდივნის აღნიშნული განცხადება.

უფრო ადრე რამდენიმე საინფორმაციო საშუალება წერდა, რომ აშშ-ში 2016 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს უკრაინის მთავრობა ცდილობდა, დახმარებოდა პრეზიდენტობის კანდიდატს დემოკრატიული პარტიიდან **ჰილარი კლინტონს** და ძირი გამოეთხარა მისი მეტოქის **დონალდ ტრამპისთვის.** უკრაინელი მოხელეები, კლინტონის თანაშემწეებთან ერთად, ეძებდნენ ინფორმაციას, რომელიც დააზარალებდა ტრამპსა და მის მრჩევლებს.

## Kp.ru: იტალია მიგრანტების გამო ევროკავშირს დაუპირისპირდა




**ლტოლვილებით სავსე თითქმის ყველა გემი იტალიის ნავსადგურებში შედის. წლეულს, პირველი ექვსი თვის განმავლობაში, აპენინის ნახევარკუნძულს 85 ათასი მიგრანტი ეწვია. სწორედ რომის დამსახურებაა, რომ ხმელთაშუა ზღვის ტალღებში არ დაიღუპნენ ეს ადამიანები. იტალიელი სამხედროები შველიან ამ ადამიანებს, გადმოჰყავთ ხმელეთზე და თავიანთ ტერიტორიაზე განათავსებენ. შემდეგ რა?**

აშკარაა, რომ ევროპაში ლტოლვილების განაწილების იდეა ჩავარდა. ავსტრიელები მზად არიან, ტანკებით გადაკეტონ ალპური გზები; შვეიცარია საზღვრებზე კედლის აგებას გეგმავს. რომი ეკითხება ბრიუსელს: „რა უნდა ვუყოთ ტვირთს, რომლის ზიდვის საშუალება არ გვაქვს?“. პასუხად ესმის მხოლოდ სიტყვები ევროპული ერთობის, საკაცობრიო ფასეულობათა და თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ. არც ვადები, არც კონკრეტული წინადადებები, მაგრამ, როგორც კი იტალიელებმა მიანიშნეს, რომ ლტოლვილებისთვის ჩაკეტავენ თავიანთ ნავსადგურებს, მათ იმავე წუთს ყური აუწიეს. ეს ხომ არადამიანურია! იტალიას არ შეუძლია, უარი უთხრას გაჭირვებაში ჩავარდნილებს“.

ამ კუთხით თვალსაჩინო მაგალითია ევროპული ოპერაცია „ტრიტონი“, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საზღვრების კონტროლი ხმელთაშუა ზღვის აუზში. მისი განხორციელება სამი წლის წინათ დაიწყეს. ევროკავშირის 15-მა ქვეყანამ განაცხადა, რომ მიიღებდა მონაწილეობას ამ ღონისძიებაში, მაგრამ დღეს ბრიუსელი პირდაპირ ეუბნება რომს: „ტრიტონი“ თქვენი პრობლემაა.

იტალიელებს სურთ, რომ



ლტოლვილების ბედზე პასუხისმგებლობა მათთან ერთად სხვა ევროპელებმაც გაინაწილონ. ისინი მოუწოდებენ ევროკავშირს, დაავალოს სხვა ქვეყნების პორტებსაც, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთისა და ესპანეთისას, ასევე მიიღონ ლტოლვილები. რომს აღიზიანებს მალტის პოზიცია, რომელიც ევროკავშირიდან იღებს სახსრებს საპატრულო მისიის შესასრულებლად, მაგრამ თითს თითზე არ აკარებს, რაიმეთი მაინც რომ დაეხმაროს იტალიელებს.

იტალიელების ყველა მოწოდება რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ევროკავშირის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც ტალინში გაიმართა, ევროპელებმა, როგორც კი მოისმიენს იტალიელების წინადადება სხვა ქვეყნების ნავსადგურების ჩართვის შესახებ, განაცხადეს მტკიცე „არა“. რომისთვის ცუდი ახალი ამბები გავრცელდა „ფრონტექსის“ ვარშავის შტაბ-ბინიდან. სააგენტოს პრესმდივანმა **ევა მონკურმა** პირდაპირ განაცხადა, რომ „ტრიტონის“ გეგმის მიხედვით მხოლოდ იტალია არის ქვეყანა, რომელმაც ლტოლვილები უნდა მიიღოს. შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანა მხარში ამოუდგეს იტალიას, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არარეალური სცენარია“.

**იტალიელებისთვის კიდევ ერთ პრობლემად იქცა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, რომლებმაც, ლტოლვილთა დახმარების მიზანს ამოფარებულებმა, ბიზნესი აიწყვეს და ფულის კეთება დაიწყეს. მიგრანტების ერთი მესამედი ისეთი ორგანიზაციების ნავებით ჩადის ევროპაში, როგორებიცაა „ექიმები საზღვრების გარეშე“, „გადავარჩენთ ბავშვებს“ და სხვ. უფლებადამცველებს ემიგრანტები იტალიის ნავსადგურებში ჩაჰყავთ, შემდეგ კი ყურადღებით აკვირდებიან, იტალიის ხელისუფლება ხომ არ ჩაგრავს ამ უბედურებს.**

რომში ამბობენ, რომ მზად არიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან დიალოგისთვის. იტალიელების აზრით, იქ, სადაც, ფაქტობრივად, სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობს, არ უნდა იყვნენ სამოქალაქო პირები, რომლებსაც არავინ აკონტროლებს, და რომლებიც უფლებადამცველებს სთავაზობენ, ერთობლივად განახორციელონ საქმიანობა, თუნდაც განიხილონ საკითხები იმის თაობაზე, სად უნდა განათავსონ მიგრანტები. მაგრამ უფლებათა და მოვალეობათა ამაყ დამცველებს სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული კონტროლზე არაფრის გაგონება არ სურთ და აცხადებენ, რომ კვლავაც განაგრძობენ იტალიის ტერიტორიაზე ლტოლვილების ახალ-ახალი კონტინგენტის ჩაყვანას. მათი შემდგომი ბედი კი რომის პრობლემაა — იტალიელებმა უნდა გადაწყვიტონ, სად განათავსონ და რა აჭამონ მათ.

## dni.ru: პეტრე პოროშენკო მაროდიორი და გამომძალველია

**ასე დაახასიათა უკრაინის პრეზიდენტი ჰოლანდიელმა დეტექტივმა, რომელიც დაკარგული ფერწერული შედევრების ძებნით არის დაკავებული.**

გამომძიებელმა **არტურ ბრანდმა** გამოაქვეყნა ფოტოები, რომლებზეც პოროშენკო აღბეჭდილია ნაციონალისტ **ბორის გუმენიუკთან** ერთად. ეს კაცი პირადად ხელმძღვანელობდა ოლიგარქების კერძო კოლექციების ძარცვას სახელმწიფო გადატრიალების პერიოდში.

ნიდერლანდებისთვის 50 მილიონი ევროს საფასურად იმ ფერწერული შედევრების დაბრუნებას აპირებდნენ, რომლებიც ძარცვის შედეგად გუმენიუკის ხელში აღმოჩნდა. ხანგრძლივი ვაჭრობის შედეგად ფასი 5 მილიონამდე შემცირდა, მაგრამ მუზეუმმა გამომძალველებთან გარიგებაზე უარი თქვა. დეტექტივი ბრანდი ამბობს, რომ პეტრე პოროშენკო პირადად მფარველობდა გუმენიუკს. **გამომძიებელი მოითხოვს, რომ უკრაინის პრეზიდენტმა დაუბრუნოს ნიდერლანდის სამეფოს 19 ფერწერული ტილო.**



XVII საუკუნის ჰოლანდიელი ოსტატების ტილოები და ვერცხლეულის კოლექცია ქალაქ ჰორნის მუზეუმიდან ჯერ კიდევ 2005 წელს მოიპარეს. 2015 წლის ბოლოს აგორდა სკანდალი: ნიდერლანდების მუზეუმის თანამშრომლებმა საჯაროდ ბრალი დასდეს უკრაინელი ნაციონალისტების ასეულის მებრძოლებს შანტაჟსა და გამოძალვაში. ბორის გუმენიუკმა კი, რომელიც ამ დაჯგუფებას მეთაურობდა, განაცხადა, რომ მისმა მებრძოლებმა ეს განძი სამხრეთ უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციისას ერთ-ერთ სახლში იპოვეს.

სკანდალმა არახელსაყრელ მომენტში იჩინა თავი — ევროკავშირთან უკრაინის ასოცირებასთან დაკავშირებული ჰოლანდიური რეფერენდუმის წინ. ამ ქვეყნის მოქალაქეებმა ასოცირებას ხმა არ მისცეს, რის გამოც ჰოლანდია ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც უარი თქვა შეთანხმებისთვის ხელის მოწერაზე.

უკრაინის ლიდერისთვის ამგვარი ბრალის წაყენება პირველი არ არის. ექსპერტები უწინაც უწოდებდნენ მას მაროდიორს, ხაზს უსვამდნენ იმას, რომ იმ დროს, როცა უკრაინელები სიღატაკეში გადაიჩეხნენ, პოროშენკომ ქონება გაიორმაგა.

უფრო ადრე კი უკრაინის რადას ყოფილმა დეპუტატმა **ვლადიმერ ოლეინიკმა** გაავრცელა ინფორმაცია, რომ პოროშეკომ ორი თვითმფრინავით იტალიაში გაიტანა ფული და ხელოვნების ნიმუშები.

**ლიტველი კულტურის მოღვაწენი ყველაზე მეტად შეაშფოთა საპარლამენტო ფრაქცია „სამშობლოს კავშირი – ლიტვის ქრისტიანი დემოკრატების“ დეპუტატის — ვიტაუტას კიარნაგისის პოზიციამ. მან ახლახან განაცხადა, რომ კულტურის სამინისტრომ უარი უნდა თქვას თავისი წლიური ბიუჯეტის 17,5 მილიონ ევროზე. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, სახელმწიფო უწყებების ეკონომიის ხარჯზე „გარდაქმნების კალათაში ჩაიდება 259 მილიონი ევრო; 2018 წელს უნდა გაიზარდოს თავდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროების დაფინანსება“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიტვის კულტურის მინისტრი: 26 წლის განმავლობაში ლიტვაში კულტურა განადგურდა




**ასე მკვეთრად შეაფასა ლიტვის კულტურის მინისტრმა ლიანა რუოკიტე-იონსონმა რადიოსადგურ Ziniu Eadijas-ის ეთერში გამოსვლისას ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, — იუწყება RuBaltic.**

მინისტრმა „აბსურდული დეზინფორმაცია“ უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით მისი უწყების დაფინანსება 18 მილიონი ევროთი შემცირდა. ლიანა რუოკიტე-იონსონმა თქვა, რომ იგი ოპტიმისტია და ქვეყნის მთავრობის ასეთი ქმედების არ სჯერა. იგი ამტკიცებს, რომ აღნიშნული სფერო მინისტრთა კაბინეტის ხუთ პრიორიტეტს შორისაა და იგი (მთავრობა) „არ გაწირავს კულტურას“. ამის მიუხედავად, საერთო სიტუაცია მან დაახასიათა, როგორც „ნულოვანი“. **„ბოლო 26 წლის განმავლობაში კულტურის სექტორი, სხვა სფეროებთან შედარებით, ყველაზე მეტად განადგურდა. ჩვენ ნულოვან პოზიციაზე ვიმყოფებით. ბევრ პოლიტიკოსს არავითარი კავშირი არ აქვს კულტურასთან“,** — აღნიშნა მინისტრმა. ანუ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რამე თუ არ იღონეს, „ქვეყანა გაქრება პირისაგან მიწისა“. ლიანა რუოკიტე-იონსონის თქმით, „კულტურის სფეროში მომუშავე ადამიანები ძალიან დაბალ ანაზღაურებას იღებენ. ეს კი სკანდალია“.

ცოტა ხნის წინათ ლიტვის მთავრობამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს „ცვლილებების კალათის“ შექმნა, რომელიც ითვალისწინებს რეფორმების განხორციელებას ერთბაშად რამდენიმე სფეროში.

მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, რომელი სამინისტროს ხარჯზე შეივსება ეს „კალათა“. კულტურის სამინისტროში შიშობენ, რომ სწორედ მათ შეუმცირებენ დაფინანსებას. კულტურის მოღვაწენი ყველაზე მეტად შეაშფოთა საპარლამენტო ფრაქცია „სამშობლოს კავშირი ლიტვის ქრისტიანი დემოკრატების“ დეპუტატის — **ვიტაუტას კიარნაგისის** პოზიციამ. ახლახან მან განაცხადა, რომ კულტურის სამინისტრომ უარი უნდა თქვას 17,5 მილიონ ევროზე თავისი წლიური ბიუჯეტიდან. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, სახელმწიფო უწყებების ეკონომიის ხარჯზე „გარდაქმნების კალათში ჩაიდება 259 მილიონი ევრო. 2018 წელს უნდა გაიზარდოს თავდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროების დაფინანსება“.

# მექსიკაში დამნაშავეების მიერ შეშინებულ პოლიციელებს პატიმრობა მიუსაჯეს




**სასამართლომ ექვს პოლიციელს თავისუფლების აღკვეთა 27 წლით, შვიდი თვითა და ექვსი დღით მიუსაჯა დანაშაულის მიმართ უმოქმედობის გამო, — იტყობინება მექსიკური პორტალი Excelsior.**

სასამართლოს დასკვნით, წესრიგის დამცველებს შეეშინდათ ბანდიტების, რომლებიც სოფელ კრისტო-რეიში შეიჭრნენ 2016 წელს. პოლიციელები დანიშნულების ადგილას ადგილობრივი მცხოვრების სატელეფონო შეტყობინებისთანავე მივიდნენ. იქ დახვდათ დამნაშავეებით სავსე რამდენიმე ავტომანქანა. ბოროტმოქმედები ახალგაზრდა კაცის გატაცებას ცდილობდნენ, მაგრამ პოლიციელებმა უკან დაიხიეს შესაძლო შეტაკების შიშით.

ეს მომენტი ვიდეოფირზე ჩაიწერა ერთ-ერთმა თვითმხილველმა და სასამართლოზე მტკიცებულად იყო წარდგენილი. გატაცებული კაცის გვამი ტრასაზე იპოვეს.

ხელმძღვანელობა ბრალდებული პოლიციელების გამართლებას შეეცადა. მათ განაცხადეს, რომ სამართალდამცველთა უკანდახევა სტრატეგიული ჩანაფიქრით იყო ნაკარნახევი, რადგან ბანდიტების რაოდენობა გაცილებით აღემატებოდა სამართალდამცველებისას. სასამართლომ ეს მოსაზრება არ გაითვალისწინა და პოლიციელები უმოქმედებისთვის საკადრისად დაისაჯნენ.



# რაკა: «ისლამური სახელმწიფოს» მოთარეშეებმა 50 ათასი მოქალაქე მძევლად აიყვანეს

**ეს განაცხადეს გაერთიანებული ერების წარმომადგენლებმა.** „ისლამური სახელმწიფოს“ მოთარეშეები სიცოცხლეს უსწრაფებენ ყველას, ვინც ცდილობს, თავი დააღწიოს ცრუ ხალიფატის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს.

რაკას გასათავისუფლებელი ოპერაციის დაწყებისთანავე ქალაქი 190 ათასამდე ლტოლვილმა დატოვა.



# მაკრონმა გერმანია ევროზონის დისბალანსიდან სარგებლის მიღებაში დაადანაშაულა

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ასეთი ბრალდება წაუყენა გერმანიას: „გერმანია მხოლოდ სარგებელს იღებს ევროზონის პრობლემებიდან. ეს არაჯანსაღი სიტუაციაა“, — განაცხადა მან.**

ქვეყნის ლიდერმა თქვა, რომ გერმანიის კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნების ეკონომიკების სისუსტეს უნდა უმადლოდეს. „გერმანიას მტკიცე ეკონომიკა აქვს, მაგრამ მას დემოგრაფიული პრობლემებიც გააჩნია“, დასძინა მან.

უფრო ადრე, შვეიცარიის ლოზანაში მოწყობილ პრესკონფერენციაზე, პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა პარიზის განცხადებას 2024 წლის ოლიმპიური თამაშების საფრანგეთის დედაქალაქში გამართვის შესახებ.

# ბრაზილიის ყოფილ პრეზიდენტს ცხრა წლიწადი მიუსაჯეს

**ლუის ინასიუ ლულა და სილვა კორუფციასა და ფულის გათეთრებაში დამნაშავედ ცნეს, მას 9,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამის შესახებ 12 ივლისს იუწყებოდა ტელეარხი Globo.**



ლუის ინასიუ ლულა და სილვას ხუთი ბრალდება წაუყენეს. კერძოდ, მას ბრალი დასდეს ქრთამად საკურორტო ქალაქში მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ბინის მიღება. მიუთითებენ, რომ **და სილვა** ბრაზილიის პირველი ყოფილი პრეზიდენტია, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავედ იქნა ცნობილი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღების (1988 წელს) შემდეგ.

სახელმწიფოს ყოფილ პირველ პირს უფლება აქვს, შეიტანოს აპელაცია სასამართლოს განაჩენზე, მანამდე კი „თავისუფლებაზე“ რჩება.

2014 წელს ბრაზილიის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყეს გამოძიება და დაადგინეს, რომ ხელისუფლების სათავეში და სილვას მისვლის შემდეგ შეიქმნა კორუფციული სქემა, რომლის ჩარჩოებში სამშენებლო კომპანიები იღებდნენ სამუშაოს ნავთობგაზის კომპანია „პეტრობრაზის“ მსხვილი პროექტების განსახორციელებლად, ტოპმენეჯერებისთვის ე.წ. ოტკატების მიცემისა და, აგრეთვე, მმართველი მშრომელთა პარტიისთვის პოლიტიკური კამპანიების დაფინანსების სანაცვლოდ.

და სილვა ბრაზილიის სათავეში იდგა 2003-დან 2010 წლამდე.

12 ივლისს, საღამოს, სან-პაულუს ქუჩებში გამოვიდნენ ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები, რომლებმაც გააპროტესტეს პირველი სასამართლო ინსტანციის მიერ სილვასთვის გამოტანილი განაჩენი. სამხედრო პოლიცია იძულებული შეიქნა, ჩარეულიყო, რათა თავიდან აეცილებინა შეტაკება და მასობრივი არეულობა.

პროტესტი დაიწყო ბრაზილიის ამ უმსხვილესი ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე და მიმართული იყო ბრაზილიის მოქმედი პრეზიდენტის — **მიშელ ტემერის** წინააღმდეგ, რომელიც კორუფციაში ჩართული აღმოჩნდა, მაგრამ საბოლოოდ დემონსტრაციაზე შეიკრიბნენ ლულა და სილვას მომხრენი და მოწინააღმდეგეები.

დემონსტრაციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ ბრაზილიის დროშები და მოსამართლე მოროს მხარდამჭერი პლაკატები. ისინი, ამასთანავე, მოითხოვდნენ და სილვას დაუყოვნებლივ დაპატიმრებას.

მოსამართლე **მოროს** გამოტანილი განაჩენით, თუ მისი გადაწყვეტილება რატიფიცირებული იქნება მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ, ყოფილ პრეზიდენტს აეკრძალება, 19 წლის განმავლობაში დაიკავოს პოზიციები საზოგადოებრივ წარმომადგენლობებში. თუ განაჩენი არ დამტკიცდება, ლულას ექნება შანსი, მონაწილეობა მიიღოს 2018 წლის არჩევნებში.

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არა გვგონია, სხვაგან სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილუბრალოზედ ილახებოდეს, როგორც ჩვენში. ჩვენის ფიქრით კი, ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახავი“.**

# წყევლაკრულვიანი საკითხავი

# რა არის დღეს მასმედიის საკეთებელი?

მასმედიის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი მიმართულებები, განვითარების ტენდენციები, საზოგადოებისა და პრესის დამოკიდებულება ის საკითხებია, რომლებზეც ფიქრი და რომელთა გაანალიზებაც ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ჯერ კიდევ 1882 წელს ილია ჭავჭავაძე პრესის თავისუფლების შესახებ წერდა, რომ გაზეთების მთავარი დანიშნულებაა, საზოგადოებას და თვით მთავრობასაც კი შეატყობინოს და გააცნოს ხალხის ჭირ-ვარამი, ავი და კარგი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც „საზოგადო საქმეებს შეეხება იმ ქვეყნისას“, რომელშიც ეს გაზეთი გამოდის. ამ დანიშნულების შესრულება ქვეყნის სასარგებლოდ მით უფრო შესაძლებელია, რაც უფრო ნაკლებად დამოკიდებული იქნება სხვადასხვა გარეშე მიზეზებზე, რაც უფრო „მომეტებული ნება“ ექნება, რომ თამამად და მოურიდებლად ილაპარაკოს და წეროს სიმართლე, რეალურად და სწორად ასახოს ფაქტები; შეძლოს ისეთი სარწმუნო ფაქტების შერჩევა, რომლებიც ობიექტურად გამოხატავს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს; ამასთანავე, მიუკერძოებლად შეაფასოს ისინი.

მასმედია, რომელიც დამოკიდებულია ხელისუფლებაზე ან მედიამეპატრონეზე, ხშირად „დუმს“, თვალს ხუჭავს სიმართლეზე, ეს კი უარყოფითად აისახება ერის ცხოვრებაზე. დღევანდელ მასმედიას დუმილს ვერ დავწამებთ, მაგრამ მისი ტენდენციურობა, მის მიერ რეალობის დამახინჯება და ფაქტების ინტერპრეტაცია მტრის წისქვილზე წყლის დასხმასა და ერის გამოთაყვანებას რომ ემსახურება, ფაქტია. მხოლოდ გამოთაყვანებულ ადამიანს შეუძლია სახალხოდ „ამაყად“ განაცხადოს, რომ საქართველოში ქართველების ეროვნულ უმცირესობად ქცევა მისთვის ეროვნული ტრაგედია სულაც არ არის, აღარაფერს ვამბობთ ასე მოფიქრალი ადამიანის პატიოსნებასა და ნამუსზე.

რადგან ადამიანობის საზომი ნებისმიერ დროსა და ეპოქაში ნამუსის სიწმინდე და პატიოსნებაა, ზედმეტი არ იქნება, XXI საუკუნეში მაინც მოვუსმინოთ დიდ ილიას. 1877 წლის 3 მარტს ილია ჭავჭავაძემ „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთი „ივერია“ გამოსცა და ამით ქართველი ერის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

სამწუხაროა, რომ ქართველი ხალხი დღესაც იმავე საშინაო და საგარეო პრობლემების წინაშე დგას, რომლებზეც გაზეთი „ივერია“ 140 წლის წინათ წერდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაზეთის პირველი ნომრის უკან 25 წლის რედაქტორი დგას, გაგვიკვირდება მისი სიბრძნე და გაწონასწორებულობა.

პრობლემათა ანალიზით, აქტუალურობით, აქცენტებით ილია ჭავჭავაძე უაღრესად თანამედროვე რედაქტორიცაა. ილიას ეპოქის „ივერიიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მკითხველი პარალელებს უკეთ გაავლებს, ადვილად გააანალიზებს და, შესაბამისად, უკეთ მიხვდება, რა არის დღეს საკეთებელი.

# გაზეთი «ივერიის» მარცხი

„არა გვგონია, სხვაგან სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილუბრალოზედ ილახებოდეს, როგორც ჩვენში. ჩვენის ფიქრით კი ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახავი. ადამიანი ადამიანობს მარტო პატიოსნებით და ნამუსითა და, ვინც ეს იცის, იმისათვის შებღალვა ან ერთისა და ან მეორისა ყოველს დანაკლისზედ უმძიმესია, ყოველს მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა.

თუმცა ესეა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში კი არაფრად მიაჩნიათ ჩირქის მოცხება და წაწყმედა სხვისის პატიოსნებისა და ნამუსისა. ამისთანა უკადრისს საქციელს არსად არ ვერიდებით, და საცა ამას ვხედავთ, არამც თუ შესაფერის გულისწყრომით აღვიჭურვებით ხოლმე, არამედ მცირეოდენადაც არ შევიხრით წარბსა. პირიქით, ზოგჯერ თითქო საქციელს ვუწონებთო, ვიძახით: უჰ, რა ლაზათიანად გამოგილანძღა ამ კაცმა ის კაციო; ასეთი ყოფა დაწია, რომ შენი მოწონებულიო.

ამისთანა საქციელს არ ვერიდებით არც შინა, არც გარეთ, არც საქვეყნოდ და არც კერძოდ, არც საზოგადოებაში, არც ცალკე. როცა ეს ამისთანა უკადრისი საქციელი აშკარაა და პირდაპირ ზედმოსეულია, მაშინ ამის მომქმედს ცოტაოდენი ნიშანწყალი ადამიანობისა კიდევ შეიძლება ვუგულისხმოთ, იმიტომ, რომ არ იქნება ისიც არ გამოელოდებოდეს რაიმე განსაცდელსა აშკარად გაუპატიურებულის კაცისაგან. მაშასადამე, იგიც რაიმეს უნდა ჰშიშობდეს, და რაკი გაკადნიერდა უკადრისის ქცევისათვის, სჩანს, სძლია შიშსა და განსაცდელს გულდაგულ უხვდება. პირდაპირ ზედ მოსეული ავაზაკი იმოდენად საზიზღარი არ არის, რამოდენადაც მხდალი ქურდბაცაცა. იმიტომ, რომ ამისთანა ავაზაკი იმოდენად იმეტებს თავისთავსა, რამოდენადაც გამომეტებული ჰყავს თვისი მოპირდაპირე; აქ მარტო გამარჯვებაა თავდები მისის გადარჩენისა. ქურდბაცაცა კი მალული მტერია, მისი ანგარიში იმაზეა აგებული, რომ მემარჯვება თუ მემარცხება, მე თვითონ არ დამაკლდება რაო, მე კი შემიძლიან ვავნო, თუ მემარჯვა, და ის კი მე ვერას მავნებს, თუ მემარცხაო.

ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს ილებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით ჩუმად და იდუმალად უბღალავენ თვის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსსა. რაკი ჯავრი ვისზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ იმათთვის მოსარიდებელი აღარა არის-რა; კაცია თუ ქალი, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი თავს გადაასხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხონ, სახელი დაუმხონ.

ესეთი საზიზღარი საქციელი მაშინ უფრო საზიზღარია, როცა ნიშნად ამოღებულია დედაკაცი. მამაკაცი ასე თუ ისე შემძლებელია ცილის მწამებელს არ შეუშინდეს და ტყუილს ტყუილის კარამდის ჰსდიოს. რა ქმნას ამის არშემძლებელმა უღონო დედაკაცმა! უსამართლოდ, ცილისწამებით გაუპატიურებულმა გრძნობამ დედაკაცის ღირსებისამ სად და რაში ეძიოს თვისი მსჯავრი, თვისი კმაყოფილება! აქ ნამუსის მპარავი ყოველ შიშს გარეთ არის, ყოველს განსაცდელს აცილებულია და მით არის იგი უფრო ბილწი და მაშასადამე უფრო საზიზღარი.

ჩვენ მოგვივიდა ერთი მოთხრობასავით რაღაცა წერილი, საცა თურმე ჩამოთვლილია ზოგიერთი ამბავი, ერთის ხელნაწერის პასკვილიდამ ამოღებული. დღესაც, ბუნებრივია, არა მარტო პრესა, მასმედიის ყველა საშუალება ნებით თუ უნებლიეთ ჩართული ხდება ცოდვა-ბრალის ამ საშინელ ორომტრიალში. ერის ბედზე დაფიქრებული დიდი მამულიშვილი წუხს: „ჩვენ ვერ მივუხვდით ამ მოთხრობის აზრსა, და რადგანაც თვითონ მოთხრობა ცოტად თუ ბევრად ღირსად ვცანით დაბეჭდვისა, დავბეჭდეთ, და ამ სახით ერთს საზიზღარს ცოდვაში ჩვენ, ჩვენდა უნებურად, მონაწილეობა მივიღეთ. თუმცა არცოდნა არცოდვაა, მაგრამ მაინც დიდად შემაწუხებელია, რაკი შევიტყეთ, რაზედ არის აშენებული იგი მოთხრობა.

ჩვენ, ვიმეორებთ, ვერ მივუხვდით შინაგანს აზრს მოთხრობისას და იქ კი, საიდამაც გამოგზავნილი იყო იგი მოთხრობა, ყველანი მიმხვდარან, რაც ამბავია: თურმე ნუ იტყვით, სდომებიათ უპატიურად გაეხადნათ ნიშანში ამოღებულნი, ჯავრის ამოსაყრელნი გვამნი — და ამით ხელნაწერად გავრცელებულ პასკვილისათვის გაზეთში გამოტარებულ სიტყვით ცოტად თუ ბევრად გზა გაეხსნათ.

„ივერია“, როგორც ჭირს, ერიდება ამისთანა საქციელს, ძლიერ ჰფრთხილობს, მაგრამ რას იზამთ, **როცა ავზნეობას, უკადრისად ქცევას, ამდენი სამალავი აქვს, ამდენი ფარული გზები შემოსაპარავად, რედაქციას სწორედ გულთმისნობა უნდა ჰქონდეს მომადლებული, რომ ამ შემთხვევაში უნებური შეცდომა არ მოუვიდეს და უცოდნელად დანაშაულში არ გაერიოს.**

გულით ვწუხვართ, რომ ესე მოუხდა „ივერიას“, მაგრამ ესეც კი ვიცით, რომ ჩვენი მწუხარება, უბრალოდ, გაუპატიურებულის გულის ცეცხლს ვერ გაანელებს: ეს ცეცხლი მეტად მწვავეა და დიდხანს გაუქრობელი მისთვის, ვინც იცის, რა დიდი საუნჯეა ადამიანისათვის სიფაქიზე პატიოსნებისა და სიწმინდე ნამუსისა“.

**ტფილისი, 2 ივლისი, 1887 წ.**

# უკვდავი სახელები — მხატვარი ნიკოლოზ სკლიფოსოვსკი

**ნიკოლოზ სკლიფოსოვსკის სახელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სახვითი ხელოვნების ისტორიაში. მან აღზარდა გამოჩენილ ქართველ ფერმწერთა პლეადა — ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, იოსებ ოცხელი და სხვები.**

**სკლიფოსოვსკიმ საშუალო განათლება მინსკის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, უმაღლესი იურიდიული განათლება – მოსკოვის უნივერსიტეტში, პარალელურად სწავლობდა სტროგანოვის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში და სტუდიებში ლევიტანთან და გრანდკოვსკისთან, მონაწილეობდა პერიოდულ გამოფენებში მოსკოვში.**



ნიკოლოზ სკლიფოსოვსკი — ზიგმუნტ ვალიშევსკის ნახატი

1895 წელს **ნიკოლოზ სკლიფოსოვსკი** მეგობრის, მხატვარ ბ. ფოგელის, რჩევით, თბილისში გადმოსახლდა. 1896 წლიდან ასწავლიდა თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში. რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა ბათუმში, სადაც თავისი ხარჯებით ჩამოაყალიბა ბავშვთა პირველი სამხატვრო სკოლა, ასწავლიდა ბათუმის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში. 1909 წელს სკლიფოსოვსკიმ მიიღო მოწვევა თბილისის I და II ქალთა გიმნაზიებიდან და დაბრუნდა თბილისში.

1909-10 წლებში მონაწილეობდა „ნატიფი ხელოვნების წახალისების კავკასიის საზოგადოების“ თითქმის ყველა გამოფენაში; ასწავლიდა ხატვას ამ საზოგადოებასთან არსებულ სკოლაში. მისი ყველა ნამუშევარი ზეთის საღებავით არის შესრულებული.

**მხატვარი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა: სამჯერ ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა მოკლევადიან კურსებს სახალხო სკოლის მასწავლებლებისთვის, მუშაობდა სხვადასხვა კომისიაში ხატვის სწავლების რეორგანიზაციისა და ახალი პროგრამების შედგენის საკითხებზე; მონაწილეობდა კავკასიის სასწავლო ოლქის ყრილობებში 1910 წელს პიატიგორსკში და 1914 წელს ბაქოში. 1913 წელს მონაწილეობა მიიღო დრეზდენის IV საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში ხატვისა და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის საკითხებზე.** სკლიფასოვსკი ამ კონგრესზე თავის მოხსენებაში ამბობდა: „აქ გამოფენილ ექსპონატებზე თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, რამდენადაა დაკავშირებული სასკოლო სწავლების მთელი სისტემა ცხოვრებასთან, რამდენი სიხარული შეაქვს სწავლებაში ფერების გამოყენების თემებს და ფორების მრავალფეროვნებას, რომელიც უშუალოდ ჩვენ გარშემო სამყაროდან არის აღებული“. მოხსენებაში მან დაწვრილებით მიმოიხილა სხვადასხვა ქვეყნიდან ყველა განყოფილებაში წარმოდგენილი ექსპონატები; შეადგინა დაწყებით, საშუალო და სახელოსნო სკოლებში სწავლების შემდგომი განვითარების პროგრამა წლების მიხედვით, წარმოადგინა სამუშაო გეგმა, თემატიკა და მოსწავლეთათვის საჭირო მაგიდების, მერხებისა და მოლბერტების ნახაზებიც კი.

**1911 წელს სკლიფოსოვსკიმ საკუთარ სახლში გახსნა ხატვისა და ფერწერის სამკლასიანი კურსები, სადაც ბავშვების უმრავლესობას უფასოდ ასწავლიდა.** ის გამოირჩეოდა გულისხმიერებით, იყო გულლია და ჰქონდა განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭი; შეეძლო, თითოეულ მოსწავლეში დაენახა და წარმოეჩინა ინდივიდუალური შესაძლებლობები.

1922 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის გახსნისას, მისი ხატვისა და ფერწერის კურსები შევიდა აკადემიის შემადგენლობაში. **სკლიფოსოვსკი აირჩიეს აკადემიის პროფესორად.**

1925 წელს ის ლენინგრადში გაემგზავრა, 1930 წელს იძულებული გახდა, დასავლეთ ციმბირში წასულიყო ხატვის მასწავლებლად, სადაც ავად გახდა და 1935 წელს გარდაიცვალა.

**რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომს საქართველოსათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად თურქეთის იმპერიის ძლიერება გატეხილ იქნა და იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. თურქებმა იმერეთთან და ქართლ-კახეთთან ბრძოლის უნარი დაკარგეს. მათ ვერ შეძლეს სოლომონ პირველის დამორჩილება და იმერეთის ციხეების კვლავ დაკავება. სულთანი იძულებული შეიქნა, დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ რუსეთმა ცნო მისი უფლებები დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ ეს უფლებები ნომინალური იყო — ოსმალეთს ამ ქვეყანაში ტყვე მონებით თუ სხვა სახის ხარკის აღება და ქრისტიანების დევნა აეკრძალა.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო

დასასრული. დასაწყისი იხ. №26 (402)

**საქართველოში ტომსკის პოლკის ჩამოსვლის შემდეგ ტოტლებენი რუსთა ჯარით, რომლის შემადგენლობაშიც 4000 კაცი იყო, 1770 წლის ივნისში იმერეთში გადავიდა.**

**სოლომონ პირველმა ისარგებლა ასპინძასთან ახალციხის ფაშას დამარცხებით და ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები თურქებისგან გაათავისუფლა. იმერეთის მეფემ ქალაქი ქუთაისიც დაიკავა და მის ციხეს ალყა შემოარტყა. 2 ივლისს სოლომონი და ტოტლებენი ბაღდადის ციხეს მიადგნენ.**

თურქეთის გარნიზონი, რომელსაც ახალციხის ფაშას დახმარების იმედი არ ჰქონდა, მეფეს დანებდა. ამის შემდეგ სოლომონ-ტოტლებენის გაერთიანებულმა ძალებმა ქუთაისის ციხეს შეუტიეს. 6 აგვისტოს, ღამით თურქებმა დატოვეს ციხე და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიარეს რუსთა საყარაულოებს შორის. ამ სადარაჯო პუნქტებში ტოტლებენმა სპეციალურად შეარჩია გერმანელი ოფიცრები, რათა მათ ხელი არ შეეშალათ თურქი მეციხოვნეების გაპარვისთვის.

მალე ტოტლებენსა და სოლომონს შორისაც გამწვავდა ურთიერთობა. ჯიუტი გენერალი მეფის გონივრულ წინადადებებს არ იღებდა.

ტოტლებენმა თავისი ნებასურვილით 1770 წლის 3 ოქტომბერს ფოთის ციხის ალყა დაიწყო. გენერალი სოლომონ პირველის წარმატებებს ციხესიმაგრეების განთავისუფლებაში საკუთარ თავს მიაწერდა და მლიქვნელურად აცნობებდა რუსთ ხელმწიფეს, რომ ფოთს მან ეკატერინეს სახელი უწოდა, ანაკლიას — ალექსეევკა, ხოლო რუხს — წმინდა პავლეს სახელი მისცა. მაგრამ ფოთი კარგად იყო გამაგრებული და ტოტლებენმა ის ვერ აიღო.

დეკემბრის ბოლოს თურქებმა გადაწყვიტეს, ბათუმში ძალებისთვის მოეყარათ თავი და ფოთის გარნიზონს დახმარებოდნენ. სოლომონმა დროულად შეიტყო ეს ამბავი და ტოტლებენს აცნობა, მაგრამ ამ დროს მას უკვე მოესწრო იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე მთავრებთან კონტაქტის დამხარება. გასაგებია, რომ ავანტიურისტმა საერთო ენა გამოძებნა დადიან-გურიელთან და სოლომონს არ დაუჯერა. ახლა კი, როცა სოლომონის ცნობა გამართლდა და თურქთა ავანგარდიც გამოჩნდა, რუსთა კორპუსის ოფიცრებმა: ნ. იაზიკოვმა და ი. ლვოვმა სთხოვეს სოლომონს, რათა თურქებისათვის გზა მოეჭრა გურიაში. სოლომონმა გურიაში ილაშქრა, ოსმალებს გზა ჩაუკეტა, გადააყენა გიორგი გურიელი და მის მაგიერ უფრო სანდო მამია დასვა.

ამ დროს პეტერბურგში განიხილეს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. ამ განხილვას საფუძვლად ედო ნ. იაზიკოვის მოხსენებები. ნ. იაზიკოვი სპეციალურად იყო გამოგზავნილი საქართველოში იმ გაუგებრობათა გამოსარკვევად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ტოტლებენსა და ქართველ მეფეთა შორის. **ეკატერინე II კარზე დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ტოტლებენი „რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე ასახელებდა“, ამიტომაც გადაწყვიტეს საქართველოდან მისი გაწვევა და მის ნაცვლად გენერალი ა. სუხოტინი დანიშნეს.**

ქართველი მეფეების დასაიმედებლად სუხოტინს დაავალეს, შეჰპირებოდა მათ, რომ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადებისას მასში საქართველოს საკითხიც აუცილებლად აისახებოდა. სუხოტინისადმი დარიგებაში აღნიშნული იყო, აგრეთვე, რომ რუსეთის მთავრობა ფოთის ხელში ჩაგდებით იყო დაინტერესებული.

1771 წლის მაისში სუხოტინი საქართველოში ჩამოვიდა. ერეკლემ მას დუშეთსა და თბილისში საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ამის შემდეგ გენერალი გაემგზავრა ქუთაისში, სადაც რუსთა კორპუსი იდგა. ივნისში ხელთუბანში ერეკლე მეორეს, სოლომონ პირველსა და რუსეთის კორპუსის ახალ სარდალს თათბირი ჰქონდათ. სუხოტინმა მოითხოვა ზაფხულში ფოთზე გალაშქრება. ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს უნდა უზრუნველეყოთ რუსეთის ჯარის დაცვა ზურგიდან — ახალციხის მხრიდან თურქთა შესაძლო თავდასხმებისგან. ერეკლემ განაცხადა, რომ ზაფხულში, კლიმატური პირობების გამო, კოლხეთის ჭაობებში ჯარის მოქმედება შეუძლებელია. სამაგიეროდ, მან შესთავაზა ახალციხის აღება. სოლომონ პირველმა კი მხარი დაუჭირა სუხოტინის გეგმას. ის ფიქრობდა ამით რუსთა ჯარის იმერეთში გადაყვანას და მის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისთვის. შემდგომ კი, როცა მეფენი ხელთუბნიდან გაემგზავრნენ, მან სუხოტინს ზაფხულში ფოთის ალყის შეუძლებლობაზე დაუწყო ლაპარაკი.

რუსთა ჯარი, რომელმაც ზაფხულის ყველაზე ცხელ დღეებში დაიწყო ფოთის ალყა, მართლაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ორი ათასი კაცი, მათ შორის, სარდალიც ციებ-ცხელებითა და სხვა სენით დაავადდა. სუხოტინი არ იცნობდა ქართულ სინამდვილეს, ადგილობრივ პირობებს, მკაცრად იცავდა მხოლოდ მთავრობის ინსტრუქციას, რომელიც ტოტლებენის უხეირო მოხსენებების საფუძველზე იყო შედგენილი.

თურქებმა გურიას უკვე XVI საუკუნეში შემოუტიეს, მაგრამ ჭოროხის ჩრდილოეთით დამკვიდრება ვერ შეძლეს. 1703 წელს მათ საბოლოოდ დაიკავეს ბათომი და ბათომის მხარე. მალე ჩაქვის მხარეც თურქთა ხელში მოექცა. 1723 წელს კი თურქებმა გურიის ზღვისპირა ციხეები (ციხისძირი, ქობულეთი, სეფა, შეკვეთილი, გრიგოლეთი) დაიკავეს. თურქთა მცდელობებს, რომ გურიის სამთავრო მთლიანად დაეკავებინათ, 1770-იან წლებამდე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

1770 წლის ოქტომბერში რუსთა ჯარებმა ფოთს ალყა შემოარტყეს; იმავე წლის დეკემბრის ბოლოს ოსმალებმა ფოთის საშველად ბათუმიდან 6000-იანი ჯარი გამოგზავნეს. გადამწყვეტ ბრძოლაში, 1771 წლის 3 იანვარს, რუსებმა გაიმარჯვეს.



ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲐᲜᲢᲝᲜ I
(ᲔᲠᲘᲡᲙᲐᲪᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲘᲔᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ)

უკანდახეულ ოსმალებს გურიის მოსახლეობამ მუსრი გაავლო. ოსმალთა ლაშქარი თითქმის ერთიანად გაწყდა. როგორც ზემოთ ითქვა, ამავე დროს, სოლომონი ლაშქრით გურიაში შევიდა და იქ თავისი გავლენა განამტკიცა.

ფოთთან დამარცხების შემდეგ ოსმალებმა გააძლიერეს თავდასხმები ქვემო გურიის სოფლებზე.

* * *

1771 წლის დეკემბერში ერეკლემ პეტერბურგში საგანგებო ელჩობა გაგზავნა. ამ ელჩობაში მონაწილეობდნენ კათალიკოსი ***ანტონ პირველი*** და ბატონიშვილი ***ლეონი.*** ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილ წერილში ერეკლე რუსეთის მფარველობის სურვილს გამოთქვამდა და შემდეგ პირობებს სთავაზობდა:

* აღმოსავლეთ საქართველოში ეკატერინეს უნდა გამოეგზავნა ოთხიათასიანი ჯარი; ამ ჯარის სარდლები ერეკლეს უნდა დამორჩილებოდნენ;

* საქართველოს სამეფო ტახტი აუცილებლად მის ჩამომავლობას უნდა შერჩენოდა, ხოლო ეკლესიის სათავეში კვლავინდებურად კათალიკოსი უნდა ყოფილიყო.

* ერეკლე ეკატერინე მეორეს სთხოვდა, სამშობლოში დაებრუნებინა ის ქართველები, რომლებიც რუსთა ჯარმა გაათავისუფლა ყირიმის აღებისას.

* ქართლ-კახეთის მეფე ფულად დახმარებასაც მოითხოვდა.

*დასასრულ, ერეკლე მოითხოვდა, რომ რუსეთის მთავრობას ახალციხის მხარე დაეკავებინა 1772 წლის გაზაფხულზე. რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებაში კი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნათქვამი ამ ტერიტორიის შესახებაც.

თავის მხრივ, ერეკლე კისრულობდა, რუსეთში მძევლად გაეგზავნა თავისი რომელიმე შვილი, რამდენიმე თავადი და აზნაური. ახალციხის შემოერთების შემთხვევაში კი იქ გადასახადების აკრეფის გარანტიას იძლეოდა; ქართლ-კახეთის სასარგებლო წიაღისეულის შემოსავლის ნახევარს ერეკლე რუსეთს ჰპირდებოდა. ამასთანავე, ერეკლე, იმ მიზნით, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს სამხედრო დახმარებით დაეინტერესებინა, მის სასარგებლოდ ყოველწლიური გადასახადის შემოღებას კისრულობდა: თითოეულ კომლს 14 შაურს შეაწერდა, ერთდროულად გადაიხდიდა 14 საუკეთესო ცხენს და ყიზლარში დიდი რაოდენობით საუკეთესო ღვინოსაც გაგზავნიდა და სხვ.

ელჩობა რუსეთს 1772 წლის იანვარში გაემგზავრა, მაგრამ უშედეგოდ, 1774 წელს იმედგაცრუებული ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ. ეკატერინე მეორეს მთავრობა ერეკლეს წინადადებებით არ დაინტერესდა, რადგან თურქეთთან ომის გაჭიანურება მისთვის ხელსაყრელი არ იყო. რუსეთი ამ დროს უკვე ცდილობდა ომის დამთავრებას, ხოლო საქართველოში ბრძოლა ოსმალეთთან გრძელდებოდა. ჯერ კიდევ 1771 წლის ოქტომბერში ერეკლე მეორემ ხერთვისის ციხე აიღო, ხოლო 1772 წლის დეკემბერში ახალციხის ფაშამ, მიუხედავად რუსეთსა და თურქეთს შორის დროებითი დაზავებისა, ქართლის რამდენიმე სოფელი დაარბია. 1773 წლის ივნისში ერეკლემ და სოლომონმა აღადგინეს თავიანთი კავშირი, ხოლო ხელშეკრულების ტექსტის ასლი რუსეთის მთავრობას გაუგზავნეს. 1773 წლის ოქტომბერში ერეკლესა და სოლომონის ჯარები გორში შეერთდნენ და ჯავახეთზე გაილაშქრეს. ქართველთა ლაშქარი ყარსის მიმართულებით მიიწევდა და არტაანამდე მიაღწია, მაგრამ იქიდან უკან გამობრუნდა. ამის მიზეზად სოლომონ პირველის ავად გახდომას ასახელებენ. 1774 წლის დასაწყისში ახალციხის ფაშამ ისარგებლა რუსეთის ჯარის წასვლით და სოლომონის წინააღმდეგ დადიანი და შერვაშიძე წააქეზა. ფაშამ იმერეთში 4-ათასიანი ჯარი გაგზავნა. სოლომონის თხოვნით, ერეკლემ დადიანზე გავლენა იქონია და ის იმერთა მეფის წინააღმდეგ აღარ გამოვიდა. მალე ერეკლეს ჯარიც მზად იყო სოლომონ პირველის დასახმარებლად. თურქთა ჯარმა სასწრაფოდ უკან დახევა გადაწყვიტა, მაგრამ სოლომონ პირველმა მტერი დაამარცხა.

**თებერვლის ერთ დღეს, გამთენიისას, როცა თურქთა ჯარი ჩხერიმელას ვიწროებით გადიოდა, საფარში მყოფმა იმერელმა მეთოფეებმა მტერს გზა მოუჭრეს, ხოლო სოლომონმა თურქებს ზურგიდან შეუტია. მტერი პანიკამ მოიცვა, გაიქცა, ბრძოლის ველზე ბევრი მოკლული დატოვა. ქართველებმა თურქებს ჩხერიდან ვახანამდე სდიეს. მტერმა დიდი ზარალი განიცადა: ახალციხემდე 700 კაცმა თუ ჩააღწია.** 1774 წლის ნოემბერში სოლომონ პირველმა პეტერბურგს საგანგებო ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტა. იმ სიგელსა და წერილებში, რომლებიც სოლომონმა დ. კვინიხიძეს გაატანა, მან ოფიციალური თხოვნით მიმართა ეკატერინე მეორეს მთავრობას, რომ იმერეთის სამეფო თავის მფარველობაში მიეღო. იმერეთის ელჩს თან გააყოლეს თავად-აზნაურთა შვილები; და-ძმა იაშვილები, ღოღობერიძე და ბაქრაძე, რომლებიც უნდა მოენათლათ და აღეზარდათ რუსეთის სამეფო კარზე. ეკატერინე მეორემ სოლომონ პირველს გამოუგზავნა სიგელი. მასში ნათქვამი იყო, რომ იმერეთის ელჩობა რუსეთს გაემგზავრა მანამდე, სანამ იმერეთში თურქეთთან დაზავების ამბავი ჩააღწევდა. სიგელში იყო ცდა, აეხსნათ ის სარგებლიანობა, რომელიც იმერეთის სამეფოს უნდა მიეღო **ქუჩუკ-კაინარჯის ზავით.** ამ ხელშეკრულების 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა. ამ მუხლში ნათქვამი იყო: **„საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდადი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან — საქართველოდან და სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად, ვალდებულებას იღებს, ყველა იმათი სრული ამნისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს, ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე; პორტა ვალდებულებას კისრულობს, არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალიმ და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ უნდა შეავიწროვონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა. მაგრამ, რადგანაც დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი“.**

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომს საქართველოსათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად თურქეთის იმპერიის ძლიერება გატეხილ იქნა და იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. თურქებმა იმერეთთან და ქართლ-კახეთთან ბრძოლის უნარი დაკარგეს. მათ ვერ შეძლეს სოლომონ პირველის დამორჩილება და იმერეთის ციხეების კვლავ დაკავება. სულთანი იძულებული გახდა, დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ რუსეთმა ცნო მისი უფლებები დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ ეს უფლებები ნომინალური იყო. ოსმალეთს ამ ქვეყანაში ტყვე მონებით თუ სხვა სახის ხარკის აღება და ქრისტიანების დევნა აეკრძალა. მართალია, ყოველივე ეს სოლომონის თაოსნობით ბრძოლის შედეგად უკვე მოპოვებული იყო, მაგრამ ამიერიდან ეს მონაპოვარი რუსეთის ჩარევითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით მტკიცდებოდა. სოლომონ პირველის ხელისუფლება იმერეთში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უნდა კი ტრადიციული ღირებულებების მქონე საქართველოს ის „საერთო ევროპული ოჯახი“, რომელშიც ქვეყნებს არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლები მართავენ? იქნებ საერთო სარეცელიც გაიშალონ ამ იდეის მიმდევრებმა ევროპელ ჰომოსექსუალებთან...**

# პროდასავლური შიზოფრენია და ქართული რეალობა

**ამასწინათ ფოთიდან ვეტერანი სპორტსმენი ვახტანგ ალანია დამიკავშირდა და მითხრა: „საქართველო და მსოფლიო“ ერთადერთი გაზეთია, რომელიც თავის პრინციპებს, იდეოლოგიასა და საქართველოს გადარჩენის გზას არ ღალატობს, სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით“. მან აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ტელეკომპანია „ობიექტივში“, გია არეშიძის საავტორო გადაცემაში, რუსეთს არასასურველ კონტექსტში მოიხსენიებენ და შემდეგ ქართველ ხალხს მიმართავენ: „თვითონ განსაჯეთ, საქართველოსთვის თურქეთთან ურთიერთობა უფრო პრიორიტეტულია თუ რუსეთთან(?!)“. „დასავლეთს საქართველოსთვის ოქროს სასახლე რომ აეშენებინა, მაინც არ უნდა ვლანძღოთ რუსეთი, რომელმაც, გარდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესისა, ქართველებს ღიმილი გვაჩუქა“, — აღნიშნა საუბრის დასასრულს ვახტანგ ალანიამ.**



**პოლიტოლოგმა ვალერი კვარაცხელიამ თავის საავტორო გადაცემაში ტელეკომპანია «იმედის» ეთერში გასული სიუჟეტი წარმოადგინა, სადაც ტვინრეფორმირებული ლიბერასტი ქალბატონი ახალი თაობის პრეზერვატივების წარმოებას აანონსებს, რომლებსაც ჩვენი ისტორიული, სათაყვანებელი გმირების სახელები დაარქვეს («დავით აღმაშენებელი», «ქართლის დედა» და სხვ.), ანუ ქართველი გმირების სახელები, ქართული ღირებულებები პრეზერვატივთან გაათანაბრეს**

ტელეკომპანია „ობიექტივი“ ერთადერთ დემოკრატიულ არხად არის მიჩნეული, რომლის ეთერშიც ყველას აქვს აზრის გამოხატვის საშუალება. მიუხედავად ამისა, ამ პარტიული ტელევიზიის ეთერი განსხვავებული იდეოლოგიისთვის (ვალერი კვარაცხელიას საავტორო გადაცემა) მას შემდეგ დაიხურა, რაც „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები პარლამენტში შევიდნენ. ხალხის მოთხოვნით ეს გადაცემა აღადგინეს, მაგრამ არა ძველებური რეჟიმით (კვირაში 2 დღე), არამედ 2 კვირაში ერთხელ. აი ასე „დემოკრატიულად“ ითვალისწინებენ ხალხის აზრს. „ობიექტივის“ ეთერიდან პატრიოტულ იდეებსაც ვისმენთ, რასაც მონატრებულია საქართველოს მოსახლეობა. სრულიად ვეთანხმები ბატონ დავით თარხან-მოურავის მოწოდებას, რომ უნდა დავიცვათ ქართული ინტერესი მსოფლიოში, რადგან ჩვენთვის საქართველოა უპირველესი. იმ მოსაზრებასაც ვეთანხმები, რომ **„დღეს დამპყრობელი მოდის ჩაგრულის ნიღბით, მოდის და გვეუბნება: ვიჩაგრები, დაიცავი ჩემი უფლებები, მაგრამ სინამდვილეში ცდილობს, სამშობლო დაგვავიწყოს“.** ქართველი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილმა, დიდი ხანია, ნიღაბი ჩამოხსნა „მეგობრად“ მოსულ მტერს. ახლა დროა, თვითონ ჩამოიხსნას ნიღაბი ბატონმა დავითმა და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. ეს მტერი რუსეთი არ არის. ის არც სამშობლოს დავიწყებისკენ გვიბიძგებს, არც თავისი უფლებების დაცვისკენ. ეს ის დასავლეთია, რომელიც ყველა ქვეყნის საშინაო საქმეებში ერევა. მაშ, რატომ დარბიან „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები დასავლეთში? ამაზე პასუხი პირდაპირ ეთერში ამ პარტიის წარმომადგენლისგან მივიღე: ჩვენი მეფეებიც დადიოდნენ აღმოსავლეთში, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, ეროვნული საქმე ეკეთებინათო. ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოს ფაქტობრივი მმართველები აღმოსავლეთის მბრძანებლები იყვნენ. ხომ არ არის ეს თვითლუსტრაცია? **ახლა ქვეყნის მმართველად ევროპელ და ამერიკელ ნაბიჭვრებს მივიჩნევთ?** ბატონი დავითი ამერიკელებს საკმეველს უკმევს, როცა დეზინფორმაციას ავრცელებს: „ნახეთ, რა უქნა რუსეთმა უკრაინას?“, მე კი მისგან რადიკალურად განსხვავებულ თვალსაზრისს შემოგთავაზებთ: **„ნახეთ, რა დამართა დასავლეთმა უკრაინას? უკრაინელებს კიევის რუსეთი დაავიწყა, ორი მონათესავე ერი ერთმანეთს გადაჰკიდა, ხოლო უკრაინა იქცა №1 კორუფცირებულ ქვეყნად აღმოსავლეთ ევროპაში. რაც შეეხება კიევის ცენტრში მაიდნის მოწყობას ამერიკის სპეცსამსახურების მიერ, ამაზე საჯაროდ საუბრობენ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი რეი მაკჰოვენი და ექსპერტი პოლ კრეიკ რობერტსი** — ეს ბატონმა პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს. პატრიოტიზმი არ არის, როცა უკრაინის რეალურ დამანგრეველს არ ასახელებენ, ამერიკელ სენატორებთან ნაცნობობით იწონებენ თავს და ამ იდეოლოგიის მქონე არსებებთან (პატრონებთან) უკეთეს პარტნიორობაზე ოცნებობენ, — ჩვენ უკეთეს პარტნიორობას გავუწევთო. ამერიკის სენატი ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებებსაც არ ეთანხმება და დავით თარხან-მოურავის მოსაზრებებს გაიზიარებს?

**„ირმა ინაშვილი** უფრო ადვილად ატყუებს ხალხს“, — ამბობს მოტივტივე ლიბერასტი **ლევან ბერძენიშვილი.** არ ვიცი, რას გულისხმობს ბატონი ლევანი, მაგრამ ვიცი, რომ რუსეთის „საერთაშორისო ბანდიტად“ გამოცხადება არ არის პატრიოტიზმი. საუკუნეების განმავლობაში პატრიოტიზმი გვაერთიანებდა. ლიბერასტულ საქართველოში კი პატრიოტიზმის თემა საერთოდ ამოღებულია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკიდან. მწერლებსაც ისეთს ირჩევენ, რომლებსაც პატრიოტიზმთან საერთო არაფერი აქვთ. თუ რუსეთის „ოკუპაციის“ პირობებში უმნიშვნელოვანესი იყო ეს თემა, ახლა „თავისუფალ“ საქართველოში ქართველების ხელით რატომ იბლოკება? იქნებ პატრიოტმა ირმა ინაშვილმა ამ საკითხს მიაქციოს ყურადღება და არა იმას, რაც შეიძლება მეტი პარტია შეიქმნას და ყველა „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდეს. **თუ პირველობა გინდათ, „პატრიოტების“ პატრიოტიზმზე კითხვის ნიშნები არ უნდა ჩნდებოდეს!** ნამდვილი, მამაკაცური პატრიოტიზმია საჭირო ქვეყნისთვის, როგორც მაშინ იყო! — თქვა ერთ-ერთმა ვეტერანმა 9 მაისისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. იმხანად ქვეყნის სათავეში კაცი იდგა — **სტალინი** და ქვეყანას იდეოლოგია ჰქონდა. ახლა, სამწუხაროდ, ლიბერასტპედერასტები არიან. რაც შეეხება იმ ევროპულ ღირებულებებს, რომლებზეც ჩაციკლულნი არიან სახელისუფლო თუ ოპოზიციური პარტიები, **საკითხავია, უნდა კი ტრადიციული ღირებულებების მქონე საქართველოს ის „საერთო ევროპული ოჯახი“, რომელშიც ქვეყნებს არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლები მართავენ? იქნებ საერთო სარეცელიც გაიშალონ ამ იდეის მიმდევრებმა ევროპელ ჰომოსექსუალებთან?** ეს ქვეყანა ამ ხელისუფლების საკუთრება არ არის. აქ ქვეყნის მომავალი თაობებმა უნდა ააშენონ. **რა მემკვიდრეობას ვუტოვებთ იმ თაობას, რომელსაც ცნობიერება დაუნგრიეს და უამრავი პასუხგაუცემელი შეკითხვა დაუტოვეს? — ქვეყანას საზღვრებისა და იდეოლოგიის გარეშე!**

სახელმწიფო სტრუქტურები როგორც აზროვნებენ, ჩვენც ისე უნდა ვიაზროვნოთო, — გამიმხილა დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა. **სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ახალგაზრდებს რობოტებად განიხილავს, საერთოდ არ აზროვნებს. მათ ნაცვლად ამერიკის ელჩი ფიქრობს, მაგრამ არც ის აზროვნებს.** იმედგაცრუებული ახალგაზრდობა დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება და ურჩევნია, დატოვოს სამშობლო.

**დასავლეთის ემისრები მედიასაშუალებებს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებენ. რუსეთისადმი დამოკიდებულება პათოლოგიურ ფსიქოზში გადაიზარდა, რისთვისაც დასავლეთი ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ხელისუფლებას აფინანსებს.**

**ზოგიერთის ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ დასავლეთი, რომელიც დღეს ნაცებს ლობირებს, რუსეთის პროექტსა და ინტერესებს უჭერს მხარს. ცინის კადრები, მართლმადიდებელი ეკლესიების ნგრევა, რუსეთის ლანძღვა-გინება და მისთვის დაწესებული სანქციებიც რუსეთის პროექტია?** შეიძლება რუსეთი სააკაშვილის პრეზიდენტობის მომხრე იყო, მაგრამ მაშინ ქართველმა არამოაზროვნე საზოგადოებამ დაუჭირა მას მხარი. ჩვენ „ოცნებაც“ ავირჩიეთ, მაგრამ დღეს აღარ მოგვწონს დასავლეთის დაკრულზე მოცეკვავე პარლამენტარები, რომლებსაც საპარლამენტო მანდატთან ერთად ეროვნული და კაცური ღირსების მანდატები არ მიუღიათ (ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ შარშან 34 მილიონ ლარზე მეტი პრემია დაირიგეს).

რუსეთმა ისარგებლა სააკაშვილის პრეზიდენტობით. როცა ომში გამარჯვებული დამარცხებულ, მიწაზე მხოხავ ფსიქოპათს კედელთან მიიმწყვდევს, ცხადია, თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. რუსეთს არ უფიქრია მაიდნამდე ყირიმის შემოერთება, 2008 წლის ომამდე — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ... — ახალგორის. გენიალურმა **გრიგორი კლიმოვმა** თქვა, — ერთი დეგენერატი უკეთ ანგრევს ქვეყანას, ვიდრე ატომური ბომბიო. სწორედ ასეთი დეგენერატი გამოიყენა რუსეთმა სათავისოდ. რაც შეეხება მის ქებას ამერიკელთა მხრიდან, ევროპელ მწერალს ეკუთვნის ფრაზა — „სულელს სულელი მაქებარი არ დაელევა“ (ნიკოლა ბუალო; საფრანგეთი, XVII ს.).

პოლიტოლოგმა **ვალერი კვარაცხელიამ** თავის საავტორო გადაცემაში ტელეკომპანია **„იმედის“ ეთერში გასული სიუჟეტი წარმოადგინა, სადაც ტვინრეფორმირებული ლიბერასტი ქალბატონი ახალი თაობის პრეზერვატივების წარმოებას აანონსებს, რომლებსაც ჩვენი ისტორიული, სათაყვანებელი გმირების სახელები დაარქვეს („დავით აღმაშენებელი“, „ქართლის დედა“ და სხვ.),** ანუ ქართველი გმირების სახელები, ქართული ღირებულებები პრეზერვატივთან გაათანაბრეს. ეს არის შეტევა ღირებულებებზე, სიწმინდეებსა და ზნეობაზე, როცა საქართველოში ჩვენივე სიწმინდეების გაუპატიურება ჩვენივე ლიბერასტების ხელით ხდება. რატომ წამოსწიეს ეს თემა? ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ, გენიალური ქართული კინოკომედიის — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ერთ-ერთი პერსონაჟის (ილარიონის) სიტყვები უნდა გავიხსენოთ: „ეტყობა, უგრძნია, უგრძნია!“. დიახ, **ლიბერასტებმა იგრძნეს, რომ იქცნენ ამერიკელთა პრეზერვატივებად, რომლებსაც იყენებენ.** ლიბერასტები იმასაც მიხვდნენ, რომ ჩვენი ურთიერთობა ამერიკასთან პოლიტიკური პროცესია და საერთო არაფერი აქვს უანგარო მეგობრობასთან. ეს უფრო ბატონყმურ პროცესს გვაგონებს ქვეყნის წარსული ცხოვრებიდან. **თუ ზემოაღნიშნული ინოვაცია მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებაა და არა ჩვენი ღირებულებების შეურაცხყოფა, ჩემი თანამოაზრის ინოვაციურ პროექტსაც აქვს არსებობის უფლება, რომელიც ტუალეტის ქაღალდის წარმოებას აანონსებს სახელწოდებით „ამერიკა“, „ევროპა“, „ობამა“ და ა.შ.**

დასასრულ, ისევ ჩვენი გაზეთის მკითხველის, ვახტანგ ალანიას, სიტყვებს მივუბრუნდები — რუსეთმა ქართველებს ღიმილი გვაჩუქაო. ამ სიტყვებმა ნოსტალგია განმიახლა. დიახ, დავდიოდით ქართულ ქალაქში, ერთმანეთი გვიყვარდა და ერთმანეთს ღიმილს ვჩუქნიდით. ეს ღიმილი ლიბერასტულმა დასავლეთმა წაგვართვა ჩვენივე ხელისუფლების ხელით.

ჩემო ძვირფასო ქართველებო, დავიბრუნოთ წართმეული ღიმილი!

**იზა თამაზაშვილი**

**სანაწვერლო სასილოსე სიმინდის თესვა-მოყვანა შეიძლება როგორც აღმოსავლეთი საქართველოს სარწყავ, ისე დასავლეთი საქართველოს ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ პირობებში. დადგენილია, რომ სანაწვერლო სიმინდი სწრაფად ვითარდება და მნიშვნელოვნად ამცირებს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობას გაზაფხულზე ნათესთან შედარებით და ჰექტარზე საშუალოდ 150-200ც მწვანე მასის დამატებით მოსავალს იძლევა.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# სასილოსე სიმინდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

დასასრული. დასაწყისი იხ. №25-26 (401)

**სასილოსე სიმინდის სასურველი წინამორბედებია: სამარცვლე სიმინდი, მრავალწლოვანი ბალახების კორდი, სოია, მზესუმზირა და თავთავიანი კულტურების ნაწვერალი. ასევე გამართლებულია მისი თესვა-მოყვანა აღმოსავლეთ საქართველოში — საგაზაფხულო და სანათიბო, ხოლო დასავლეთში საშემოდგომო შუალედური კულტურების შემდეგ მეორე, დამატებითი მოსავლის მისაღებად.**



აღმოსავლეთი საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ მიწებზე მარტის პირველ ნახევარში შუალედურ კულტურად ნათესი შვრიანარევი ბარდის აღების შემდეგ უპირატესობა ეძლევა სიმინდი-სოიას და მზესუმზირა-სოიას ნარევის, ორ-ორი მწკრივის მორიგეობით, მზესუმზირის და სიმინდის 72-72 ათასი/ჰა-ზე, ხოლო სოიას 350 ათასი/ჰა-ზე სიხშირით თესვას.

დასავლეთი საქართველოს ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ პირობებში შუალედური კულტურების (ჭვავნარევი ბარდა) მოსავლის აღების შემდეგ უკეთეს შედეგს იძლევა სიმინდისა და მზესუმზირის 72-72 ათასი/ჰა-ზე სიხშირით თესვა.

სანაწვერლო სასილოსე სიმინდის თესვა-მოყვანა შეიძლება როგორც აღმოსავლეთი საქართველოს სარწყავ, ისე დასავლეთი საქართველოს ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ პირობებში. **დადგენილია, რომ სანაწვერლო სიმინდი სწრაფად ვითარდება და მნიშვნელოვნად ამცირებს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობას გაზაფხულზე ნათესთან შედარებით და ჰექტარზე საშუალოდ 150-200ც მწვანე მასის დამატებით მოსავალს იძლევა.** ამასთანავე, სანაწვერლო სიმინდის შემჭიდროებულ ვადაში თესვისა და ნათესის თესვისთანავე მორწყვის შემთხვევაში ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების დაბლობ, სარწყავ პირობებში ქერის ნაწვერალზე და ხორბლისგან ადრე განთავისუფლებულ მინდვრებზე შესაძლებელია 30-35 ცენტნერი მარცვლის მიღებაც. ამ შემთხვევაში უნდა დაითესოს შედარებით საადრეო ჯიშები და ჰიბრიდები, ხოლო სასილოსედ და მწვანე საკვებად — მაღალმოზარდი ჯიშები და ჰიბრიდები. სავეგეტაციო პერიოდის უკეთ გამოყენების მიზნით, მაქსიმალურად უნდა შევამციროთ წინამორბედი კულტურების აღებისა და სანაწვერლო სიმინდის თესვას შორის პერიოდი.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ პირობებში აქტიური სავეგეტაციო პერიოდის უკეთ გამოყენებისა და სასილოსე მწვანე მასის მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთ საიმედო ღონისძიებაა ადრე გაზაფხულზე მწვანე საკვებად ან სასილოსედ ნათესი საგაზაფხულო შუალედური კულტურის (შვრიანარევი ბარდა) მოსავლის აღების შემდეგ მეორე მოსავლის მისაღებად სანათიბო სიმინდის თესვა-მოყვანა.

## ნიადაგის დამუშავება

ნიადაგის დამუშავება ტარდება ზონისთვის რეკომენდებული წესით, ნიადაგის თვისებების, წინამორბედი კულტურის თავისებურების, ნაკვეთისდასარეველიანების და ეროზიისგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით.

**თავთავიანი კულტურების ნაწვერალი, თუ მასზე მომდევნო წლის გაზაფხულზე სასილოსე სიმინდის თესვაა გათვალისწინებული, უნდა აიჩეჩოს მოსავლის აღებისთანავე 8-10სმ სიღრმეზე და მოიხნას მზრალად, ბარში — 1 დეკემბრამდე, ხოლო შემაღლებულ ზონაში — 15 ნოემბრამდე.**

აღმოსავლეთი საქართველოს ბარში, შალაფით ძლიერ დასარევლიანებულ ნაკვეთებზე, ნაწვერალი უნდა აიჩეჩოს მინდორში შალაფას გამოჩენის შემდეგ საოში გუთნით 10-12 სმ სიღრმეზე. აჩეჩვიდან ორი კვირის შემდეგ ტარდება კულტივაცია თათებიანი კულტივატორით, თანმიყოლებული ფარცხით, ხოლო 10-12 დღის შემდეგ მინდორი გადაიხვნება საოში გუთნით 15-17 სმ-ზე პირველი დამუშავების გარდიგარდმო. მზრალად ხვნა ტარდება 22-27 სმ-ზე წინმხვნელიანი გუთნით.

**აღმოსავლეთი საქართველოს ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესების მიზნით მარნეულის, სიღნაღის, გურჯაანის, გარდაბნის, საგარეჯოს რაიონებში 7-8 წელიწადში ერთხელ მზრალად ხვნის წინ ნიადაგში შეაქვთ 7-14 ტონა გაცრილი გაჯი, რომლის შემდეგ ხნული გადაიხვნება, გადახვნის წინ კი შეაქვთ 4-5 ცენტნერი ფოსფორიანი სასუქი. პირველ წელს ითესება იონჯა-მრავალწლოვანი კოინდრის ნარევი. ორი წლის სარგებლობის შემდეგ კორდი მოიხვნება საშემოდგომო ხორბლისთვის, ხოლო შემდგომ წლებში კულტურების მორიგეობა ხდება თესლბრუნვის მიხედვით.**

დასავლეთ საქართველოში გაზაფხულზე სასილოსე სიმინდის ძირითად კულტურად თესვისთვის ნასიმინდარი ნიადაგი უნდა მოიხნას: იმერეთის დაბლობისა და კოლხეთის დაბლობის შემაღლებულ ნაწილში — შემოდგომაზე, ზამთრის პირას ან ზამთარში, ხოლო კოლხეთის დაბლობ ნაწილში (სამტრედიის ქვემოთ) — ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე მინდორში გასვლის პირველი შესაძლებლობისთანავე. ამავე პერიოდში იხვნება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ეწერი ნიადაგები, ზემო იმერეთის ალუვიური ნიადგები კი — დეკემბრის დადგომიდან, როგორც კი ამინდი ამის საშუალებას მოგვცემს. მზრალად და ზამთარში მოხნული ნიადაგები თუ გაზაფხულზე დამჯდარია, ტარდება აოშვა 14-16 სმ სიღრმეზე თანმიყოლებული დაფარცხვით.

ქარისმიერი ეროზიის ზონაში (საგარეჯოს, გურჯაანის, თეთრიწყაროს, მარნეულის, მცხეთის რაიონებში) თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისთანავე ნაწვერალი უნდა აიჩეჩოს საოში გუთნით ან ბრტყლადმჭრელი კულტივატორით 8-10 სმ სიღრმეზე, რათა უზრუნველვყოთ ზედაპირზე ნაწვერალის შენარჩუნება. ნაკვეთის ფესვურიანი სარეველებით დასარეველიანების შემთხვევაში აჩეჩვა ხდება უფრო ღრმად (8-10სმ). აჩეჩილი ნიადაგი მუშავდება 22-25 სმ სიღრმეზე ბრტყლადმჭრელი კულტივატორით ადრე გაზაფხულზე ტენის შენარჩუნების მიზნით. მზრალი უნდა დაიფარცხოს ბიგ-3 ფარცხით, ხოლო მზრალის თესვისწინა დამუშავება ტარდება კულტივატორ ბრტყლადმჭრელით (პკე-3.8).

**ფერდობებზე წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ ხვნა, ხნულის თესვისწინა დამუშვება, თესვა და ნათესის მოვლითი ღონისძიებები ტარდება ფერდობის გარდიგარდმო, განივად. 3-40 დახრილობის ფერდობებზე, განივად ხვნის გარდა, ჩამონადენი წყლის ნაკადის შეკავების მიზნით 2-3 წელიწადში ერთხელ ტარდება ღრმდად ხვნა 30-32სმ სიღრმეზე. 4-50 დახრილობის ფერდობობზე ტარდება ხნულის დაბაძოება, რაც ხორციელდება გუთნის ერთ-ერთ განაპირა ტანზე გაკეთებული გადიდებული ფრთით. 7-80 დახრილობის ფერდობზე კარგ შედეგს იძლევა კულტურათა ზოლურად თესვა მრავალწლოვანი ბალახების, თავთავიანი და სათოხნი კულტურების ზოლების მორიგეობით.**

## ნიადაგის განოყიერება

სასილოსე სიმინდის გაზაფხულზე ძირითად კულტურად და ნაწვერალზე თესვის შემთხვევაში რთული მინერალური სასუქები (NPK) ნიადაგში შეტანილი უნდა იქნეს მოხვნის წინ ან თესვისას. გაზაფხულის ხნულზე თესვის დროს უნდა შეირჩეს ადვილადხსნადი სასუქი, როგორიცაა: ნიტროამაფოსკა (N16P16K16). მზრალზე თესვის შემთხვევაში კი დასაშვებია შედარებით გვიანხსნადი, მაგრამ ფოსფორის მაღალი შემცველობის სასუქების გამოყენება, როგორიცაა ამოფოსი (N10P45), სუპერფოსი (N12P24 + S + Ca + Mg.) და სხვ. რთული სასუქების შესატანი დოზა იანგარიშება ფოსფორზე, რადგან იგი შეგვაქვს ერთჯერადად და მან მთელი ვეგეტაციის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს მცენარე ამ ელემენტით, ხოლო აზოტზე მოთხოვნილება შეიძლება შეივსოს ვეგეტაციის პერიოდში ნათესის გამოკვებისას. კონკრეტულ პირობებში შესატანი დოზა იანგარიშება ნიადაგის ნაყოფიერების, მცენარის მიერ ნიადაგიდან მოსავლით გამოტანილი საკვები ელემენტების რაოდენობისა და დაგეგმილი მოსავლის გათვალისწინებით. შუალედური კულტურების — შვრიანარევი სამარცვლე პარკოსნების შემდეგ ნათესი სასილოსე სიმინდისთვის შესატანი აზოტიანი სასუქის დოზა მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს.

## თესლის მომზადება დასათესად

უნდა დაითესოს მხოლოდ პირველი კლასისა და პირველი კატეგორიის, ფუნგიციდით დამუშავებული თესლი. ეს უნდა დასტურდებოდეს აპრობაციის აქტითა და სახელმწიფო სერტიფიკატით. სასილოსე სიმინდი ითესება 70სმ მწკრივთაშორისებით, მაგრამ ბოლო წლებში გარე ეფექტების გაზრდისა და მწკრივთაშორისების დამუშავების გაადვილების მიზნით, ზოგიერთი მეურნე, როგორც სასილოსე, ისე სამარცვლე სიმინდს თესავს 75სმ მწკრივთაშორსებით. ტენიან და მძიმე თიხნარ ნიადაგებზე სასილოსე სიმინდი ითესება 4-6სმ სიღრმეზე, ტენით უზრუნველყოფილ მსუბუქ ნიადაგებზე — 6-7სმ-ზე, ხოლო მშრალ, გვალვიან ზონაში — 7-8სმ-ზე.

თესვის ნორმა იანგარიშება ჯიშისა და ჰიბრიდისთვის დადგენლი ოპტიმალური სიხშირის მიხედვით. კომპანია „ლომთაგორას“ რეკომენდაციით, **აღმოსავლეთ საქართველოში სასილოსედ უნდა დაითესოს „ლომთაგორა 1“, „ლომთაგორა 2“ და „ლომთაგორა 3“ 80-82 ათასი სიხშირით ჰექტარზე, როცა მწკრივში მარცვლებს შორის მანძილი 17-18სმ-ია, დასავლეთ საქართველოში კი რეკომენდებულია „ლომთაგორა1“-სა და „ლომთაგორა 2“-ის თესვა იმავე სიხშირით.**

## ნათესის მოვლა

სასილოსე სიმინდის თესვისას თესლის ჩათესვის სიღრმეზე თუ ნიადაგი მშრალია, ნათესი დათესვისთანავე უნდა მოიტკეპნოს ნაჭდევებიანი საგორავით, ხოლო ნიადაგის ზედაპირზე ქერქის წამოქმნის შემთხვევაში, მცენარის 3-4 ფოთლის ფაზაში დაიფარცხოს, რაც აუმჯობესებს ნიადაგის ჰაერაციას, სპობს ახლადაღმოცენებულ და აღმოცენების პროცესში მყოფ სარეველებს და ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას.

**სასილოსე სიმინდის წმინდა ნათესი 3-5 ფოთლის ფაზაში უნდა დამუშავდეს რომელიმე ჰერბიციდით. ჰერბიციდის შესხურებიდან ერთი კვირის განმავლობაში ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია.**

ნათესის პირველი კულტივაცია ტარდება მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში 8-10სმ სიღრმეზე, მეორე — 10-12 დღის შემდეგ იმავე სიღრმეზე. სარწყავ პირობებში მეორე კულტივაცია უნდა შეიცვალოს მწკრივთაშორისების დაბაძოებით.

ნათესის გამოკვება უნდა ჩატარდეს აზოტოვანი სასუქებით, როგორიცაა ამონიუმის გვარჯილა 300კგ/ჰა-ზე, ფოსფოშარდოვანა 250კგ/ჰა-ზე, კარბამიდი 250კგ/ჰა-ზე.

საჭიროების შემთხვევაში მავნებლების (ფარვანა, ხვატარი და სხვა) წინააღმდეგ საჭიროა ინსექტიციდის შესხურება მავნებლის გამოჩენისთანავე.

რეკომენდაცია მომზადებულია „აგროსამეცნიერო ჯგუფ „ლომთაგორას“ მეცნიერთა მიერ და გათვლისწინებულია ჰიბრიდ „ლომთაგორას“ 50-60 ტონა მწვანე მასის მისაღებად.



**აღმოსავლეთ საქართველოში სასილოსედ უნდა დაითესოს «ლომთაგორა 1», «ლომთაგორა 2» და «ლომთაგორა 3» 80-82 ათასი სიხშირით ჰექტარზე, როცა მწკრივში მარცვლებს შორის მანძილი 17-18სმ-ია, დასავლეთ საქართველოში კი რეკომენდებულია «ლომთაგორა1»-სა და «ლომთაგორა 2»-ის თესვა იმავე სიხშირით**

**კახა ლაშხი,**
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
**ზაურ ჯულუხიძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
**ზურაბ ჯინჯიხაძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
**ლუკა ლაშხი,**
აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრი

# კიდევ ერთი წარმატებული თეატრალური სეზონი

## ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 48-ე სეზონს ზაქარია ფალიაშვილის «აბესალომ და ეთერით» დახურავს

**21 ივლისს, 18 საათზე, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ირინე ლომინაძე) 48-ე თეატრალურ სეზონს დახურავს. ამ წარმატებული, ნაყოფიერი სეზონის ბოლო აკორდი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (დამდგმელი დირიჟორი — რევაზ ჯავახიშვილი, დამდგმელი რეჟისორი — მაია გაჩეჩილაძე, დამდგმელი მხატვარი — თემურ არსენიძე, დამდგმელი ქორეოგრაფები — ვახტანგ უშვერიძე და კოტე დოლაბერიძე, კოსტიუმების მხატვარი — გიორგი ალექსი-მესხიშვილი).**




სეზონის დახურვის სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები: **კალისტრატე ხარჩილავა** (აბიო მეფე), **ნუცა ზაქაიძე** (დედოფალი ნათელა), **ნაირა კიკოლიაშვილი** (მარიხვარსკვლავი), **ნათია სტეფანიშვილი** (ეთერი), **ბაკურ კვირიკაშვილი** (მურმანი), **ინგა ფუტკარაძე** (ნაანა), **ბადრი სახამბერიძე** (თანდარუხი), **რამაზ კუბლაშვილი** (სტუმარი), **ემილ ჩარგაზია** (მსახურთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — **ნათია გოგუაძე**), ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი, ქუთაისის პანტომიმის თეატრის დასი (ხელმძღვანელი — **ბაქარ ბაქრაძე**).

სპექტაკლის მთავარი სიურპრიზი: აბესალომის როლს შეასრულებს ქუთაისის თეატრში დაფრთიანებული ჩინებული ახალგაზრდა ტენორი, ამჟამად მოსკოვის დიდი თეატრის ახალგაზრდული დასის სოლისტი **გიორგი სტურუა**. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი** წარუძღვება.

48-ე თეატრალურ სეზონში ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა არაერთ სპექტაკლსა და კონცერტზე მიიწვია აუდიტორია, ათეულობით მუსიკალურ ღონისძიებასაც უმასპინძლა. სარეპერტუარო სპექტაკლებიდან სრულდებოდა რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები“, პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, „პირველი სიყვარული“, რევაზ ლაღიძის „ლელა“, ვანო გოკიელის „წითელქუდა“; წარმატებით ჩატარდა კონცერტები თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით, იყვნენ გასტროლიორებიც...

და მაინც, ამ ფონზეც ცხადია, უმთავრესი იყო პრემიერები: 48-ე თეატრალური სეზონი 4 ოქტომბერს პრემიერით გაიხსნა — მაყურებლის, მსმენელის სამსჯავროზე წარდგენილი იყო საოპერო მუსიკის მარგალიტი, ვერდის „ტრავიატა“ (სპექტაკლზე იმუშავა დამდგმელმა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: დირიჟორი — **რევაზ ჯავახიშვილი**, რეჟისორი — **მაია გაჩეჩილაძე,** მხატვარი — **თემურ არსენიძე**, ქორეოგრაფი — **ვახტანგ უშვერიძე**). საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულმა ამ სპექტაკლმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. 5 მაისს კი თეატრმა საპრემიეროდ წარმოადგინა სერგეი რახმანინოვის ერთმოქმედებიანი ოპერა „ალეკო“ (დამდგმელი დირიჟორი — **ლევან ჯაგაევი,** რეჟისორი — **მაია გაჩეჩილაძე**, მხატვარი — **თემურ არსენიძე**, ქორეოგრაფი — **ვახტანგ უშვერიძე**). დადგმა თეატრმა საკუთარი შემოსავლების ფინანსური რესურსით განახორციელა. აღსანიშნავია, რომ ორივე ოპერა დამკვიდრდა თეატრის რეპერტუარში და გაამდიდრა ის.



მომავალ 49-ე თეატრალურ სეზონშიც მრავალი სიურპრიზი ელოდება ქუთაისის ოპერის თეატრის მსმენელებს. ამჯერად მხოლოდ ერთ პრემიერას დავაანონსებთ: ნოემბრის ბოლოს თეატრი მიგიწვევთ ჯუზეპე ვერდის კიდევ ერთი შედევრის, ოპერა „რიგოლეტოს“ პრემიერაზე, რომელიც უთუოდ მნიშვნელოვან ეტაპად იქცევა თეატრის განვითარების გზაზე. ამის ყველა წინაპირობა არსებობს.

**ზურაბ ოიკაშვილი**



Sueddeutsche Zeitung:

# «დაიმლერი» 8 წლის განმავლობაში «მავნე» ავტომობილებს ჰყიდდა

**გერმანული ავტოკონცერნი „დაიმლერ AG“ 2008 წლიდან 2016 წლამდე ამერიკისა და ევროპის ბაზრებზე ჰყიდდა ავტომობილებს მავნე ნივთიერებების დაუშვებლად მაღალი კონცენტრაციით. ამ დროის განმავლობაში მილიონზე მეტი ასეთი სატრანსპორტო საშუალება გაიყიდა.**

მარტში შტუტგარტის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება „დაიმლერ AG-ის“ თანამშრომლების წინააღმდეგ. ისინი ექვმიტანილნი არიან ისეთი რეკლამის გავრცელებაში, რომელიც სისხლის სამართლით ისჯება. ეს რეკლამა დიზელისძრავიანი ავტომანქანების მავნე გამონაბოლქვების საკითხს ეხებოდა. მაისში პროკურატურამ კონცერნის რამდენიმე საწარმოში ჩხრეკა ჩაატარა.

გაზეთის მონაცემებით, მავნე ნივთიერებების მაჩვენებლებით მანიპულირება დადგინდა მსუბუქი ავტომობილებისა და ფურგონების შემთხვევაში, რომლებიც აღჭურვილი იყო OM 642 და OM 651 დიზელის ძრავებით. ამ ძრავებზე „დაიმლერი“ ამონტაჟებდა განსაკუთრებულ მექანიზმს, რომელიც გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა რაოდენობას რეალურზე ნაკლებს აჩვენებდა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ავტომობილების ტესტირებისას აღნიშნული მექანიზმის დაყენების დამალვით კონცერნმა დაარღვია საავტომობილო მართვის ფედერალური სამმართველოს ოფიციალური მიწერილობა.

# ესპანეთის პოლიციამ ფიფას ვიცეპრეზიდენტი დააკავა

**კორუფციაში ბრალდებით ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე მაღალჩინოსანი დააპატიმრეს, მათ შორის ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ფიფას ვიცეპრეზიდენტი ხოსე მარია ვილიარი.**



ხოსე მარია ვილიარს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი 1988 წლიდან უკავია. მას ბრალი ედება არაკეთილსინდისიერ ადმინისტრირებაში, გაფლანგვასა და ფალსიფიცირებაში.

ხოსე მარია ვილიართან ერთად პოლიციამ მისი შვილი, გორკა ვილიარიც, დააკავა. ის ადვოკატად მუშაობდა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური დირექტორის პოსტი ეკავა.


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


# სირიაში 2011 წლიდან დღემდე 330 ათასი ადამიანი დაიღუპა

**სირიაში 2011 წლიდან, როდესაც კონფლიქტი დაიწყო, 330 ათასი ადამიანი დაიღუპა, — იუწყება ფრანგული ტელეარხი BFMTV. დაღუპულთა შორის არის 100 ათასი სამოქალაქო პირი, მათ შორის — 18 ათასი ბავშვი და 11 ათას 500 ქალი. სამთავრობო ძალებმა და მოკავშირეებმა დაახლოებით 117 ათასი სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს.**

დაღუპულთა შორის არიან სირიის შეიარაღებული ოპოზიციის მებრძოლები, სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფების ბოევიკები — სულ 115 ათასამდე ადამიანი.

23 მაისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამა წლის 23 აპრილიდან 23 მაისამდე სირიაში საერთაშორისო კოალიციის ავიაიერიშების შედეგად, რომელსაც აშშ ხელმძღვანელობს, მშვიდობიანი მოქალაქეების რეკორდული რაოდენობა დაიღუპა. ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხებში სირიის ობსერვატორიის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში 225 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 44 ბავშვი და 36 ქალი იყო.



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894